სახელმწიფო მინისტრი

## საქართველო-უკრაინა: პერსპექტიული თანამშრომლობა მომავალ საუკუნეში

— საქართველოსა და უკრაინას შორის მეგობრულ, კონსტრუქციულ და პარტნიორულ ურთიერთობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება. საქართველო-უკრაინის ტრადიციული ურთიერთობა რეგიონული თანამშრომლობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია, — განაცხადა 25 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ალექსანდრე ჩალისთან შეხვედრისას. სახელმწიფო მინისტრმა სტუმარს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა იმ დახმარებისათვის, რომელიც უკრაინის მთავრობამ გაუწია საქართველოს გვალვის შედეგების აღმოსაფხვრელად.

შეხვედრაზე გიორგი არსენიშვილმა და ალექსანდრე ჩალიმ განიხილეს მომავალ საუკუნეში ორ ქვეყანას შორის პარტნიორული ურთიერთობის ახალი პერსპექტივა, რომლის უმთავრეს პრიორიტეტად ეკონომიკური თანამშრომლობა გამოიკვეთება. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ მომავალი წლის იანვარში, კიევში გაიმართება საქართველო-უკრაინის ერთობლივი სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომა. აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობის ფართო სპექტრში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტელესაკომუნიკაციო სივრცეში თანამშრომლობას. კერძოდ, საქართველოსა და უკრაინის პარტნიორობას საერთაშორისო პროექტის — ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის პროექტის განხორციელების სფეროში, აგრეთვე, თანამშრომლობას ტრასეკასა და ინოგეიტის ფარგლებშიც.



როგორც ალექსანდრე ჩალიმ განაცხადა, მომავალი წლის შემოდგომაზე კიევში დაგეგმილია სუუამის წევრი სახელმწიფოების სამიტის გამართვა, რომლის დღის წესრიგით გათვალისწინებულია სუუამის სივრცეში თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ მრავალმხრივი ხელშეკრულების გაფორმება.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ჩალიმ მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში ორ ქვეყანას შორის გამართულ რეგიონულ პოლიტიკურ კონსულტაციებში.

საქინფორმი.

მილოცვა

## გაზეთ „ერასტანის“ კოლექტივს

ძვირფასო მეგობრებო!

გულწრფელი სიხარულით, სულითა და გულით ვულოცავ ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთ უძველეს და სახელოვან წარმომადგენელს — გაზეთ „ერასტანს“, პირველი ნომრის გამოსვლის 80 წლისთავს.

ოთხმოცი წლის განმავლობაში, გაზეთი და მისი კოლექტივი, ყოველთვის ერთგულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობასა და დანიშნულებას — არა მხოლოდ ობიექტურად ასახავენ საქართველოს საზოგადოების საჭირბოროტო პრობლემებს, არამედ მშობელი ქვეყნის სიყვარულსა და პატივისცემას, ერთგულებას უნერგავენ თავიანთ მკითხველს, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ქართველთა და სომეხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას.

სასიხარულოა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ „ერასტანმა“ ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალ პირობებში არ გადაუხვია თავის კურსს და ტრადიციებს, კვლავაც ერთგულად ემსახურება ქართული სახელმწიფოებრიობის ინტერესებს. გაზეთი ყურადღებას არ აკლებს საქართველოს სომხური დიასპორის ცხოვრებას, რისი წყალობითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა გაზეთის ავტორიტეტი მკითხველთა შორის. სწორედ ამიტომ გვეამაყება თქვენი ისტორია და შემოქმედებითი მოღვაწეობა.

კიდევ ერთხელ, გულითადად ვულოცავ გაზეთის თანამშრომლებსა და მკითხველებს იუბილეს. დარწმუნებული ვარ, ახალ ათასწლეულშიც განაგრძობთ თქვენს სასარგებლო მოღვაწეობას საქართველოს საკეთილდღეოდ, ქართველთა და სომეხთა მეგობრობის უჭკნობ იდეალთა შესაბამისად.

ედუარდ შევარდნაძე,
საქართველოს პრეზიდენტი.
2000 წლის 21 დეკემბერი.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

გასულ კვირას გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 7404 მკითხველი. მათ შორის, 61% აშშ-დან, 28% — საქართველოდან.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №335 (3736) სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

# „მე კვლავ ვადასტურებ და მტკიცედ ვაცხადებ, რომ სიტყვის თავისუფლების შესახებ ახალი კანონის მიღება აუცილებლად მიმაჩნია“

### საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 25 დეკემბრის რადიოინტერვიუ

— გასულ კვირას თბილისში გაიმართა სამხედრო საკითხებზე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი. იმავდროულად, გაიმართა, აგრეთვე, ეკონომიკური თანამშრომლობის ორმხრივი კომისიის სხდომა. ორივე შემთხვევაში ჩვენი პარტნიორი იყო რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი ილია კლებანოვი. როგორ აფასებთ მოლაპარაკებათა შედეგებს? — ჟურნალისტის ნატო ონიანის ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში განაცხადა:

იხ. მე-2 გვ.

ხელისუფლება და პრესა

## „როცა ვლაპარაკობ რუსეთ-საქართველოს ახალ ხელშეკრულებაზე, რა თქმა უნდა, უწინარესად, მხედველობაში მაქვს ხელშეკრულება იმ საქართველოსთან, რომლის ერთიანობა უნდა აღდგეს და რომლის ერთიანობის აღდგენაში რუსეთმა უნდა თქვას ერთ-ერთი გადამწყვეტი სიტყვა“



### საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 25 დეკემბრის ბრიფინგი

*მეოცე საუკუნის დამლევ ორშაბათს, 2000 წლის 25 დეკემბერს, გამართული საქართველოს პრეზიდენტის ბრიფინგი უაღრესად მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩეოდა. ჟურნალისტებმა ისარგებლეს იმით, რომ ეს ბრიფინგი მართლაც აგვირგვინებს მეორე ათასწლეულს და, ასე ვთქვათ, „დროის შეგრძნებაც“ კი დაკარგეს. შეკითხვები არაორდინარული იყო, და ქვეყნის მეთაურმა თავი როდი აარიდა ზოგჯერ საკმაოდ მწვავე შეკითხვებს, არამედ, ჩვეული სიდარბაისლით და პირდაპირობით გასცა პასუხი.*

— გასულ კვირას გაიმართა მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს სხდომა. როგორ შეაფასებდით მოქალაქეთა კავშირში მიმდინარე პროცესებს? ბევრი ვერსია გავრცელდა, მათ შორის, ისეთიც, თითქოს, პრეზიდენტი შეიძლება განუდგეს მოქალაქეთა კავშირს და იქცეს ზეპარტიულ ლიდერად...

— ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი თავისთავად არის ზეპარტიული ლიდერი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი თავის პარტიას განუდგეს. ამ პარტიას გარკვეული დამსახურება მიუძღვის ქვეყნის აღმშენებლობაში, ისევე, როგორც ბევრი შეცდომაც აქვს დაშვებული, როგორც ყველა პარტიას.

ჩვენ საკმაოდ მწვავე საუბარი გვქონდა. მე ვილაპარაკე ამის შესახებ ჩემს ამდილანდელ რადიოინტერვიუში. მწვავე საუბარი განაპირობა იმ მდგომარეობამ, რომელიც ახლა საქართველოში და პარტიაშიც, პარტიულ ცხოვრებაშიც შეიქმნა. ამ მოძრაობაში აისახება სწორედ ის მოვლენები, დღეს რომ აწუხებს საქართველოს. ამ თემაზე გვქონდა მწვავე დისკუსია, მაგრამ ეს იყო გულმართალ ადამიანთა შეხვედრა, ყოველ შემთხვევაში, მე ვთქვი ის, რაც უნდა მეთქვა ჩემი მეგობრებისათვის, ჩემი თანამოაზრეებისათვის. ამის მთლიანი ტრანსლირება არ მომხდარა, მაგრამ ნაწილობრივ, ზოგიერთ რამ ქალბატონ ნატო ონიანის გადაცემაში „ტაიმ-აუტში“ გამუქდა.

მიმაჩნია, რომ თუ პარტია იბრძვის თავისი ერთიანობისა და მთლიანობისათვის იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც მან დაისახა მიზნად, იგი ყოველთვის უნდა ცდილობდეს დაამკვიდროს უთუოდ ასეთი სწორი, მართალი და მწვავე დისკუსიების პრაქტიკა. ესე იგი, ყველაზე უკეთესი მდგომარეობა ის არის, როცა თანამოაზრეები, თანამებრძოლები ერთმანეთს ეუბნებიან სრულ სიმართლეს, როგორი მწარეც უნდა იყოს იგი. ეს იყო საქმიანი საუბარი, და არც პირველად. ასე რომ, საგანგაშო და რაღაც საშინელი მოვლენების წინამორბედი საფუძველი არ არსებობს.

იხ. მე-3 გვ.

ახალი ათასწლეულის მიჯნასთან

### პირველი ცისკრის...

მოჩანს და ისმის,
საუკუნის პირველი ცისკრის
პირველ გალობას
მთების თონიდან
მზის ლავაში
როგორ ამოაქვს.
აქეთ ზღვის კენჭებს
ახაჭუნებს
დუღილი თქეშის.
წასულ უკუნი
საუკუნით
დაღალული,
დაღარული
მე, კენჭით ხელში,
ვჩურჩულებ:
ჩემზე ხნიერო,
ჩემზე ძლიერო,
ჩემებრ დარდებში ნახათქუნებო,
თითქოს უენებო,
ტიალო ქვავ,
ჩემი მამულის დანატრებულ
განათების,
გამთელების
შენ მაინც თქვი —
ვინ უნდა თქვას?!

ფრიდონ ხალვაში.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 23 დეკემბერი ქ. თბილისი

### ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელთა ღირსების მედლით დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ

ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის საქმიანობაში, მის მოვლა-შენარჩუნებაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები დაჯილდოვდნენ ღირსების მედლით და გამოეცხადოთ მადლობა.

**ღირსების მედლით:**

**ლილი ბერაია** — ფონდების მთავარი მცველი.

**გამოეცხადოთ მადლობა:**

**თენგიზ ესებუას** — დირექტორის მოადგილეს;
**ციალა თითმერიას** — ექსკურსიამძღოლს;
**ელიტა კაკულიას** — კანცელარიის გამგეს;
**ნარგიზა კეკუტიას** — მთავარ ბუღალტერს;
**ნაზიბროლა ქორთუას** — ბიბლიოთეკა-არქივის გამგეს;
**მზისადარ ჭაფანძეს** — ბიბლიოთეკარს;
**მარგო ჯგუშიას** — მუზეუმის მეთვალყურეს;
**გოჩა ჯიქიას** — კომენდანტს.

ე. შევარდნაძე.

გიხაროდენ!

## ბიჭს მამის სახელი დაარქვეს — ირაკლი

ძვირფასო რედაქცია, ჩემმა ოჯახმა ვაჟის შეძენით გაიხარა, პაი დედასა, მერედა როგორ? — დაიბადა პატარა ირაკლი, აწ უკვე XXI საუკუნის მოქალაქე. თავად მე, 4 ვაჟი მყავს, ოთხივე ცოლ-შვილიანია და რუსთავში დავასახლე. ყველას გოგონა ჰყავს. ამ დღეებში უფროსმა შვილმა ირაკლიმ გაგვახარა, მისმა მეუღლემ გვარის გამგრძელებელი გვაჩუქა, ორი გოგონას შემდეგ, მესამე შვილი ვაჟი შეეძინა, ბიჭს მამის სახელი დაერქვა.



გუშინ რუსთავიდან ჩამოსული ბატონი ოთარ ლაფერაშვილის წერილი მოვამზადეთ და გავაცილეთ. ამასობაში ჩვენმა „მახარობელმაც“, №5 სამშობიარო სახლის უფროსმა მედდამ იამზე ერისთავმა დაგვირეკა:

— 19-დან 25 დეკემბრამდე ჩვენთან 39 ბავშვი დაიბადა, 20 გოგონა და 19 ვაჟია.

**გაიზარდონ!**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

დღის რეკლამა

გინდა, უგამოცდოდ მოხვიდე უნივერსიტეტში? გინდა, ოთხ თვეში მიიღო იურისტის, ექიმის ჟურნალისტისა და ეკონომისტის დიპლომები? გინდა, წლის ბოლოს გახდე აკადემიკოსი? მერედა ამას რა უნდა?
დალიე „სპრაიტი“, გამოდი ქუჩაში და მოითხოვე მთავრობის გადადგომა.

### უკანასკნელ საათს



გუშინ ვატიკანში, წმინდა პეტრეს მოედანზე რომის პაპმა იოანე პავლე II აღავლინა საშობაო მესა და ისაუბრა ძალადობის თაობაზე მსოფლიოში.

გუშინვე წმინდა მიწაზე, ბეთლემში ისმოდა სროლების ხმა და, ფაქტობრივად, დაცარიელებული იყო ქალაქის ქუჩები.

გუშინ ტრადიციული საშობაო მიმართვით გამოვიდა დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე.

ინფორმაცია

### სინათლე ახალი წლის ღამეს

იმის მიუხედავად, რომ სააქციო საზოგადოება „ეი-ი-ეს-მტკვრის“ ორივე ენერგობლოკი მუშაობს და სომხეთიდან და რუსეთიდან გრძელდება ელექტროენერგიის იმპორტი, ქვეყანაში საახალწლო ელექტრომომარაგება წლეულს საგრძნობლად ჩამორჩება შარშანდელს. ერთი წლის წინათ ენერგოსისტემის რეალური სიმძლავრე 800 მეგავატზე ნაკლები არ ყოფილა, წლეულს ენერგოსისტემას 30 მილიონ კილოვატსაათზე მეტის გამომუშავება არ შეუძლია. თუმცა, არის იმედი, რომ რუსეთიდან აფხაზეთზე გამავალი „სალხინო“ 220-ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით დამატებით მივიღებთ ელექტროენერგიას, „ეი-ი-ეს-თელასის“ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა კი გაზრდის ელექტროენერგიას სომხეთიდან, რაც შეარბილებს ვითარებას ახალი წლის პირველი ორი დღის განმავლობაში. ახალი წლის ღამეს მოსახლეობა მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით.

### 20 მეტრის სიმაღლიდან გადმოგვხედავს

საახალწლო ნაძვის ხეს, რომელიც 20 მეტრზე მაღალი იქნება, დღეს თბილისის მერიის წინ თავისუფლების მოედანზე დადგამენ.

როგორც პრაიმ-ნიუსს თბილისის მერიაში აცნობეს, ნაძვის ხეები დედაქალაქს ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობიდან გამოუგზავნეს საჩუქრად.

მერიის კეთილმოწყობის სამსახური საახალწლო ნაძვის ხეებს დადგამს და მორთავს სპორტის სასახლის, რკინიგზელთა სახლის წინ, ვაკის პარკთან, გმირთა მოედანზე.

დედაქალაქის მერიის დავალებით თბილისის რაიონებში ნაძვის ხეები რაიონული გამგეობების ინიციატივით მოირთვება.

31 დეკემბერს ღამის 12 საათზე მერიის შენობიდან მოეწყობა ფეიერვერკი, რომელსაც თბილისს ანკარის მერია გამოუგზავნის საჩუქრად. მარმან ფეიერვერკი საჩუქრად საფრანგეთიდან მივიღეთ.

### „აბრეშუმის გზის“ მესამე პროექტი

2001 წლის გაზაფხულზე, აცნობეს საქინფორმის კორესპონდენტს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრში, დაიწყება საქართველოს საავტომობილო გზების რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოები. მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული სათვალავით ეს მესამე პროექტი მოიცავს „აბრეშუმის გზის“ საქართველოს მონაკვეთს.

### ეს უკვე მართლა შენებაა

წლეულს სამშენებლო სამუშაოებს ქვეყანაში 450-ზე მეტი ორგანიზაცია ახორციელებდა. მშენებარე ობიექტებიდან 146 სახელმწიფო და 310 არასახელმწიფოა. საბოლოო ანგარიშით 10 თვეში შესრულებულია 116 მილიონი ლარის საერთო თანხის სამუშაოები. როგორც ანალიზი მოწმობს, სამუშაოთა მეტი მოცულობა მოდის თბილისზე, სადაც სახელმწიფო ობიექტების მშენებლობაზე შესრულებულია დაახლოებით 20 მილიონი ლარის სამუშაოები, ხოლო არასახელმწიფო ობიექტებზე — 51 მილიონზე მეტი. შემდეგ მოდიან იმერეთი, სამეგრელო-სვანეთი, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა შემთხვევაში შეიძლება გაუქმდეს ჩუქება?

მირიან ნარინდოშვილი, ლაგოდეხი.

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის შესაბამისად, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის, ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილი იქნას მჩუქებლის მიერ. აქვე განვიმარტავთ, რომ ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.

### ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით 0+5; დღისით +2+7.
მთაში: ღამით -3+2; დღისით -2+3.

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით -3+2; დღისით +2+7.
მთაში: ღამით -1+6; დღისით -3+2.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი. ღამით 0-2; დღისით +5+7.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

### ლარის კურსი

26 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 2.9208 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.9459 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9750 ლარი |
| ევრო | 1 | 1.8500 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0705 ლარი |

### ინტერპანორამა

გროზნოში გამოცხადდა ორკვირიანი საგანგებო რეჟიმი. რუსეთის ფედერალური ძალები ემზადებიან მოთარაშეთა მხრიდან მოსალოდნელი ტერაქტების აღსაკვეთად. უკვე დაიწყო პროფილაქტიკური სამუშაოები.



ინდონეზიის პოლიციამ დააკავა ქრისტიანულ ტაძრებში სერიულ აფეთქებებში მონაწილე ორი პირი. აფეთქებებმა 14-ზე მეტი ადამიანი შეიწირა. სამი ეჭვმიტანილი მათ მიერვე აფეთქებული ბომბის მსხვერპლი გახდა.



გუშინ კანადის არქტიკული არქიპელაგის რაიონში თვალს ადევნებდნენ მზის ნაწილობრივ დაბნელებას. მთვარემ მზის 70 პროცენტი დაფარა.



შპს მაგთიკომი
MAGTICOM Ltd
მაგთი MAGTI GSM

კიდევ 4 ახალი ოფისი

დღეიდან კომპანია მაგთიკომმა რეალიზაციისა და მომსახურების ოფისთა ქსელს საქართველოში კიდევ 4 დაამატა.

ოთხივე ოფისი ჩვენი ქვეყნის ულამაზეს კუთხეში, იმერეთში გაიხსნა.

წყალტუბო (რუსთაველის ქ. №7)
ვანი (ჭავჭავაძის ქ. №1)
ტყიბული (გამსახურდიას ქ. №49/41)
ბაღდათი (რუსთაველის ქ. №15)

დღეისათვის მაგთი GSM-ს რეალიზაციისა და მომსახურების 35 ოფისი აქვს გახსნილი მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის 5 თბილისში ფუნქციონირებს.

მაგთი GSM — მუდმივი კავშირის სამყარო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 335. სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2000 წელი.

# „მე კვლავ ვადასტურებ და მტკიცედ ვაცხადებ, რომ სიტყვის თავისუფლების შესახებ ახალი კანონის მიღება აუცილებლად მიმაჩნია"

(პირველი გვერდიდან)

– რუსეთთან თანამშრომლობა საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტია.

რუსეთის ფედერაცია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორია, ვინაიდან არა მარტო მეზობლები ვართ, არამედ ძალიან ბევრი რამ გვაკავშირებს ისტორიული ტრადიციის თვალსაზრისითაც.

კვლავინდებურად დარწმუნებული ვარ: არსებობს ინტერესთა ობიექტური თანხვედრაც მრავალი მიმართულებით. ეს პოტენციალი კი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ, რაოდენ სიძნელეებსაც უნდა ვაწყდებოდეთ.

სამწუხაროდ, არსებულ შესაძლებლობათა და პოტენციალის სრულყოფილად გამოყენება ყოველთვის ვერ ხერხდება, რაც ორივე მხარის შეშფოთებასა და უკმაყოფილებას იწვევს.

ამ თვალსაზრისით, რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერის ილია კლებანოვის ვიზიტი, ვფიქრობ, ორმხრივად სასარგებლო იყო.

მართალია, მრავალი პრობლემური საკითხი ბოლომდე ვერ გადაწყდა, მაგრამ რამდენიმე ურთულესი მიმართულებით (მათ შორის ბაზებთან დაკავშირებით), განსაკუთრებით ვაზიანის ბაზა, ე. წ. ნამატი ტექნიკის გაყვანა, მათ შორის გუდაუთის ბაზის საკითხები და სხვა, მნიშვნელოვნად, მე ვიტყოდი, შეუდარებლად წინ წავიწიეთ.

ჩვენ კვლავ ძალზე პრინციპულად გამოვხატეთ საქართველოს პოზიცია სავიზო რეჟიმის, აგრეთვე კონფლიქტების მოწესრიგების თაობაზე.

შევთანხმდით, რომ აუცილებელია დაჩქარდეს ახალი დიდი ხელშეკრულების მომზადება, ვინაიდან ეს დოკუმენტი დაგვეხმარება, გადავჭრათ წარმოქმნილი პრობლემები. იგი უფრო ხელსაყრელ ფონს შეუქმნის თანამშრომლობის განვითარებას ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით. კერძოდ, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ტრადიციათა განმტკიცების თვალსაზრისით.

ასეთივე პოზიცია აქვს პრეზიდენტ პუტინს.

სავიზო რეჟიმიც არ არის მუდმივი მოვლენა. იგი ზიანის მომტანია, დარწმუნებული ვარ, და უკვე ვხედავთ ამას, ორივე მხარისათვის, ორივე ხალხისათვის.

თბილისში მოლაპარაკების დროს, რუსეთის დელეგაციამ რამდენიმე ძალიან საინტერესო კონკრეტული წინადადება შემოგვთავაზა ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების მიზნით. იგულისხმება მანქანათმშენებლობის, კერძოდ, ავტომშენებლობის დარგი, ენერგეტიკის სფერო და სხვა. ზოგიერთი მათგანი უკვე გაფორმდა ხელშეკრულების სახით.

სხვა დანარჩენ წინადადებებსაც გულდასმით შევისწავლით და პასუხიც, ალბათ, დადებითი იქნება, ვინაიდან ეს სასარგებლოა როგორც საქართველოსათვის, ასევე რუსეთისათვის, და მთლიანად, მეგობრობისა და თანამშრომლობის იმ ტრადიციებისათვის, რომლებზეც მე ზემოთ ვილაპარაკე.

**– საქართველო კვლავ აქტიურად მონაწილეობს გლობალური მნიშვნელობის პროექტების განხორციელებაში. ბოლო დროს ბევრის ყურადღება მიიქცია ყაზახეთის პოზიციამ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებით. ყაზახეთის საბოლოო ჩართვა ამ პროექტში ნიშნავს თუ არა მის საბოლოო წარმატებას?**

– ყაზახეთის პოზიციას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხზე, რამდენიმე ხნის წინათ მე ვესაუბრე პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს. ჩვენ წინა ინტერვიუებში გვქონდა ამის შესახებ საუბარი. ჩვენი შეთანხმების შესაბამისად, ყაზახეთის რესპუბლიკაში ჩემი საგანგებო დავალებით იმყოფებოდა საქართველოს დელეგაცია ბატონ გიორგი ჭანტურიას ხელმძღვანელობით. დელეგაციაში შედიოდა სტრატეგიული მრჩეველი ნავთობისა და გაზის საერთაშორისო საკითხებში ედუარდ ჩოუ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დელეგაცია მიიღეს უმაღლეს დონეზე. მოლაპარაკებაც ძალზე წარმატებული იყო, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის, აგრეთვე, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას.

გიორგი ჭანტურიამ, რომელმაც ჩემი წერილი გადასცა პრეზიდენტ ნაზარბაევს, დაუყოვნებლივ შემატყობინა, რომ უკვე ეჭვს აღარ იწვევს ყაზახეთის აქტიური ჩართვა ამ გრანდიოზულ პროექტში იმ ვალდებულებათა შესაბამისად, პრეზიდენტმა ნაზარბაევმა ჩვენთან ერთად რომ იკისრა სტამბოლის ისტორიულ სამიტზე. საქართველოს დელეგაციამ ყაზახეთში ყოფნისას დაადასტურა ჩვენი თანხმობა, რომ ამ პროექტს ეწოდოს „აქტაუ-ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენი, ამას პირობითად ვამბობ, აქტაუ, მართლაც, ერთ-ერთი საკვანძო ნავსადგური გახდება, რასაც მასპინძლები დიდი მადლიერებით შეხვდნენ. უახლოეს დღეებში კი საქართველო უმასპინძლებს ყაზახეთის დელეგაციას.

ყაზახეთი, აგრეთვე, დაინტერესებულია ტვირთის გატარებით დასავლეთისაკენ, შავი ზღვის ნავსადგურების მეშვეობით, მხედველობაში მაქვს საქართველოს ნავსადგურები: ბათუმი, ფოთი. ამ თემაზეც ვისაუბრეთ მე და ყაზახეთის პრეზიდენტმა რამდენიმე თვის წინათ. ამ წამოწყებას უდავოდ დიდი მომავალი აქვს და უკვე ვამზადებთ ამ საკითხის გადაწყვეტას იდეებისა და პროექტების დონეზე.

**– გასულ კვირას მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ამერიკულმა კომპანიამ „ლოკჰიდ-მარტინმა" და საქართველოს მხარემ ხელი მოაწერეს გრძელვადიანი თანამშრომლობის შეთანხმებას, რომლის შესაბამისად „ლოკჰიდ მარტინი" საქართველოს ეკონომიკაში 105 მილიონ ამერიკული დოლარის ოდენობის ინვესტიციას დააბანდებს. რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ კონტრაქტს?**

– ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული და მნიშვნელოვანი კონტრაქტი ბოლო წლების განმავლობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნავთობსადენებსა და სხვა დიდ პროექტებს.

> **და ნურავინ ცდილობს საქმე ისე წარმოაჩინოს, თითქოს პრეზიდენტი ვერ აცნობიერებდეს თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ღირებულებებს. ეს პრინციპები ჩემი მოღვაწეობის ზნეობრივ საფუძვლად იქცა. მე მათ არასდროს ვუღალატებ, ვინაიდან ეს იქნებოდა ჩემი საქმის ღალატი, იმ საქმისა, რომელსაც, დიახაც, თავი შევწირე: ანუ ძლიერი, თავისუფალი, ლაღი და ბედნიერი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველოს დაფუძნებას. იქნება ასეთი სამშობლო და იქნება ასეთი საქართველო.**

გიგანტური ამერიკული ავიაკომპანია „ლოკჰიდ მარტინი" საქართველოს ავიაციაში 105 მილიონ დოლარს დააბანდებს. სხვათა შორის, ამ კომპანიასთან საუბარი, მე ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ დავიწყე ბრიუსელში ყოფნის დროს და გარკვეული მოსაზრებანი საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ სწორედ იქ გამოითქვა.

ხელშეკრულების შესაბამისად, 2001 წლის დამდეგს შემუშავდება თბილისისა და საქართველოს სხვა აეროპორტებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროგრამები. შეთანხმება ითვალისწინებს გარანტირებულ პარტნიორობას 15 წლის განმავლობაში. ჩვენი ქვეყნისათვის ეს ძალიან დიდი შენაძენია. საკმარისია ითქვას, რომ „ლოკჰიდის" კაპიტალმა წელს 26 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სწორედ ეს კომპანია ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო მიმოსვლის მართვის სისტემათა დანერგვას, რაც უზრუნველყოფს მართვის მაღალ დონესა და უსაფრთხოებას. უსაფრთხოების ანალოგიურ გარანტიათა შექმნა დაგეგმილია საქართველოს ავიაციისთვისაც და, დარწმუნებული ვარ, მომავალში რეგიონალურ მნიშვნელობას შეიძენს.

ამდენად, „ლოკჰიდთან" თანამშრომლობას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ და ყველაფერს ვიღონებთ კონტრაქტის წარმატებით განსახორციელებლად. გარდა პირდაპირი დანიშნულებისა, ეს ინვესტიცია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ, როცა ამ დონის გიგანტური კომპანია გვცნობს თავის პარტნიორად, ეს ფაქტი, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მსოფლიოში საქართველოსადმი ნდობის ფაქტორის დონეს.

**– გასულ კვირას გარკვეული პერსპექტივები გამოუჩნდა სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტს, რომელიც, თავის მხრივ, თანამშრომლობს ამერიკელ, იაპონელ და ევროპელ პარტნიორებთან. როგორ შეაფასებდით ინსტიტუტის ახალ წამოწყებას?**

– მე მართლაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ კონტრაქტს. სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტი, რომელიც უკვე გასცდა ინსტიტუტის ფარგლებს და წარმოების ნიშანიც აქვს, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სამეცნიერო-კვლევითი მაღალტექნოლოგიური ცენტრია. შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიოს რამდენიმე ყველაზე განვითარებული ქვეყანა ერთდროულად ცდილობს ამ ინსტიტუტთან კავშირის დამყარებასა და თანამშრომლობას.

გასულ კვირას პოლანდიელებმა გამოთქვეს ასეთი სურვილი. ისინი მზად არიან გააძლიერონ ინსტიტუტის ტექნოლოგიური ბაზა, რათა ქართულ საწარმოს ჰქონდეს ძალიან ღრმა ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის საშუალება. იგულისხმება ნაწარმის ხარისხობრივი და რაოდენობრივი გაუმჯობესება. ასეთი ბაზის შექმნა უახლოესი 8–10 თვის განმავლობაში იგეგმება.

თუმცა, დღესაც, იზოტოპების ინსტიტუტი მსოფლიოს უმაღლეს სტანდარტებს შეესაბამება. თანამშრომლობს ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, გერმანია, მათთან კონკურენციული ბრძოლის მოგება და იმათ ბაზრებზე შესვლა არც ისე იოლი საქმეა. ეს არის შესანიშნავი კოლექტივი, რომელმაც მრავალგზის ასახელა საქართველო, უდიდესი სარგებლობა მოუტანა თავის ქვეყანას და იგი ამ ტრადიციას გააგრძელებს. მოგეხსენებათ, საქართველოში მოქმედებს სტაბილური იზოტოპების განვითარებისა და გამოყენების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 2-3 თვის წინათ დამტკიცდა და ეს დარგი ამ პროგრამის შესაბამისად ვითარდება.

**– დიდი რეზონანსი მოჰყვა გასული კვირის მთავრობის სხდომას. მხოლოდ ორი საკითხი მთავრობის სხდომაზე განხილულ პრობლემათაგან: რამდენად შედეგიანია სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ანგარიშები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ. და მეორე: შესაძლებელია თუ არა განახლდეს გზების რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობას ითვალისწინებს, თუმცა, ეს მთავრობის სხდომა სულ სხვა ფაქტის გამო გახმაურდა, საქმე ეხება იუსტიციის მინისტრისა და თქვენი მრჩევლის შელაპარაკებას...**

– ვფიქრობ, ტრადიცია, რომელიც დამკვიდრდა მთავრობის სხდომებზე კორუფციის აღმოსაფხვრელად განხორციელებულ ღონისძიებათა თითქმის ყოველკვირეული მოსმენის თვალსაზრისით, დადებითი მოვლენაა და სავსებით შეესაბამება კორუფციის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის სტრატეგიას. მინდა მოვიწონო რეგიონების და, უწინარესად, იმერეთის რეგიონის ხელმძღვანელის ინიციატივა. მან მოიწვია ბატონი ლადო ჭანტურია იმ დებულებათა განსახილველად, რომელიც პირველ დოკუმენტში იყო გაცხადებული და იქ უკვე მიიღეს გადაწყვეტილება, შეიქმნას საკოორდინაციო ცენტრი ამ ავადმყოფობის, ამ მოვლენის – კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად. მისასალმებელია, რომ რეგიონებმა უკვე დაიწყეს ამ მიმართულებით მუშაობა.

თუნდაც ის ფაქტი, რომ კორუფციასთან დაკავშირებით იმართება მწვავე დისკუსია, უკვე თავისთავად ადასტურებს განსახილველ საკითხთა აქტუალურობას. სატყეო დარგის ხელმძღვანელმა საკმაოდ კვალიფიციური მოხსენება წარმოადგინა, რომელსაც კვლავ აუცილებლად დავუბრუნდებით მომავალში.

რაც შეეხება ცალკეულ შეხლა-შემოხლას, ეს, ჩემი აზრით დეტალებია, ალბათ, ხანდახან საჭიროა ზომების მიღება, ხანდახან ერთმანეთში მოილაპარაკებენ და ამით დამთავრდება. ყოველ შემთხვევაში, ალბათ, სასურველი არ არის, რომ საკითხის განხილვის ძირითადი არსი იჩქმალებოდეს ცალკეული გაურკვევლობის, ამა თუ იმ პირისათვის შეურაცხყოფის მიყენების შედეგად.

ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ საიმისოდ, რომ სატყეო სექტორის განვითარების ხელშემწყობი ეროვნული პროგრამის დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკს გამოეყო გრძელვადიანი კრედიტი (ლაპარაკია 40 წლით შეღავათიან კრედიტზე) 20 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით. პროექტის განსახორციელებლად საჭიროა შეიქმნას სერიოზული დოკუმენტი, რომელშიც აისახება საქართველოს ტყეების გაჯანსაღების, ყოველმხრივი განვითარების გრძელვადიანი პროგრამა. სხვათა შორის, დროის ეკონომიის მიზნით მე არ ვილაპარაკებ დაცულ ზონებზე, მათ შორის, ბორჯომის ზონის შესახებ, ბორჯომი–ხარაგაული – ასე ეწოდება პროგრამას (მას ახლა დაემატა ადიგენი და მთელი რიგი მიმდებარე ტერიტორიები, ეს უზარმაზარი დაცული ტერიტორიაა), რომელშიც მილიონობით დოლარი იქნება დაბანდებული. ხალხს სამუშაო ექნება და თავისთავად ამ დარგს – დანიშნულება. ასეა ვაშლოვანის, მთა-თუშეთის ზონებიც.

რაც შეეხება გზების რეაბილიტაციის პროექტს, იგი სამ ძირითად მიმართულებას გულისხმობს: ტრანსპორტის დანახარჯების შემცირებას, გზების რეკონსტრუქციასა და საქართველოს გზათა სახელმწიფო დეპარტამენტის რეფორმას.

ჩვენ გავაანალიზეთ ის პრობლემები თანადაფინანსებაში ცნობილი შეფერხებით რომ წარმოიშვა. მივედით დასკვნამდე, რომ პროექტის შეფერხება საეჭვოს ხდის ყველა იმ პროექტის განხორციელებას, რომლებსაც მსოფლიო ბანკი აფინანსებს საქართველოში ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარებისათვის. ეს კი ყოვლად დაუშვებელია და ამას არც დავუშვებთ. მით უმეტეს, რომ დონორებს ახალი, ძალიან საინტერესო წინადადებები აქვთ ამ თვალსაზრისით.

**– გასულ კვირას საკმაოდ ხმაურიანი რეაქცია მოჰყვა თქვენს განცხადებას პრესის კანონის შემუშავების აუცილებლობის შესახებ. ზოგიერთებმა ამ განცხადებას ისეთი ინტერპრეტაციაც კი მისცეს, თითქოს ხელისუფლება საქართველოში პრესის თავისუფლების შეზღუდვას აპირებდეს. როგორია თქვენი კომენტარი?**

– მართლაც, ჩემს რამდენიმე რეპლიკას მთავრობის სხდომაზე პრესის კანონთან დაკავშირებით, საზოგადოებაში ძალზე ცხარე, ზოგიერთ შემთხვევაში, ლამის გააფთრებული დისკუსია მოჰყვა.

გააფთრებასა და შეურაცხყოფას არა, მაგრამ ასეთი დისკუსიის დაწყებას მე მივესალმები. უფრო მეტიც, სწორედ ამ დისკუსიის ინიციირებას ვისახავდი მიზნად, როდესაც ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვი აღნიშნულ თემაზე. დისკუსიის სიმძაფრემ პრობლემის აქტუალურობაც დაადასტურა. მე ზოგად პრობლემებზე ველაპარაკობ და არა ცალკეულ გამოსვლებსა და გამოთქმებზე, შეურაცხყოფაზე, ეს სხვა საკითხია.

თუმცა, იყო სრულიად უსაფუძვლო და უსამართლო ინტერპრეტაციებიც, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ესეც ბუნებრივია. ოღონდ, სასიამოვნო, რა თქმა უნდა, არ არის. მით უმეტეს, როცა საეჭვოს ხდიან შენს ერთგულებას, ესე იგი, ქვეყნის პრეზიდენტის ერთგულებას იმ პრინციპებისადმი, რომელთა დასამკვიდრებლად საქართველოში თავად ძალიან ბევრი რამ გააკეთე. ამის გაუთვალისწინებლად, ვინ როგორ მოიხსენიებს პრეზიდენტს, დაე, მათს სინდისზე იყოს.

მე კვლავ ვადასტურებ და მტკიცედ ვაცხადებ, რომ სიტყვის თავისუფლების შესახებ, სწორედ ეს სათაური მესახება ყველაზე მეტად მიზანშეწონილად, ახალი კანონის მიღება აუცილებლად მიმაჩნია და, აი, რატომ:

შეიძლება არ არის ეს საკმარისი არგუმენტი, მაგრამ მე მაქვს უფლება, გამოვთქვა ჩემი აზრი. ჯერ ერთი, თითქმის ყველა პოსტსაბჭოურ და პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ასეთი კანონი შეიმუშავეს,

> **გიორგი ჭანტურიამ, რომელმაც ჩემი წერილი გადასცა პრეზიდენტ ნაზარბაევს, დაუყოვნებლივ შემატყობინა, რომ უკვე ეჭვს აღარ იწვევს ყაზახეთის აქტიური ჩართვა ამ გრანდიოზულ პროექტში იმ ვალდებულებათა შესაბამისად, პრეზიდენტმა ნაზარბაევმა ჩვენთან ერთად რომ იკისრა სტამბოლის ისტორიულ სამიტზე. საქართველოს დელეგაციამ ყაზახეთში ყოფნისას დაადასტურა ჩვენი თანხმობა, რომ ამ პროექტს ეწოდოს „აქტაუ-ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენი.**

ეს სულაც არ არის შემთხვევითი, ხოლო ბევრ სახელმწიფოში ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში ახალი კანონის მიღებაც აუცილებლად მიიჩნიეს იმ გრანდიოზულ ცვლილებათა გათვალისწინებით, მთლიანად მსოფლიოს მედია-სივრცესა და შესაბამის ტექნოლოგიებში რომ მოხდა. ლაპარაკია მთელ რიგ განვითარებულ, დემოკრატიულ ქვეყნებზეც.

ძირეული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პირობებში პრესის შესახებ ქმედითი კანონის არსებობა თითქმის ყველგან მიზანშეწონილად და აუცილებლად მიიჩნიეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ დააკმაყოფილებდათ შესაბამისი კონსტიტუციური დებულებები, ან სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც აწესრიგებენ სოციალურ და საზოგადოებრივ საკითხებს. მათ შორის, სამოქალაქო კოდექსი, კანონები აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ და სხვა.

მაგრამ ყველა ამ იურიდიული მექანიზმის თავმოყრა და სისტემატიზაცია აუცილებელი აღმოჩნდა სწორედ იმისათვის, რომ პრესას თავისუფალი არსებობისა და შეუფერხებელი განვითარების საშუალება ჰქონოდა.

როდესაც თანამედროვეობის შესაბამის კანონზე ველაპარაკობ, ვიმეორებ, მას შეიძლება ეწოდოს

> **როდესაც თანამედროვეობის შესაბამის კანონზე ვლაპარაკობ, ვიმეორებ, მას შეიძლება ეწოდოს კანონი სიტყვის თავისუფლების შესახებ, ვგულისხმობ იმ პროცესების შეუქცევადობის გარანტიათა გაძლიერებას, ამ სფეროში რომ განვითარდა დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის დაფუძნების შემდეგ.**

კანონი სიტყვის თავისუფლების შესახებ, ვგულისხმობ იმ პროცესების შეუქცევადობის გარანტიათა გაძლიერებას, ამ სფეროში რომ განვითარდა დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის დაფუძნების შემდეგ.

ჩვენი მიზანია, კიდევ უფრო გაძლიერდეს ეს პროცესი, ხოლო სიტყვის თავისუფლებამ, პიროვნების თავისუფლებამ, პრესის თავისუფლებამ დამატებითი გარანტიები შეიძინოს.

ახლა ხშირად გაიგონებ: რა საჭიროა კონკრეტულად პრესის საკანონმდებლო უზრუნველყოფა სპეციალური კანონით, როდესაც ყველა მიმართებას აწესრიგებს ცალცალკე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტი: კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კანონი საჯარო მოსამსახურის შესახებ და ა.შ. მაგრამ, ბატონებო, ასეთი ლოგიკით, მაშინ საერთოდ არ არის საჭირო სპეციალიზებული კანონების მიღება. მაგალითად, არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეიმუშავეს კანონი ახალგაზრდობის შესახებ, კანონი სპორტის შესახებ და ა.შ. ამ ლოგიკით მაშინ სრულებითაც არ არის საჭირო მივიღოთ ცალკე კანონები ცალკეული დარგების მიხედვით, მაშინ, როდესაც ურთიერთობებს აწესრიგებს ცალ-ცალკე კანონი მეწარმეობის შესახებ, საგადასახადო კოდექსი, საბაჟო კოდექსი, კანონი ინვესტიციათა შესახებ და სხვა. იმ დღეს გელა ჩარკვიანის სატელევიზიო გამოსვლას ვუსმენდი, თუკი აუცილებელია, მივიღოთ კანონი ღვინის, ვაზის შესახებ, რატომ არ უნდა არსებობდეს კანონი პრესის შესახებ, რომელიც გაცილებით რთული ფენომენია და საზოგადოება ამ საკითხის მიმართ გაცილებით უფრო მგრძნობიარეა.

არის ასეთი არგუმენტიც: გვაქვს 1991 წლის კანონი, რომელიც არავის გაუუქმებია. მით უმეტეს, ეს კანონი საბჭოთა კონსტიტუციის ბაზაზეა მიღებული.

ყველას ვეთანხმები: იმ დროისათვის კანონმა დადებითი როლი შეასრულა, მას ხელს აწერს ზვიად გამსახურდია, მაგრამ შევადაროთ დღევანდელი საქართველოს მედია-სივრცე იმას, რაც მაშინ არსებობდა.

მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: 1991 წელს საქართველოში ცოტამ თუ იცოდა, რა არის ინტერნეტი.

დღევანდელი ქართველი საზოგადოება, ვგულისხმობ სამოქალაქო საზოგადოებას, ათასობით ახალ ორგანიზაციას, ახალ სოციალურ ინსტიტუტებს, მათს მიმართებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ა.შ. და ა. შ., ისე განსხვავდება 1991 წლის საქართველოსაგან, როგორც ცა და დედამიწა! იმდროინდელ მსოფლიოში გლობალიზაციაზეც თითქმის არავინ ლაპარაკობდა ან, ყოველ შემთხვევაში, ეს განყენებულ სალონურ დისკუსიათა დონეს არ სცდებოდა. სრულიად წარმოუდგენელი იყო ევროსაბჭოს წევრობა, ევროკავშირთან თანამშრომლობა და ჩვენი თანამშრომლობის სივრცის ასეთი გიგანტური გაფართოება.

იმ ეპოქიდან, დღემდე საქართველოში, სხვათა შორის, ხელისუფლების უშუალო მხარდაჭერით, შეიქმნა ათობით ახალი გაზეთი, რამდენიმე დამოუკიდებელი ტელეარხი, რადიომაუწყებლობის ახალი სადგურები. გაჩნდა მასმედიის თვისებრივად ახალი საშუალება: ეგრეთ წოდებული, ინტერნეტ საიტები. სხვათა შორის, აქვე უნდა შევნიშნო, რომ სწორედ ინტერნეტის შესაძლებლობათა წარმოჩენამ განსაზღვრა ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში ახალი კანონების მიღება მასმედიასთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, ვინაიდან ინტერნეტი მრავალი თვალსაზრისით მედიის განუყოფელი ნაწილი გახდა. ამ გლობალური პროცესების ფონზე, ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მესახება ეროვნული ფენომენის – ტრადიციების, კულტურის, ენის არა მარტო სიწმინდის შენარჩუნება, არამედ განვითარება, რაც მასმედიის გარეშე წარმოუდგენელია. ესე იგი, სრულიად ახალი ამოცანების წინაშე აღმოჩნდა ჩვენი სახელმწიფო მთელი თავისი ინსტიტუტებით. ჩვენ უკვე ვდგავართ ამ ამოცანების წინაშე და მასმედიის გარეშე ეს საკითხები არ მოგვარდება.

და, რაც მთავარია: რატომღაც ივიწყებენ, რომ 1991 წლის 10 აგვისტოს კანონი შემუშავდა იმ დროს მოქმედი კონსტიტუციის საფუძველზე, ანუ, ფაქტობრივად, ეს იყო საბჭოთა საკანონმდებლო სისტემის სუბიექტი, ვინაიდან, მართალია, კონსტიტუციაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია.

თუმცა, თავისთავად, კანონმა უაღრესად დადებითი როლი შეასრულა, ვიმეორებ, რაკი გააუქმა ცენზურა და შექმნა მასმედიის თავისუფლების პირველადი იურიდიული საფუძველი. მაგრამ კანონი აშკარად დეკლარაციული ხასიათისა იყო. ესეც უნდა ითქვას! ალბათ, სხვა პრეტენზიას ვერც წაუყენებდი იმ თაობას, იმ სპეციალისტებს, რომლებმაც ეს კანონი მოამზადეს.

აქ, ამჯერად, ვგულისხმობ არა იმ გარემოებას, თუ როგორ ხორციელდებოდა იგი რეალურად, არამედ იმ ფაქტს, რომ კანონი ყოველთვის არ შეიცავდა სიტყვის თავისუფლების დაცვის რეალურ და ქმედით იურიდიულ მექანიზმებს.

ამდენად, დამოუკიდებელი სახელმწიფოს საკანონმდებლო საფუძვლის განვითარებასთან ერთად, აუცილებელი გახდა კანონში ცვლილებათა შეტანაც.

მე ხელთა მაქვს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ გიორგი მეფარიშვილის ცნობა, რომლის თანახმად, პარლამენტის 1994 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით, აგრეთვე, 1997 წლის 28 ოქტომბრის და 1997 წლის 25 ნოემბრის კანონებით, პრესის შესახებ მოქმედ კანონში შეტანილია ცვლილებანი და დამატებანი. მაშასადამე, ასეთი აუცილებლობა არსებობდა!

თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა, რომ ეს კანონი სრულად შეესაბამებოდეს საქართველოს ახალ კონსტიტუციას.

ამჟამად გვაქვს ორი გზა: შემუშავდეს მოქმედ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის პროექტი, რაც, სავარაუდოდ, კანონის ყველა მუხლს შეეხება, ამჟამინდელი რეალობის გათვალისწინებით.

და, მეორე: შემუშავდეს სრულიად ახალი საკანონმდებლო აქტი, რომელიც მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპების გათვალისწინებით მოაწესრიგებს არსებულ ვითარებას. მე ამ მეორე ვარიანტს ვანიჭებ უპირატესობას, ჩვენი საზოგადოების იმ ახალ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე.

ამ საკითხზე მსჯელობისას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას მივანიჭებდი მის ზნეობრივ ასპექტს: თავისუფლების ცნება განუყოფელია პასუხისმგებლობისაგან. უფრო მეტიც, დემოკრატიულ ქვეყანაში, სამოქალაქო საზოგადოებაში, პასუხისმგებლობა თავისუფლების ძირითადი შემადგენელია. ეს დებულება საკაცობრიო გამოცდილებისა და სიბრძნის გამოხატულებაა, ვინაიდან იქ, სადაც არ არსებობს პასუხისმგებლობა, თავისუფლებაც სულ მალე კარგავს შინაარსს და მისი შელახვაც იოლი ხდება ტოტალიტარულ და იმპერიულ ძალთა აგრესიის შედეგად. ეს შინაგანი ძალებია თუ გარეგანი, ამ შემთხვევაში მე ამას არ ვაზუსტებ.

რაც შეეხება ჩემს რეპლიკას: პრეზიდენტი, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეა. თუ ნებისმიერ მოქალაქეს, ნებისმიერ პოლიტიკოსს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, რატომ არა აქვს ამის უფლება პრეზიდენტს? მით უმეტეს, მისი რეპლიკა კანონი არ არის.

ბოლოს და ბოლოს, მე ვთქვი და კვლავ ვადასტურებ მხოლოდ იმას, რომ უნდა შეიქმნას კანონი. პრეზიდენტის სიტყვა ხომ ჯერ კანონი არ არის?

კანონის შემუშავებას სჭირდება ხანგრძლივი, დემოკრატიული პროცედურა, კერძოდ, ჟურნალისტთა კორპუსის აქტიური მონაწილეობით.

და ნურავინ ცდილობს საქმე ისე წარმოაჩინოს, თითქოს პრეზიდენტი ვერ აცნობიერებდეს თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ღირებულებებს. ეს პრინციპები ჩემი მოღვაწეობის ზნეობრივ საფუძვლად იქცა. მე მათ არასდროს ვუღალატებ, ვინაიდან ეს იქნებოდა ჩემი საქმის ღალატი, იმ საქმისა, რომელსაც, დიახაც, თავი შევწირე: ანუ ძლიერი, თავისუფალი, ლაღი და ბედნიერი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველოს დაფუძნებას. იქნება ასეთი სამშობლო და იქნება ასეთი საქართველო.

**– გასულ კვირას გაიმართა მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს სხდომა, მწვავე დისკუსია. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ შიდაპარტიული პრობლემების საამკარაოზე გამოტანა. მით უმეტეს, რომ ამით კიდევ უფრო ძლიერდება შთაბეჭდილება მმართველი პარტიის დაშლის შესახებ?**

– საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, დემოკრატიული ორგანიზაციაა. იგი ეყრდნობა მოსახლეობის ნდობას და ჩვენ სულაც არ გვაშინებს, ვიყოთ გულწრფელნი ამომრჩევლებთან, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება თვალი ადევნონ პარტიაში მიმდინარე დისკუსიებს, როგორი მწვავეც უნდა იყოს ეს და დასამალიც არაფერია.

შესაძლოა ყველა პარტია ასე არ იქცევა, თუმცა არანაკლები შიდა პრობლემები აქვთ. ეს, რა თქმა უნდა, მათი საქმეა. ამომრჩეველი კი თავად განსჯის, რომელი პოზიცია უფრო პატიოსანი, გულწრფელია და მისაღები..

კატეგორიულად ვერ გავიზიარებ აზრს, თითქოს შეიძლება პარტია თვითონ ტოტალიტარულ პრინციპებს ეფუძნებოდეს და დემოკრატიულ საზოგადოებას აშენებდეს.

ამდენად, დისკუსია, აზრთა ჭიდილი, სავსებით ბუნებრივი მოვლენაა.

ის, რომ მე მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელი ვარ, სულაც არ მიშლის ხელს, ვითანამშრომლო სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან. უფრო მეტიც, ეს ჩემი ვალდებულებაცაა. აი, კიდევ ერთი მაგალითი, თავისუფლების და პასუხისმგებლობის ერთიანობისა: პრეზიდენტს აქვს უფლება უხელმძღვანელოს პოლიტიკურ ორგანიზაციას, მაგრამ, ამავდროულად, ვალდებულია ითანამშრომლოს ყველა პოლიტიკურ პარტიასთან და გაითვალისწინოს განსხვავებული აზრი.

სხდომის შემდეგ მე შევხვდი ბატონ ზურაბ ჟვანიას და ჩვენ ერთობლივად განვიხილეთ იმ სირთულეთა, პრობლემათა დაძლევისა და გადალახვის გზები, რომლებიც ნამდვილად არსებობს: ამის დაფარვას და მიჩქმალვას აზრი არა აქვს. იმედი მაქვს, შეხედულებათა და წინადადებათა თავისუფალი გაზიარებით, კოლეგიური, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობით ჩვენ შევძლებთ ამ პრობლემების გადაწყვეტას. სწორედ ასეთი დამოკიდებულება გახლავთ პარტიის მთლიანობის გარანტი.

**– როგორც ცნობილია, გადაიდო თქვენი ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში. არის თუ არა შეთანხმებული ახალი ვადა?**

– ცნობილი ობიექტური მიზეზების გამო, მაშინ მე ვერ შევძელი თურქეთში გამგზავრება. თუმცა, უკვე მივიღე განახლებული მოწვევა თურქეთის პრეზიდენტისაგან.

დაახლოებით 20-22 იანვარს ვეწვევი მეგობარ თურქეთის რესპუბლიკას. ეს ფრიად საშურ საქმედ მიმაჩნია, ვინაიდან ძალიან ბევრი, უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი გვაქვს განსახილველი და გადასაწყვეტი სტრატეგიული პარტნიორობის ინტერესების გათვალისწინებით, რაც უკვე თვისებრივი გახდა ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობისათვის. თურქეთი, სავაჭრო ურთიერთობის დონით ჩვენი მეორე პარტნიორია, ასზე მეტი ერთობლივი საწარმო გვაქვს თურქებთან. ეს ძალიან კარგი მაგალითია დანარჩენი მსოფლიოსათვის, რომ საქართველოსთან ურთიერთობა სასარგებლოა. აი, ამ ტენდენციების განმტკიცებას ვისახავ მიზნად თურქეთში ვიზიტის დროს.

საქინფორმი.

## სახელმწიფო მინისტრი

## გაერო შეშფოთებულია კოდორის ხეობაში არსებული მდგომარეობით

დეკემბერში უკვე მესამედ გაიტაცეს სამშვიდობო ძალების მოსამსახურეები. გაეროს შტაბბინაში შეშფოთებული არიან კოდორის ხეობაში არსებული მდგომარეობის გამო და სამშვიდობო ძალების მოსამსახურეებისათვის უშიშროების გარანტიების შექმნას ითხოვენ, – განაცხადა 25 დეკემბერს სახელმწიფო მინისტრთან გიორგი არსენიშვილთან გამართულ შეხვედრაზე გაეროს სამშვიდობო ძალების გენერალმა ანის ახმედ ბაჯვამ. როგორც გაეროს სამშვიდობო ძალების გენერალმა აღნიშნა, მან ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებო მითითება მიიღო გაეროს გენერალური ოფისიდან. ბაჯვას თქმით, იანვარში გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულია, აგრეთვე, კოდორის ხეობაში შექმნილი მდგომარეობისა და ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვა. შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა განაცხადა, რომ იგი შესაბამის უწყებებს უახლოეს ხანში უშიშროების მექანიზმების შემუშავებასა და სათანადო ღონისძიებათა განხორციელებას დაავალებს.

საქინფორმი.

## ეროვნული ვალუტის გასამყარებლად!

მომავლის სავალუტო პოლიტიკა მცურავ სავალუტო რეჟიმს დაეფუძნება, ხოლო ლარის გაცვლითი კურსი სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად ჩამოყალიბდება, – ასეთი იქნება 2001 წლის საქართველოს ეროვნული ბანკის სტრატეგია. მომავალი წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია არ დავუშვათ ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი კონიუნქტურული რყევა და იმავდროულად იგი ორიენტირებული უნდა იყოს საგარეო ბაზარზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ხელშესაწყობად. გარდა სებ-ის საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ ორი თვის ეკვივალენტი უნდა შეადგინოს.

## ჰუმანიტარული დახმარება სტიქიისაგან დაზარალებულთათვის

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა განკარგულება, რომლითაც თურქეთის რესპუბლიკის წითელი ნახევარმთვარის „ქიზილაის" მიერ საქართველოსათვის გადმოცემული ჰუმანიტარული სასურსათო პროდუქტების გამოყენების უზრუნველსაყოფად საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დაევალა პრეზიდენტის რწმუნებულს კახეთის რეგიონში ბიძინა სონღულაშვილს გადასცეს 20 ტონა ფქვილი, 10 ტონა ლობიო და 10 ტონა მცენარეული ზეთი. თავის მხრივ, სახელმწიფო რწმუნებულმა უნდა უზრუნველყოს ტვირთის დროულად მიღება, ტრანსპორტირება და ახმეტის რაიონის მოსახლეობისათვის განაწილება.

## თურქმენეთის ვალის დასაფარად

თურქმენეთისადმი საქართველოს არსებული დავალიანების გასტუმრების ერთ-ერთ საშუალებად, შესაძლოა, კლირინგი იქცეს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, ამ საკითხის შესახებ სამინისტრო მეწარმეებს მოსალაპარაკებლად იწვევს. მისი თქმით, დღეისათვის საქართველოს დავალიანება თურქმენეთისადმი 336 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

№ 335. სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2000 წელი.

## ხელისუფლება და პრესა

[illegible] გადადგომას. ისინი ამტკიცებენ, რომ, მათი აზრით, თქვენ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის შესაძლებლობანი ამოწურეთ. თქვენი კომენტარი ამის შესახებ. და კიდევ: მიაქციეთ თუ არა ყურადღება, რომ ორი–სამი წლის წინათ ამგვარი მოწოდებანი გაისმოდა პრორუსული პოლიტიკის მიმდევარი ქართველი პოლიტიკოსებისაგან. ახლა კი, ამგვარი წინადადებებით, ძირითადად, პროამერიკული პოლიტიკის მიმდევარნი გამოდიან...**

— მე არ ვიცი, განა ბევრნი არიან პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც მომიწოდებენ გადადგომისაკენ. ალბათ, ამ შემთხვევაში ორი გარემოებაა საგულისხმო: პირველი, მე ხალხმა ამირჩია ჩემი ასაკის, გამოცდილებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით. და მეორე, მე თავად უნდა დავრწმუნდე, რომ ამოვწურე საკუთარი პოტენციალი და შესაძლებლობანი. ჯერჯერობით მე ამას, უფრო მეტიც, ამის ნიშნებსაც კი ვერ ვგრძნობ.

**— გაზეთ „სპორტექსპრესის“ რედაქციამ გთხოვათ როგორც საკმაოდ დიდ გულშემატკივარს, დაასახელოთ მეოცე საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი: პელე, მარადონა, ან ვინც თქვენ მიგაჩნიათ საუკეთესოდ?**

— მაინც პელე, ოღონდ ამის შესახებ მარადონას ნუ ეტყვიან.

**— მინდა პრესასთან დაკავშირებით დავსვა კითხვა და განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს ბოლო სხდომაზე, რომელზეც პარტიის ლიდერებად წოდებულებმა საკმაოდ სერიოზული განცხადებები გააკეთეს თავისუფალი პრესის მისამართით. თქვენი კომენტარი. რატომ მოხდა ისე, რომ დემოკრატებმა, როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ და როგორც მათ დასავლეთში მიიჩნევენ, თქვენმა თანაგუნდელებმა და აღზრდილებმა — პარლამენტის თავმჯდომარით დაწყებული და რიგითი პარლამენტარით დამთავრებული, არც ერთმა ხმა არ ამოიღო იმაზე, როდესაც ლაპარაკობდნენ კონკრეტული ტელეკომპანიისა თუ კონკრეტული გაზეთის საქმიანობაზე და მას აფასებდნენ როგორც ანტისახელმწიფოებრივს, ანტიეროვნულსა და ასე შემდეგ...**

— მე არ მახსოვს, რომ ეს სიტყვები ეთქვა ვინმეს — ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული, ყოველ შემთხვევაში, იმ დისკუსიის დროს ასეთი რამ არ ყოფილა. და არც პრესის მიმართ ყოფილა რაღაც „შკვალი“. იქ უფრო პარტიის შიდა პრობლემებზე იყო საუბარი.

რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას პრესის, სიტყვის თავისუფლების, პიროვნების თავისუფლების მიმართ, არ ვიცი, რამდენად წარმატებით, მაგრამ შევეცადე ამ დილით ჩამომეყალიბებინა ჩემი შეხედულებანი. გაეცანით და თუ მეთანხმებით, შევხვდეთ ცალკე და ვიკამათოთ.

**— გქონდათ თუ არა და აპირებთ თუ არა უახლოეს ხანში კონსულტაციებს პრესის კანონთან დაკავშირებით პარლამენტში, ან თუნდაც მთავრობაში?**

— აუცილებლად მექნება კონსულტაციები. მათ შორის (არ ვიცი, ახლა მოვახერხებ თუ არა) მინდა შევხვდე რედაქტორებს და მათ, ვისაც ისინი მიიჩნევენ საჭიროდ, მოიწვევენ ამ შეხვედრაზე და ვიმსჯელებთ. მე ვთქვი ამ დილით, რომ პრეზიდენტის მიერ ნათქვამი ესა თუ ის ფრაზა, ესა თუ ის მოსაზრება, ესა თუ ის რეპლიკა, კანონი არ არის. მე ხელი შევუწყვე იმ დისკუსიის ინიცირებას, რომელიც ახლა მიმდინარეობს — არის თუ არა აუცილებელი და საჭირო პრესის კანონი. ჩემი აზრით, არის საჭირო. შეიძლება დამარწმუნონ, რომ არ არის საჭირო. დემოკრატიულ ქვეყანაში კამათი ჩვეულებრივი მოვლენაა და უნდა ვიკამათოთ.

**— მიმაჩნია, რომ კანონი პრესის შესახებ აუცილებელია, მასში ძალიან გამოკვეთით უნდა იყოს გათვალისწინებული ჟურნალისტის მორალური და ფიზიკური დაცვის მექანიზმი. დღის 3 საათზე, რედაქციის წინ, დამესხნენ თავს და ასეთი თავდასხმა, ოთხი წელია თბილისში ვარ, იყო 12 თუ 15-ჯერ. არც ერთ შემთხვევაში ხელისუფლებას არავინ დაუსჯია, მიუხედავად იმისა, რომ ყველა თავდამსხმელი ცნობილია. თუ ჩვენ ხელისუფლება არ დაგვიცავს, ძალიან ცუდად წავა საქმე. დაუსჯელობის სინდრომმა მიიყვანა საქმე იქამდე, რომ ქუჩაში მხედება კაცი... ვიცი, ეს შეკითხვა თქვენ სრულებით არ გეხებათ, იგი ქვემო ინსტანციებს შეეხება, მაგრამ არავინ არ არის არაფრის გადამწყვეტი პრეზიდენტის გარდა. ცნობილია მანქანის ნომერი, საიდანაც გადმოვიდა თავდამსხმელი. ნომერი გადავეცით პოლიციას, თქვენი პრესსამსახურიც დამეხმარა. პოლიცია ერთი კვირაა არ ამბობს, ვისია მანქანა. ასეთ სიტუაციაში მივმართავ პრეზიდენტს, რადგან, ვინც უნდა დაგვიცვას, ის თავს გვესხმის. მინდა გკითხოთ, როგორ მოვიქცეთ? (ჟურნალისტ კლარა აბრამიას შეკითხვა).**

— მე გავერკვევი ამ საკითხში. რაც შეეხება ზოგად საკითხს: თუ პრესის კანონი ჩვენ გვჭირდება, უწინარესად, გვჭირდება იმისთვის, რომ მოპოვებული თავისუფლება, ყოველ შემთხვევაში, დეკლარირებული და აღიარებული თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება და მთელი ეს პროცესი შეუქცევადი იყოს და შეიქმნას გარანტიები იმისათვის, რომ არც ერთ ჟურნალისტს, როგორ მწარე სიმართლეს ან თუნდაც ჭორს ავრცელებდეს, ფიზიკური საფრთხე არ ემუქრებოდეს. არის სასამართლო და მან უნდა გაარკვიოს ასეთი საკითხები.

რაც შეეხება იმას, რომ პირადად თქვენს მიმართ ვიღაცამ ხელი აღმართა ან რაღაც პროვოკაციული ქმედება ჩაიდინა, მე დღეს დავავალებ და გაერკვევიან ყველაფერში.

**— კმაყოფილი ბრძანდებით თბილისში გამართული მოლაპარაკებით რუსეთის ბაზებისა და ეკონომიკური საკითხების ბლოკის შესახებ? რამდენად აძლევს ხელს საქართველოს ამ მოლაპარაკებაზე მიღებული გადაწყვეტილებანი?**

— მე დღეს დილით ვილაპარაკე ამის შესახებ. ძალიან კმაყოფილი ვარ ახლანდელი მოლაპარაკების სულისკვეთებითა და შინაარსით, განსაკუთრებით, ეკონომიკური საკითხებით. მიღებულია ძალიან მნიშვნელოვანი სერიოზული გადაწყვეტილებანი, რომლებიც ხელს აძლევს რუსეთსაც და საქართველოსაც, მათ შორის, ენერგეტიკის სფეროში, მანქანათმშენებლობაში, კერძოდ, ქუთაისის საავტომობილო ქარხნისა და ზოგიერთ სხვა საკითხზე. რაც შეეხება ძალიან რთულ პრობლემას სამხედრო ბაზების შესახებ, აქაც არის მიღწეული სერიოზული წინსვლა, რეალურად შესამჩნევად შემცირდა ტექნიკა, რომელიც დისლოცირებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე. ეს პროცესი ახლა თითქმის მთავრდება. რაც შეეხება ორ ბაზას, რომელთა შესახებ კვლავ მიმდინარეობს დავა, აქ მოძებნილია ფორმულა, რომელიც მოგვცემს საშუალებას შემდგომ რაუნდებზე მივაღწიოთ ამ პრობლემის რეალურ გადაწყვეტას.

**— რომელ ამოცანას მიიჩნევთ მომავალ წელს საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვნად და რომელი საკითხები უნდა განხორციელდეს პირველ რიგში?**

— ეს, უწინარესად, არის სოციალური პრობლემები, ჩვენი ძალისხმევის გააქტიურება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, ლტოლვილთა დაბრუნება. ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი მუდმივად თანამდევი პრობლემებია და უნდა მივაღწიოთ გარკვეულ პროგრესს. და მეორე — რუსეთთან ახალი ურთიერთობის მშენებლობის დასაწყისი. მხედველობაში მაქვს ის, რომ პირველი კვარტალის დამლევს მომზადდეს ახალი დიდი, ყოვლისმომცველი ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება გახდეს ორი ქვეყნის თანამშრომლობის საფუძველი.

**— ორი დღის წინათ რადიო „ფორტუნამ“ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტის სტიპენდიანტებისათვის ბიუჯეტში თანხა არ არის და ამდენად, სტიპენდიანტებს მხოლოდ დიპლომებს გადასცემენ. რამდენად ობიექტური და მართალია ეს ინფორმაცია?**

— ეს არ არის ისეთი მოცულობის თანხა, რომლის გამოძებნა არ შეიძლებოდეს. თქვენ იცით, რომ პრეზიდენტს აქვს მცირეოდენი თანხა. ეს არის ქვეყნის რეზერვი განსაკუთრებული შემთხვევებისათვის. და, თუ სხვა წყარო არ მოიძებნება, პრეზიდენტი თავისი ფონდიდან დააფინანსებს.

**— ჩვენ ნამდვილად არ გვაშინებს პრესის კანონი, თუმცა აქ არის ერთი გარემოება, კერძოდ, ის, რომ პარლამენტში რამდენჯერმე გაიმართა კენჭისყრა, რომელიც გაუგებარი შედეგებით დამთავრდა, არ მოხდეს ისე, რომ კანონპროექტი პარლამენტს წარუდგინონ, რათა დაიცვან სიტყვის თავისუფლება ან ჟურნალისტები ძალადობისაგან. ბოლო მომენტში შეიძლება მოხდეს ისე, რომ შებრუნდეს ვითარება, ვიღაცამ დააყენოს ალტერნატიული წინადადება კენჭისყრაზე, რომელსაც მხარს დაუჭერენ. მით უმეტეს, რომ ოპოზიციამ ღიად გამოთქვა სურვილი პრესის შეზღუდვის ...**

—მე ვამტკიცებ, რომ არ უნდა შეიზღუდოს პრესა, თუ კანონი მომზადდება, თუ ჩვენ ყველანი ჩავთვლით, რომ ასეთი კანონი აუცილებელია. მე მგონია, რომ რაღაც ფორმა უნდა მოვძებნოთ, მოსახლეობასაც მოვეთათბიროთ, მკითხველებსაც, მსმენელებსაც, რადგანაც ეს არა მარტო პრესას, გაზეთებს გულისხმობს, არამედ ტელევიზიას, რადიოს და ასე შემდეგ. მე დღეს ვილაპარაკე ინფორმაციის გავრცელების სრულიად ახალ საშუალებებზე. ამდენად, ვფიქრობ, რაღაც ფორმა უნდა მოიძებნოს, რომ მოქალაქეთა რაც შეიძლება ფართო ფენებს მოვეთათბიროთ და პარლამენტში პრეზიდენტის ხელმოწერით შეტანილი კანონპროექტი ისეთი იყოს, რომ მისი დაბრუნება ან უგულებელყოფა შეუძლებელი გახდეს. და თუ ოპოზიცია უფრო უკეთეს კანონს მოამზადებს, ბუნებრივია, მაშინ იმ უკეთეს კანონს დავუჭიროთ მხარი.

### „როცა ვლაპარაკობ რუსეთ-საქართველოს ახალ ხელშეკრულებაზე, რა თქმა უნდა, უწინარესად, მხედველობაში მაქვს ხელშეკრულება იმ საქართველოსთან, რომლის ერთიანობა უნდა აღდგეს და რომლის ერთიანობის აღდგენაში რუსეთმა უნდა თქვას ერთ-ერთი გადამწყვეტი სიტყვა“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 25 დეკემბრის ბრიფინგი

**— გათვალისწინებული აქვთ თუ არა ჰოლანდიელებს იზოტოპების ინსტიტუტთან დაკავშირებით, რომ რვა თვეში ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად თანხის დიდი წილი დააბანდონ წარმოებაში?**

—ვეთანხმებით, ძალიან სერიოზული შეკითხვაა. ეს ის ფორმაა, რომელიც მოქმედებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ევროპაში, ცენტრალური აზიის ქვეყნებში და სხვაგან და სხვაგან. მათ შესანიშნავად იციან, რომ პატარა ბზარიც კი, დაშვებული პატარა შეცდომაც ეკოლოგიურ სფეროში, შეიძლება გამოუსწორებელი იყოს. გარწმუნებთ 100 პროცენტით, რომ ეს გამორიცხულია, მე ყველა ჟურნალისტს ვურჩევ, გაეცნონ ამ სამეცნიერო ცენტრის მუშაობას. ეს აუცილებელია. მე მარტო რედაქტორები არ მყავს მხედველობაში, პრესის ის მუშაკები, რომლებიც შეიძლება ძალზე შორს არიან სტაბილური იზოტოპებისაგან. ძალიან საინტერესოა, იგი დღეს საქართველოში ახალ ტექნოლოგიათა განვითარების ერთ-ერთი ფლაგმანია.

**— ჩვენ თითქმის ოთხი თვის განმავლობაში ვიკვლევდით, თუ რამდენი ადამიანია დანიშნული ამა თუ იმ თანამდებობაზე ნათესაური ნიშნით. აღმოჩნდა, რომ (აქ ლაპარაკი არ არის თქვენს ნათესაობაზე, ლაპარაკია მაღალი თანამდებობის პირთა ნათესავებზე), ძალიან დიდია ეს კავშირი და კონტაქტი: როცა და აკონტროლებს ძმას, მინისტრს სამსახურში ჰყავს უამრავი თავისი ახლობელი — მეჯვარე, ნათლული და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. თქვენ რამდენად მისაღებად მიგაჩნიათ ამ ფორმით სახელმწიფოს მართვა. ხომ არ გამოიწვევს ასეთი კავშირურთიერთობანი რაღაც საკითხების გადაწყვეტას არასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, არამედ რაღაც პირადი ინტერესებით. ჩვენს ჩინოვნიკებსაც ხომ არ უნდა მივალებინოთ რაიმე ეთიკის კოდექსი ან კანონი, რომ მათი ასეთი კავშირი მეტ–ნაკლებად შეიზღუდოს?...**

— კანონი ჩინოვნიკების შესახებ არსებობს, რომელიც ისეთ შემთხვევებს, თქვენ რომ გულისხმობთ, გამორიცხავს. და უნდა გამოირიცხოს კიდეც. ხანდახან დამთხვევაც ხდება: მინისტრად დაინიშნა პიროვნება, მივიდა სამინისტროში და იქ მას ვიღაც ნათესავი თუ მეგობარი, თანამოაზრე დახვდა. ალბათ, მას არა აქვს კანონით გათვალისწინებული საფუძველი დაითხოვოს სამუშაოდან, რადგან ასე უბრალოდ არ ხდება. მაგრამ, თუ მინისტრი, გნებავთ, გამგებელი ადამიანს არჩევს იმ ნიშნით, რომ თუ ნათესავია — კარგია, და თუ არა — ცუდი, ასეთი ხალხი არ უნდა მუშაობდეს. სხვათა შორის, თავის დროზე (თქვენ მაშინ დაბადებულიც არ იყავით, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია), საბჭოთა ხელისუფლების დროს მე მივიღე სპეციალური დადგენილება პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ეს იყო ძალიან სასტიკი კანონი, და თითოეული, ვინც ამ დადგენილებას გადაუხვევდა, სასტიკად ისჯებოდა. შეიძლება კიდეც დაგვჭირდეს ახლა ეს კანონი და ამოვიღოთ არქივიდან.

**— დარჩება თუ არა საქართველოში რუსეთის ბაზები? ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობის ლიდერებმა რაღაც მინიშნება გააკეთეს, რომ შეიძლება საქართველომ კომპრომისი დაუშვას. ხომ არ შეიცვლება პოლიტიკური კურსი, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ამბობთ, რომ ევროკავშირისაკენ მივდივართ?...**

— არა, პოლიტიკური კურსის შეცვლა გამორიცხულია, ევროკავშირში გაწევრიანება ჩვენი მიზანია. ვერ გეტყვით, როდის მოხდება ეს. ამას დრო დასჭირდება, მაგრამ ეს არის ჩვენი სტრატეგიული მიზანი. ყოველ შემთხვევაში, არც ჩემი პრეზიდენტობის დროს, და არც შემდეგ არავითარი ცვლილება არ უნდა მოხდეს. ჩვენ სამომავლოდ ძალიან ძლიერი ფარი გვჭირდება, ისეთი ფარი, როგორიც არის ევროკავშირი, მარტო დღეს არ არის საქართველო, ასე ვთქვათ, ერთგვარ სახიფათო ზონაში. ეს საფრთხე ჩვენთვის მუდმივად, ისტორიულად დამახასიათებელი იყო და ჩვენს ქვეყანას ძალიან ძლიერი მოკავშირე, ძლიერი პარტნიორი და ძლიერი ფარი სჭირდებოდა.

რაც შეეხება სამხედრო ბაზებს, უნდა გითხრათ, რომ ის, რაც გაკეთდა, თუ გადაჭარბებული არ იქნება, ყოველგვარ მოლოდინს აღემატება. რადგან არ მეგონა, რომ სტამბოლის ხელშეკრულებები ასე დროულად და დადგენილ ვადებში შესრულდებოდა. ისიც მინდა გითხრათ, რომ მთელი ეს პროცესი— საკმაოდ დიდი რაოდენობის ტექნიკის — ტანკების, ჯავშნიანი მანქანების, საარტილერიო სისტემების გაყვანა საქართველოდან საერთაშორისო მეთვალყურეთა თანდასწრებით მიმდინარეობდა. მათ შორის იყვნენ ამერიკისა და ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები.

რაც შეეხება არსებული ბაზების პრობლემას, რომლებიც ჯერჯერობით აქ რჩება, მოიძებნა ასეთი ფორმულა. თქვენ გახსოვთ, თავის დროზე, ამ ბაზების დაფუძნება დავუკავშირეთ აფხაზეთის პრობლემას. პირადად მე, ახლა მიმაჩნია, რომ შეიძლება რაღაც ვადებზე ვილაპარაკოთ, თუკი აფხაზეთის პრობლემის მოგვარება დაჩქარდება. ჩვენმა დიპლომატებმა მოძებნეს საინტერესო ფორმულა ვადებთან დაკავშირებით, რამდენ ხანს შეიძლება საქართველოში კიდევ დარჩეს, ვთქვათ, ან ბათუმში ან ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზები. ფორმულა ასეთია: უნდა გამოვიანგარიშოთ, რა დროა საჭირო იმისათვის, რომ ეს ბაზები გაიყვანონ, ეს იოლი საქმე არ არის. აქ მარტო ტექნიკა არ არის. უნდა შეიქმნას თუნდაც ელემენტარული პირობები იმათთვის, ვინც უნდა გავიყვანოთ. თუ ჩვენ რუსეთთან ვიმეგობრებთ, ალბათ, იმ ადამიანებზეც უნდა ვიფიქროთ, რომლებიც უნდა გავიდნენ, მათ ცოლ-შვილი ჰყავთ, საჭიროა სკოლები, საცხოვრებელი სახლები და ასე შემდეგ. უნდა განისაზღვროს მინიმალური დრო და ამ დროში უნდა მოხდეს ბაზების გაყვანა. რამდენი იქნება ეს, ალბათ, სადისკუსიო საკითხია. ეს ფორმულა ძალიან საინტერესოა, მე გთხოვთ ამოიწეროთ და მიაქციოთ ყურადღება. იგი გვაძლევს საშუალებას მოქნილიც ვიყოთ და პრინციპულიც.

**— როგორ შეაფასებდით უკვე განვლილ საუკუნეში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, 90-იანი წლების დამდეგს იყო ლაპარაკი, რომ ჩვენ სტრატეგიული პარტნიორები ვართ, შემდეგ ლაპარაკობდნენ მეგობრულ ურთიერთობაზე, მაგრამ რუსეთის სათათბირომ არ მოახდინა ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია. შემდეგ გაჩნდა „ცივი ომის“ ნიშნები... კონკრეტულად, როგორია თქვენი შეფასება და კონკრეტულად როგორი გინდათ იხილოთ იგი ახალ ათასწლეულში? რა არის ის მთავარი, რაც ხელს უშლის ორი ქვეყნის ნორმალურ ურთიერთობას?**

— ბოლო წლებში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, შეინიშნება ერთგვარი მერყეობა, მოულოდნელი სერიოზული ცვლილებები. ვფიქრობ, თუ ცივი გონებით შევაფასებთ იმას, რაც ხდება, სადღაც ეს კანონზომიერია. რადგან, გამიგეთ, დავა შეიძლება მოხდეს არა მარტო რუსეთსა და საქართველოს შორის. უფრო სერიოზული დავაა, მაგალითად, რუსეთსა და უკრაინას შორის, რომელიც უკავშირდება გაზის ტრანსპორტირებას, მის გამოყენებას, დიდია დავალიანებაც. ეს დისკუსიების, განხილვისა და ცნობილ წინააღმდეგობათა მუდმივი პროცესია. ასევე შეიძლება ითქვას ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებზეც. შეიძლება საქართველო ძალიან მგრძნობიარე ქვეყანაა რუსეთისათვის ისევე, როგორც ჩვენთვისაც მგრძნობიარეა, როცა ლაპარაკია რუსეთზე, ჩვენდამი რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულებაზე. ამიტომ საჭიროა ძლიერი ნერვები, რომ ემოციას არ ავყვეთ. რატომ შევიტანე წინადადება, რომ მომზადდეს ახალი ხელშეკრულება? ეს ფორმალური როდია. შეიძლება რაიმე აღმოჩენა არ იყოს, მაგრამ არსებობს ერთი ხელშეკრულება, რომელიც რატიფიცირებული არ არის. ამ მომენტით ვისარგებლე და შევთავაზე რუსეთის პრეზიდენტსა და სხვა ხელმძღვანელებს, რომ მომზადდეს ახალი ხელშეკრულება ახალი პირობების, ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ახალი დამოკიდებულების გათვალისწინებით. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენ შევძლებთ მოვამზადოთ და ხელი მოვაწეროთ ასეთ ხელშეკრულებას, სავიზო რეჟიმის საკითხიც მოიხსნება. ახალ ხელშეკრულებაში ასეთი სანქციები მიუღებელი იქნება. ვფიქრობ, აქ უნდა მოიძებნოს გასაღები, მომზადდეს სერიოზული, ორიგინალური დოკუმენტი, რომელიც გახდება 21-ე საუკუნეში, შემდეგ ათასწლეულში საქართველოსა და რუსეთს შორის ახალი ურთიერთობის საფუძველი. ახალი ურთიერთობა ნიშნავს სრულ თანასწორობას, ყველა ცალმხრივი მიდგომის უგულებელყოფას, მაგალითად, როგორც ეს გამოვლინდა სავიზო რეჟიმის შემოღებისას. ალბათ, ჩვენი მხრიდანაც არის რაღაც ცოდვები... ხომ ვმუშაობდით და ვცხოვრობდით ღირსეულად, როგორც შეეფერება მეგობრებს და როგორც იმ ხელშეკრულებაში იყო აღნიშნული, სტრატეგიულ პარტნიორებს.

**— რამდენად გეხმარებათ დამოუკიდებელი პრესა, რომ თქვენ გქონდეთ ობიექტური წარმოდგენა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. რამდენად არის თქვენთვის, როგორც პრეზიდენტისათვის, იგი საჭირო?**

— აუცილებელია, როგორც ჰაერი. მე არ ვთქვი წყალი, რადგან წყალი და პრესა შეუთავსებელია, ჰაერი კი სხვა საკითხია, აუცილებელია.

**— შვიდი წელი მიიწურა აფხაზეთის დაკარგვიდან. საზოგადოებაში ისეთი განწყობილებაა, თითქოს უკვე აღარ დადგება ის დრო, როცა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია აღდგება. რუსეთის დელეგაციის თბილისში ყოფნისას თქვენ გააკეთეთ განცხადება, რომელიც მასმედიის საშუალებით გავრცელდა, რომ მოლაპარაკება გაიმართება, თუ მოგვარდება აფხაზეთის პრობლემა. პრინციპში, თქვენ ამ საკითხს ახლაც შეეხეთ. თუ საიდუმლო არ არის, რა იგულისხმეთ, როცა ეს განაცხადეთ და რაიმე პრაქტიკული თვალსაზრისით, ველოდოთ თუ არა სიახლეს ამ ახალ წელს აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით?**

— ვფიქრობ, ყველაზე უფრო საინტერესო მოვლენაა ის, რომ, ჯერ ერთი, საკითხის მოგვარება არის ინტერნაციონალიზებული — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია არის ჩართული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით და, რა თქმა უნდა, ევროპის უშიშროების სტრუქტურებიც.

თქვენ ერთ მომენტს მიაქციეთ ყურადღება, ეს, ალბათ, მომავალი წლის პერსპექტივა არ არის, მაგრამ ევროკავშირმა თითქმის მიიღო (ზოგიერთ საკითხში საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ) გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას ევროკავშირის ჯარები. ეს იმის გათვალისწინებით, როცა ამა თუ იმ რეგიონში მშვიდობას ექმნება საფრთხე, ევროპას უნდა ჰქონდეს თავისი სტრუქტურა წესრიგისა და მშვიდობის დასამყარებლად. ბევრი რამ არის ძალიან საინტერესო, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესოა ის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს აფხაზებსა და ქართველებს შორის. მხედველობაში მყავს აფხაზები, რომლებიც იქ ცხოვრობენ, ანდა ცხოვრობენ — რუსეთში, უკრაინაში და სხვაგან, ასევე, ქართველი საზოგადოება. თანდათანობით მწიფდება აზრი (და ეს არ არის ჩემი პირადი დაკვირვება, ეს არის ოფიციალური, სერიოზული მონაცემები). აფხაზებშიც და, რა თქმა უნდა, ქართველებშიც, რომ ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ. ამაზე ლაპარაკი თვით აფხაზეთში რამდენიმე წლის წინათ შეუძლებელი იყო. ახლა ძალიან ბევრი, მათ შორის, მოღვაწეები არათუ ლაპარაკობენ, არამედ წერენ კიდეც, კერძოდ, რუსულ პრესაში, რომ გარდაუვალია ქართველებისა და აფხაზების ერთად ცხოვრება. მე ვერ გეტყვით, რომ ეს არის გაბატონებული, აბსოლუტური ჭეშმარიტება, მაგრამ ის, რომ ამაზე ფიქრი, მსჯელობა დაიწყო, ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯია. ყველაზე საიმედო ტენდენციად ეს მიმაჩნია, რასაც ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი, მათ შორის, პირად კონტაქტებს, პრესის წარმომადგენლებს შორის. ამას წინათ, თბილისში ხუთი-ექვსი აფხაზი ჩამოვიდა. თავის დროზე მათ სულ სხვა კატეგორიის ხალხს მივაკუთვნებდით — ომშიც მონაწილეობდნენ და სხვა. ჩამოვიდნენ ჩვეულებრივად და ძალიან საინტერესო დისკუსიები გაიმართა არა მარტო აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან, არამედ ჩვეულებრივ მოქალაქეებთან, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ. ძალიან ხშირია ასეთი შემთხვევა — ჩამოდიან, ეცნობიან, რა ხდება საქართველოში, თბილისში, ისე, როგორც ჩვენი წარმომადგენლები იქ. ეს ტენდენცია რაც შეიძლება უფრო უნდა გავაღრმავოთ, ისევე, როგორც ოსებთან. ოსებთან ურთიერთობა დღეს პრობლემა არ არის და ჩვენ მივუახლოვდით იმ მდგომარეობას, როდესაც ქართულ-ოსური კონფლიქტი საბოლოოდ უნდა მოგვარდეს. დარწმუნებული ვარ, მოგვარდება კიდეც. იგივე პროცესი მიმდინარეობს ახლა აფხაზეთში.

როცა ვლაპარაკობ რუსეთ-საქართველოს ახალ ხელშეკრულებაზე, რა თქმა უნდა, უწინარესად, მხედველობაში მაქვს ხელშეკრულება იმ საქართველოსთან, რომლის ერთიანობა უნდა აღდგეს და რომლის ერთიანობის აღდგენაში რუსეთმა უნდა თქვას ერთ-ერთი გადამწყვეტი სიტყვა.

**— გასულ ბრიფინგზე თქვენ აღნიშნეთ, რომ აფხაზეთის დაბრუნება თქვენი ცხოვრების მთავარი მიზანია. ალბათ, ასეთივე მიზანია სამაჩაბლოს საბოლოოდ დაბრუნება, კორუფციის აღმოფხვრა, ეკონომიკის განვითარება, ჯარის აღმშენებლობა და ის რეფორმები, რაც დაიწყო და რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ არ დამთავრებულა. თქვენ ახლა აღნიშნეთ, რომ ჯერ კიდევ შეგწევთ ძალა და უნარი, რომ ეს ყველაფერი გააკეთოთ. ახალ ათასწლეულში, იმ დარჩენილ პრეზიდენტობის ვადაში, არის თუ არა იმის გარანტია, იმის გეგმა, რომ ყველაფერს, რაც წინა საუკუნეში დაიწყეთ, ახალ საუკუნეში დაამთავრებთ. თუ ამისათვის კიდევ იქნება საჭირო ახალი ვადა?**

— არა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არ იქნება საჭირო. მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ, უფრო ახალგაზრდაც რომ ვიყო, კონსტიტუციის შეცვლის და რაღაც ახალი ვადების შემოღების — ეს პრინციპულად მიუღებლად მიმაჩნია. რაც შეეხება დარჩენილ დროს, მე იმ დღეს ვთქვი ჩემს კოლეგებთან — „მოქალაქეებთან“ შეხვედრის დროს, რომ ახლა ძალიან მოდაშია პოსტშევარდნაძისეული ეპოქა, ესე იგი, თავისთავად, რაღაცას ნიშნავს, როცა ეპოქაზე ლაპარაკობ. მე ვუპასუხე: ზოგიერთ ქვეყანაში პრეზიდენტს სამი წლის ვადით ირჩევენ, ზოგიერთში კი ოთხი წლით. და შევარდნაძის სამუშაო დრო, თუ მას სხვა რამემ არ ულალატა, ეს არის კიდევ თითქმის ოთხწელიწადნახევარი. ამ ხანში ისტორია იქმნება. პრეზიდენტი ხომ არ არის მარტო კონფლიქტების, ან ეკონომიკის დარგში? ჩემი საზრუნავია ყველა ის პრიორიტეტული მიმართულება, რომლის მოგვარებაზე დამოკიდებულია ქვეყნის ბედი, მათ შორის, აფხაზეთის დაბრუნება, ეკონომიკის აღმავლობა, კორუფციის დაძლევა და სხვა საკითხები. ვფიქრობ, ამ ხნის განმავლობაში ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია. ამის იმედს მაძლევს ის, რომ ქვეყანაში ახლა ცოტ-ცოტა სწორდება მდგომარეობა. გამოვდივართ ურთულესი და უძნელესი კრიზისიდან. მხედველობაში მაქვს ეკონომიკური და, განსაკუთრებით ფინანსური კრიზისი. ფინანსური კრიზისიდან ჩვენ შედარებით ნაკლები დანაკარგებით გამოვედით, რადგან ჩვენმა ხალხმა გაგვიწია ანგარიში. ვფიქრობ, მომავალი წელი მართლაცდა სერიოზულ ცვლილებათა და გარდატეხის წელი იქნება.

**— დღეს საქართველოში აუცილებელია პრესის კანონი. მსოფლიოს დიდ ქვეყნებში — ამერიკაში, შვედეთში და სხვა ქვეყნებში, არ არის პრესის კანონი, მათ იგი არ სჭირდებათ. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება და არა იმიტომ, რომ იქ ეწეროს, რა გააკეთოს ჟურნალისტმა, არამედ იმისათვის, რომ ჟურნალისტიკაში ცხვირი არავინ შეყოს, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებამ და შემდეგ დანარჩენებმა, რომ პრესა— ჟურნალისტიკა, მეოთხე ხელისუფლება დაცული იყოს ნებისმიერი ძალისა და ხელისუფლების ჩარევისაგან. ყოველ შემთხვევაში ეს უნდა გაკეთდეს გონივრულად და კორექტულად. ორი წლის წინათ მე ამას გადავყევი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. წაგვართვა პარლამენტმა. პარლამენტის წევრები რატომ უნდა იღებდნენ პრესის კანონს? არა, ეს მათი საქმე არ არის. პრესის კანონი უნდა შექმნან ჟურნალისტებმა. ამისათვის თქვენ უდიდეს ჭკვიანურ საქმეს გვთავაზობთ. პირადად თქვენ მოუყარეთ თავი რედაქტორებს და დაგველაპარაკეთ.იმისათვის, რომ, ხომ ხედავთ, სამწუხაროდ, თქვენს გარდა ვერავინ ვერაფერს აკეთებს. არადა, ხომ უნდა გააკეთონ.**

— კი ბატონო, შევთანხმდით. რაც თქვით, ყველაფერია ნათქვამი იმ რადიოინტერვიუში, რომელიც ამ დილით გადაიცა.

**— თქვენი შეფასებით, რა იყო წელს ქვეყანაში მთავარი მიღწევა, რა ვერ გაკეთდა, რაც შეიძლება გაკეთებულიყო. და, კიდევ, როგორც რუსეთში ამბობენ, პუტინს ხშირად აქვს კონსულტაციები მთავარ თემებზე ელცინთან. ელცინის პრეზიდენტობის დროს ჩვენ მოვაწერეთ ხელი ხელშეკრულებას თანამშრომლობისა და მეგობრობის შესახებ. თქვენ თუ გაქვთ კავშირი ახლა ელცინთან და თუ იცით მისი აზრი სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით?**

— ამ წელს მიღწეულ დადებითს მოვლენებზე თუ ვილაპარაკებთ, სამწუხაროდ, ჩამონათვალი დიდი არ იქნება. მაგრამ მე ვილაპარაკებ მაინც მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენის გათვალისწინებით. მთავარი მონაპოვარი, მაინც გახლავთ ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება, ეროვნული ვალუტის სტაბილურობის შენარჩუნება. და ეს არის ის ბაზისი, რომელიც გვაძლევს საშუალებას, მომავალ წელს გაცილებით უკეთ ვიმუშაოთ ყველა მიმართულებით. ჩვენ რომ დაგვენგრია საბანკო სისტემა, მოშლილიყო ჩვენი ფისკალური პოლიტიკა და არ ყოფილიყო სწორი, რა თქმა უნდა, უფრო მეტ სიძნელეს წავაწყდებოდით მომავალ წელს. ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი, რასაც მივაღწიეთ.

რაც შეეხება თქვენს დელიკატურ შეკითხვას, ბორის ელცინთან, მას შემდეგ, რაც მას დავემშვიდობე მოსკოვში, ურთიერთობა არ მქონია. ვიცი, რომ ელცინმა ძალიან გააკრიტიკა პუტინი იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის ჰიმნის მელოდია აღადგინა, პირველად საჯაროდ გამოთქვა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება. დანარჩენ საკითხებში — რაში ეთანხმებიან ერთმანეთს და რაში —არა, ვერ გეტყვით, თუმცა ვიცი, რომ კარგი ურთიერთობა აქვთ.

**— პანკისის ხეობა რუსეთისათვის, როგორც ჩანს, სადღეისოდ, უმთავრესი გამაღიზიანებელი ფაქტორია. რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, რომელიც აქ გახლდათ ვიზიტად, თქვა, რომ ქართულ მხარეს სთავაზობდნენ ახმეტის მხრიდან შეეყვანათ თავიანთი შეიარაღებული ძალები, რაზეც ქართულმა მხარემ უარი განაცხადა და დაპირდა რუსეთის მხარეს თავიანთი სამხედრო ქვედანაყოფები განელაგებინა პანკისის ხეობის ირგვლივ. მართლაც ასეა საქმის ვითარება, რომ გარდაუვალია სამხედროების ჩარევა?**

— მიმაჩნია, რომ კატეგორიულად მიუღებელია რუსეთის სამხედროების შემოყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, მხედველობაში მაქვს, პანკისის ხეობა ან სხვა რომელიმე ხეობები. ის, რომ ჩვენ იქ ბლოკ-პოსტები განვათავსეთ, ესეც საკმარისია. იქ ბევრი ხალხია დასაქმებული — ეს შინაგანი ჯარების წარმომადგენლები არიან, რომლებიც არავის არ აღიზიანებენ, მათ შორის, ხეობის რაიონების მცხოვრებლებსაც. მე ხვალ მექნება შეხვედრა ქისტებთან-უხუცესებთან, და ყველა ამ საკითხზე ვიმსჯელებთ. მაგრამ წინასწარ ვიცი, რომ ისინი არ დააყენებენ საკითხს ბლოკ-პოსტების გაუქმების შესახებ, რადგან ეს ბლოკ-პოსტები საქართველოს სახელმწიფომ დააწესა. ეს ქვეყნის შინაგანი ჯარებია და ამიტომაც გაღიზიანებას არ იწვევს. საკმარისია იქ შევიყვანოთ 10-15 რუსი სამხედრო, გარწმუნებთ, ხვალვე დაიწყება სისხლისღვრა. ამიტომაც ის სამხედრო, რომელმაც თქვენ ეს აგიხსნათ, შეცდა, მან არ იცის, რა არის კავკასია. არის მეორე გზაც: მე ვუთხარი ბატონ კლებანოვს და რუსეთის დელეგაციის სხვა წევრებს, ვინც აქ იმყოფებოდა — თუ ჩვენ გვსურს, აღმოვფხვრათ საზღვრის დარღვევის უკანონო ფაქტები, მცდელობა, როგორც ჩვენი, ისე რუსეთის მხრიდან, საზღვრის ჩაკეტვაა გამოსავალი. მაგალითად, თუ რუსეთის მხარეს აქვს საშუალება, გააძლიეროს მესაზღვრეთა რეზერვები, ჩაკეტოს საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთი, და ასევე ამ საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთიც. როდესაც ჩვენი საზღვარი უკანონოდ გადმოლახეს ბოევიკებმა, მათ საქართველოში სწორედ იმ ხეობით შემოაღწიეს, რომელიც ინგუშეთს ემიჯნება. საქართველო-დაღესტნის საზღვარზეც მოსაგვარებელია პრობლემები, რადგან შემდგომში შეიძლება იგი გამოიყენონ სხვა მიზნებისათვის. უმთავრესია დიალოგი იმის შესახებ, როგორ აღმოვფხვრათ იმ პირთა უკანონო შემოღწევა, რომლებიც არასასურველნი არიან როგორც საქართველოსათვის, ისე რუსეთისთვისაც.

რაც შეეხება რუსეთის შეიარაღებული ძალების შემოყვანას საქართველოს ტერიტორიაზე, მე ამას კატეგორიულად გამოვრიცხავ.

**— გქონდათ თუ არა კონტაქტი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ადმინისტრაციასთან და როგორ გესახებათ მომავალ წელს საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობა?**

— ისინი ჯერ არ განთავსებულან თეთრ სახლში. და მე არ ვიცი, როგორ დავუკავშირდე, მისამართი არა მაქვს. კონტაქტი გვაქვს იმ ჯგუფთან, რომელსაც ურთიერთობა აქვს მომავალ ხელმძღვანელობასთან. ზოგიერთს ვიცნობ, ძველი მეგობრები არიან, ვისთანაც ურთიერთობა მქონდა არჩევნებამდე, და, რასაკვირველია, არჩევნების შემდეგაც. რაღაც კონტაქტები გვაქვს, მაგრამ თავად პრეზიდენტთან ჯერჯერობით — არა. შემდეგი ოთხი წელიწადი საქართველო-ამერიკას შორის იქნება იმ პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავებისა და გაფართოების წლები, რაც უკვე დაკანონდა ორი ქვეყნის ცხოვრებაში.

საქინფორმი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 335. სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2000 წელი.

გამოსათხოვარი

# ვახტანგ ბერიძე



გარდაიცვალა ვახტანგ ბერიძე — გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჩვენი ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი.

ექვს ათეულს ითვლის ვახტანგ ბერიძის მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის წლები და დღეს, უთუოდ, ძნელი წარმოსადგენია ქართული მეცნიერებით, ქართული კულტურით, ქართული ხელოვნებით დაინტერესებული კაცი, ვისთვისაც უცხო იყოს ვახტანგ ბერიძის სახელი, არა მარტო ჩვენში, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

ვახტანგ ბერიძის, როგორც მეცნიერისა და როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში, რა თქმა უნდა, დიდი როლი შეასრულა ჯერ ოჯახურმა გარემომ (იგი ხომ ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ვუკოლ ბერიძის ვაჟი გახლდათ), შემდეგ კი თბილისის განთქმულმა პირველმა სკოლამ, სადაც შესანიშნავი პედაგოგების წყალობით (მიხეილ ზანდუკელი, ვასო აბდუშელიშვილი, იაკობ ზედგენიძე, დავით დონდუა და სხვები) მოსწავლე ახალგაზრდები არა მარტო ცოდნას ეუფლებოდნენ, არამედ მაღალზნეობრივ გაკვეთილებსაც იღებდნენ. ხოლო როცა, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, ვახტანგ ბერიძე შეხვდა გიორგი ჩუბინაშვილს — ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელს და ჩვენი ეროვნული კულტურის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს, ამ შეხვედრამ საბოლოოდ განსაზღვრა მაღალნიჭიერებით დაჯილდოებული, უკვე ფართოდ განათლებული და მეცნიერულ მუშაობას მოწყურებული ჭაბუკის სამომავლო გზა. იმ ხანებიდან მოყოლებული ვახტანგ ბერიძე მხარში ედგა გიორგი ჩუბინაშვილს, როგორც მისი თანამებრძოლი და თანამოაზრე, ხოლო ჩუბინაშვილის გარდაცვალების შემდეგ იგი თავისი დიდი მასწავლებლის ღირსეული მემკვიდრეა, მისი საქმის გამგრძელებელი, ქართული ხელოვნებათმეცნიერების ერთი ყველაზე თავდადებული და ერთგულესი მსახური.

ვახტანგ ბერიძე ფართო მასშტაბის მეცნიერი-მკვლევარი იყო. მისი სამეცნიერო საქმიანობის უმთავრესი სფერო ხუროთმოძღვრება გახლდათ, როგორც ძველი, ისე ახალი და თანამედროვე ხუროთმოძღვრება. ფართოდაა გახმაურებული მისი ფუნდამენტური გამოკვლევები: „მე-13-მე-16 საუკუნეების სამცხის ხუროთმოძღვრება", რომელშიც ერთი რეგიონის ძეგლების მაგალითით გამოვლენილია აღნიშნული პერიოდის ქართული არქიტექტურის ზოგადი პრინციპები; ორტომეული XIV-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ, რომელშიც თავმოყრილია უზარმაზარი მასალა — არა მარტო საეკლესიო, არამედ საერო, თავდაცვითი ნაგებობანი და, აგრეთვე, სხვადასხვა ქალაქების არქიტექტურა — წარმოდგენილია, ფაქტობრივად, მთელი ამ გვიანი ეპოქის ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების თანამიმდევრული სურათი; ხოლო მონოგრაფიაში ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის შესახებ (რუსულ და ფრანგულ ენებზე) პირველადაა მთელი სისრულით გამოვლენილი საქართველოს ამ ისტორიული პროვინციის ხუროთმოძღვრების მხატვრულ-ისტორიული ღირებულება და მნიშვნელობა და მისი ორგანული კავშირი შუა საუკუნეების მთელ კულტურასთან. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ვახტანგ ბერიძის ცალკეული ნარკვევები ძველი თბილისის თემასთან დაკავშირებით: „ლურჯი მონასტერი", „მეტეხი" და, განსაკუთრებით, ორტომეული — „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801–1917 წლებში".

ვახტანგ ბერიძის სამეცნიერო მოღვაწეობა არ იფარგლება მხოლოდ ხუროთმოძღვრებით. ასეთივე გატაცებით იკვლევდა იგი ქართული ხელოვნების სხვა დარგის მხატვრულ მოვლენებს — შუა საუკუნეების მხატვრობა იქნება ეს, ნაქარგობა, თუ ჩვენი დროის გამოჩენილ მხატვართა ცხოვრება და შემოქმედება (ნიკო ფიროსმანაშვილის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის თუ სხვათა და სხვათა).

ვახტანგ ბერიძის გამოკვლევების უპირველესი ღირსება შეიძლება ის არის, რომ მხატვრული ფაქტები აქ იზოლირებულად კი არაა განხილული და გაანალიზებული, არამედ ყოველთვის ცოცხალ კავშირშია ხალხის ისტორიასთან, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ამ ნაშრომებს, წმინდა სახელოვნებათმცოდნეო მნიშვნელობის გარდა უფრო ფართო, ზოგადი კულტურულ-ისტორიული ღირებულებაც აქვს. ამიტომაც არის, ალბათ, რომ ვახტანგ ბერიძის გამოკვლევებს ერთნაირი დაინტერესებით ეწაფება ხელოვნების ისტორიკოსიც, სხვა ჰუმანიტარული მეცნიერების სპეციალისტიც და მკითხველთა ბევრად უფრო ფართო საზოგადოებაც.

ვახტანგ ბერიძემ, მის გარშემო შემოკრებილ უფროს და უმცროს კოლეგებთან ერთად, არა მარტო ღირსეულად გააგრძელა და განავითარა გიორგი ჩუბინაშვილის მიერ დასახული ფართო სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, მან სრულიად განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ქართული ხელოვნებისა და ქართული ხელოვნებათმცოდნეობის მონაპოვართა საერთაშორისო ასპარეზზე გატანის საქმეს. ვახტანგ ბერიძეს უნდა ვუმადლოდეთ, უწინარესად, რომ დღეს დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ძველი თუ ახალი ქართული ხელოვნების შესწავლის საქმეში; მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს ხელთა გვაქვს უცხოეთში, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული არა ერთი წიგნი უცხოელი და ქართველი ხელოვნებათმცოდნეების ავტორობით. დაბოლოს, არ შეიძლება, აქ არ გავიხსენოთ ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი ექვსი საერთაშორისო სიმპოზიუმი (1974–1986 წლებში), რომელთა ერთ-ერთი მოთავე და ორგანიზატორი (უცხოელ კოლეგებთან ერთად) ვახტანგ ბერიძე გახლდათ. ამ ფორუმებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენში თუ საზღვარგარეთ.

ნამდვილად განსაცვიფრებელია ვახტანგ ბერიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი. ყველგან და ყოველთვის განუზომლად დიდი იყო მისი ავტორიტეტის ძალა და ფასი. ძნელად თუ გავიხსენებთ თანამედროვე ქართული კულტურის ისტორიიდან ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან მოვლენას ვახტანგ ბერიძეს რომ აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. იგი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა მუდამ და ხშირად ეხმიანებოდა კიდეც თავისი მართალი და გონივრული სიტყვით არა თუ საკუთრივ სახელოვნებო, არამედ კულტურის სხვა დარგის მოვლენებსაც — ლიტერატურა იქნებოდა ეს, თეატრი, მუსიკა თუ კინო.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ვახტანგ ბერიძის ღვაწლი ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთა მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით და ზრუნვა-პატრონობით აღიზარდა არა ერთი სპეციალისტი თუ შემოქმედი ხელოვანი, რომელთაგან ბევრი დღეს წარმატებით იღვწის ქართული მეცნიერებისა და კულტურის სარბიელზე. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის დიდი საგანმანათლებლო მოღვაწეობა, რომელსაც ვახტანგ ბერიძე ეწეოდა გაცილებით ფართო აუდიტორიისათვის ტელევიზიის, რადიოს, პრესის საშუალებით თუ საჯარო ლექციებითა და მოხსენებებით.

სრულიად ბუნებრივია, რომ ვახტანგ ბერიძის ღვაწლი ქართული მეცნიერებისა და ქართული კულტურის წინაშე სათანადოდაა დაფასებული (ივანე ჯავახიშვილის სახელობის, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიები, სახელმწიფო პრემია, ორდენები). ამ დაფასების უტყუარი დასტურია ის დიდი პატივისცემა და სიყვარული, რომლითაც ვახტანგ ბერიძე სარგებლობდა არა მარტო თავის კოლეგებში, არა მარტო სამეცნიერო წრეებში, არამედ ფართო საზოგადოებაში.

მან ღირსეულად მოიხადა ვალი თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

იგი, მართლაც, განსაკუთრებული პიროვნება იყო, ინტელიგენტურობის საოცარი ხიბლითა და ქართველი მამაკაცისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი თვისებებით. ასეთი ადამიანების წასვლა ყოველთვის უდიდესი დანაკლისის გრძნობას იწვევს.

ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, გ. არსენიშვილი, ნ. ამაღლობელი, ი. ანდრიაძე, ა. აფაქიძე, ჯ. ბერიძე, ლ. გაბუნია, თ. გამყრელიძე, გ. გიორგაძე, ს. გოგიბერიძე, ვ. ზოდელავა, ა. თავხელიძე, გ. თევზაძე, კ. იმედაშვილი, თ. ისაკაძე, ა. კარტოზია, ნ. ლომოური, მ. ლორთქიფანიძე, პ. მამრაძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი, რ. მეფისაშვილი, დ. მუსხელიშვილი, შ. ნადირაშვილი, გ. სანაძე, ა. საყვარელიძე, თ. საყვარელიძე, ი. ფრანგიშვილი, ვ. შამილაძე, გ. შერაძე, ლ. შერვაშიძე, გ. ციციშვილი, კ. წერეთელი, ლ. ჭილაშვილი, ო. ჯაფარიძე.

# არასდროს გამტყდარა

დამთავრდა კიდევ ერთი დიდი სიცოცხლე — წავიდა ჩვენგან ვახტანგ ბერიძე, წავიდა და დაგვიტოვა დიდი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იღვაწოს კაცმა თავისი ქვეყნის, ხალხის სამსახურად, სადაც არ უნდა იდგეს და რა პირობებშიც, რა ვითარებაშიც არ უნდა აღმოჩნდეს. თვითონ ყოველთვის იქ იდგა, სადაც სწორედ ის იყო ყველაზე საჭირო, სწორედ ის იყო შეუცვლელი, ერთადერთი. ეს იყო მისი ძალაც და ბედნიერებაც. არასდროს არავის შეცილებია, არავის გადაღობებია წინ; არასდროს უძებნია სავარძელი, მდგომარეობა, კეთილდღეობა. ყველაფერი, რაც ებადა, თავისით პოულობდა თითქოს მას, სრულიად უბრალოდ, სრულიად ბუნებრივად. არავის არასდროს არ დასცდენია, რატომ ვახტანგ ბერიძე, რატომ ვახტანგ ბერიძეს? მართლა განსაკუთრებული იყო, მართლა გამორჩეული — გარეგნობითაც, მდიდრული შინაგანი ბუნებითაც.

ჩვენს გაუკულმართებულ დროში მას ბევრი უბედურება შეხვდა, სრულიად უსამართლო, სრულიად დაუმსახურებელი, ხშირად ყოვლად შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი, მაგრამ არასდროს გამტყდარა, არასდროს არაფერი შემლია, არასდროს შეულახავს საკუთარი ღირსება, და არც არასოდეს დამარცხებულა. აქაც ზეიმობდა მისი მაღალი ზნეობა და მისი ნამდვილი ინტელიგენტობა.

უყვარდა თავისი საქმე, რომელსაც შეალია კიდეც მთელი შეგნებული ცხოვრება. უყვარდა თავდავიწყებით ინსტიტუტი, ყველა უყვარდა — უფროსებიც, უმცროსებიც, მთელი ჩვენი მრევლი. ყველა უყვარდა, ყველაზე ზრუნავდა, ყველა და ყველაფერი ახსოვდა, არავინ და არაფერი გამორჩებოდა, სიკეთის უშურველად გაცემის საოცარი ნიჭი ჰქონდა.

მისი ყველაზე დიდი დარდი და ტკივილი ბოლო წლებში ასე უწყალოდ განადგურებული და უსახლკაროდ დარჩენილი ინსტიტუტი იყო. ბევრჯერ უთქვამს გულმოკლულს, რა ბედნიერი იყო გიორგი ჩუბინაშვილი — ყველაფერი თავის ადგილზე და რიგიანად დაგვიტოვაო. ინსტიტუტი, ალბათ, ფეხზე დადგება, ადრე თუ გვიან. და ვაი, რომ ამ შენობაში ჩვენ უმისოდ უნდა შევაბიჯოთ, მაგრამ კიდევ დიდხანს გაგვყვება მისი ბრძნული დარიგებები, კიდევ დიდხანს გაგვიწევს მეგზურობას მისი საქმე და სიტყვა, კიდევ დიდხანს დაგვიცავს და დაგვიფარავს მისი მაღალი მეცნიერული და მორალური ავტორიტეტი.

მუხლმოყრილი გეთხოვებით, ბატონო ვახტანგ, თქვენი ინსტიტუტი.

**თემურ საყვარელიძე.**

# სამშობლოს მსახურება

ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიაში ვახტანგ ბერიძის სახელი განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს. მიძნელდება მეორე პიროვნების დასახელება, რომელიც ესთეტიკის სფეროში თავისი მეცნიერული მოღვაწეობით ისეთი გამორჩეული ყოფილიყო, როგორიც ბატონი ვახტანგი გახლდათ. მაღალი ზნეობის, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, ათეული წლების მანძილზე უმწიკვლოდ და უშეღავათოდ ემსახურებოდა ერის სულიერ ცხოვრებას და არსებითი წვლილი შეჰქონდა ქართული ხელოვნების განვითარებაში. არ დარჩენილა არც ერთი დარგი ხელოვნებისა, რომლის მიმართ არ გამოეხატა თავისი მაღალი გემოვნება, იქნებოდა ეს სახვითი ხელოვნება, კინო, თეატრი თუ მუსიკა. განსაკუთრებულია მისი ღვაწლი ქართული არქიტექტურის მეცნიერული კვლევის და შესწავლის საქმეში, იმ ინსტიტუტში, რომლის სათავეშიც ათეული წელი იმყოფებოდა და მოღვაწეობდა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ბატონი ვახტანგი იყო მშვენიერების უანგარო მსახური და ყოველგვარი უსახობის და აგრესიული უნიჭობისადმი ზურგშემობრუნებული მეცნიერი-მოქალაქე.

ქართველმა ერმა მისი გარდაცვალებით დაკარგა დიდი მამულიშვილი, დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომლის ნათელი სული, გონიერება, ნაშრომი და ნაღვაწი, არაერთხელ შეახსენებს თაობებს, რომ არაფერია იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისეთივე ერთგულებით, პრინციპულობით, სიმართლით და სიყვარულით ემსახურო სამშობლოს, როგორც ბატონი ვახტანგი.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი.

ნათელი მის ხსოვნას.

**ელგუჯა ამაშუკელი.**



ვახტანგ ბერიძე და გიორგი ჩუბინაშვილი.

# ვიგონებ... ვწუხვარ და მენანება

თითო ჭირისუფალი და დამტირებელი ყველას გამოუჩნდება. ამ ქვეყნიდან წასულს არავის ჰყოლია და ვერც ეყოლება როდესმე შემცვლელი — თუ ჩაენაცვლა ვინმე, ესეც კარგია. გამოჩნდებიან დროდადრო ისეთი პიროვნებანიც, ვისთან განშორება მრავალთა და მრავალთა საწუხარი ხდება.

თქმაც არ უნდა, რამდენს დაწყვიტა გული ბატონ ვახტანგ ბერიძის გარდაცვალებამ. არც იმის თაობაზე ღირს ვრცლად საუბარი, რამდენი დავკარგეთ — სხვა აბარა იქნება, თუკი ვერასდროს ვიხილავთ კაცს, დიდი ხანია უკვე ქართველი სწავლულის, კულტუროსანი ქართველის ერთ უსრულეს განსახიერებად შერაცხილს.

არც იმის ჩამოთვლას უნდა ჰქონდეს აზრი, თუ რა იყო ბატონი ვახტანგი ვითარცა მეცნიერი და მოღვაწე, თუ რა უკეთებია მას. იმიტომ, თუნდაც ფიქრისა და ხსოვნის საუფლოში, იგი კვლავაც არის და მუდამ იქნება ძველი თუ ახალი ქართული ხელოვნებისა და კულტურის გამორჩეული მცოდნე და მკვლევარი, ერთი საუკეთესო მიმომხილველთაგანი შორეულისა და ერთი უსანდოესი მემატიანე — ჩვენი ახლო წარსულის. დიახ, ნაგზრსა და ნაწერს არაფერი ემუქრება, ისინი თავისით ცოცხლობენ და მომავლის ისტორიკოსებს ისევე მოუწევთ ვახტანგ ბერიძემესტორიესთან შესიტყვება, როგორც თვით იგი ებაასებოდა, ვთქვათ, ვახუშტი ბატონიშვილსა თუ გიორგი წერეთელს, ნიკო მარსა თუ იოსიფ სტრიგოვსკის...

არც იმის გამო გრძლად ჩივილს ექნებოდა დიდი მნიშვნელობა, რაც, მართლაცდა, სამისდღემჩიოდ მოგვაკლდა — მღელვარებით მოზავებული მოლოდინი და სიხარული შეხვედრისა და საუბრის, ახალი ნაშრომის, მოსწრებული სიტყვისა თუ მრავლისმთქმელი მოგონების. აქნევა ხელის, ჟღერა ხმისა და თვალის გამოხედვა. ესენიცა და სხვაც მრავალი, ჩვენს მეხსიერებასა და წარმოსახვასღა ეკუთვნის, ჩვენიღაა მხოლოდ და დიდწილად მცნობთა და ახლობელთათვისღა საგულისხმო.

მამასადამე, ჩვენ კი აღარაფერი ძალგვიძს, სულ აღარა გვეველება რა? ვგონებ, ორიოდ რამ. ერთი — სააქაო: შეძლებისდაგვარად გავაგრძელოთ ის საქმიანობა, რასაც ბატონი ვახტანგი ჩვენგან მოელოდა და მოითხოვდა, ვასულდგმულოთ ის საქმე, რისთვისაც მან იცხოვრა, ხოლო სახსრად საუკუნოდ ძველთაძველი წესის აღსრულება გვმართებს — შევთხოვოთ წინაპართასებრ: განუსვენე მშვიდობით...

**დიმიტრი თუმანიშვილი.**

# დიდი პიროვნება

ბატონი ვახტანგ ბერიძე იმ გამორჩეულ პიროვნებათაგანია, რომელთაც შესწევთ ძალა მთელი ბრწყინვალებითა და მრავალფეროვნებით წარმოაჩინონ საკუთარი ერის ღირსება, მისი სულიერი სიღრმე.

იგი იყო საქართველოს ინტელიგენციის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, უმდიდრესი მეცნიერი, განსაკუთრებული ნიჭიერებით გამორჩეული საზოგადო მოღვაწე.

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება მოესმინა ბატონი ვახტანგის სრულიად განუმეორებელი ლექციები ხელოვნების ისტორიაში, განსაკუთრებით იტალიურ რენესანსზე. იმ ღრმა ცოდნასთან ერთად, ემოციურობა და არტისტიზმი, რომელიც ბატონ ვახტანგს ახასიათებდა, გახლდათ დემონსტრაცია იმისა, თუ როგორ შეიძლება ლექცია ზეიმად გადაიქცეს. მისი თვალით დანახული ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ეროვნულობა და მაღალი მხატვრული ფორმა იქცა სულის ჭეშმარიტ საზრდოდ ქართველი მხატვრების მთელი თაობებისათვის.

ამ დიდი პიროვნების მოღვაწეობა ჩვენი კულტურის წარსულისა და აწმყოს უწყვეტი კავშირის გამოხატულება იყო.

მისი ფართო შესაძლებლობებისა და დაუცხრომელი ენერგიის წყალობით მოხერხდა ისეთი მასშტაბის სიმპოზიუმების მოწყობა, რომელთაც მთელი სისრულით წარმოაჩინეს ქართული მხატვრული გენია მსოფლიოს წინაშე.

ვახტანგ ბერიძის წასვლა ძალზე დიდი დანაკარგია საქართველოსათვის, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანას ასე ესაჭიროება სამშობლოსათვის თავგადადებული, მის სამსახურში დამაშვრალი უანგარო მოღვაწეები.

**ზურაბ ლეჟავა.**

# ჩვენი მასწავლებელი

როდესაც 1939 წელს აკაკი ხორავამ საქართველოში უმაღლესი სათეატრო სასწავლებელი აღადგინა, სახვითი ხელოვნების ისტორიის პედაგოგად მაშინ ახალგაზრდა ვახტანგ ბერიძე მოიწვია. მან ჩაუყარა საფუძველი სცენის მომავალ ხელოვანთა აღზრდაში სახვითი ხელოვნების შესწავლას. ეს საგანი, რომელსაც ყველა ფაკულტეტის სტუდენტი ეუფლებოდა, თეატრალურ ინსტიტუტში დღესაც დიდი გულისყურით შეისწავლება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თეატრის მოღვაწეთა დღევანდელ უფროს თაობაში ძნელად მოიძებნება ისეთი, რომლის მასწავლებელიც არ ყოფილიყო ბატონი ვახტანგ ბერიძე.

როგორ გვასწავლიდა? — თითოეული ხელოვნების ტრფიალი, ჩვენც გვაყვარებდა მას. საერთოდ, ძალზე თავშეკავებული და გაწონასწორებული, ხელოვნებაზე მოუბარი მღელვარებას ვერ ფარავდა — გატაცებით „გვეკითხავდა" იმას, რაც სახვითი ხელოვნების ენით იყო თქმული. ეს ენა იცოდა შესანიშნავად და სურდა ჩვენც შეგვესწავლა იგი. ხელოვნების ენა ამ ენით მეტყველი მხატვრული ნაწარმოების „წაკითხვა" — ეს პრინციპი ედო საფუძვლად ხელოვნების ისტორიის მისეულ შესწავლას.

არასოდეს შეზღუდულა მისთვის სათაყვანებელი, მაგრამ მაინც შემოქმედების ერთი სახეობის ფარგლებით. ლიტერატურის სახეობრივ ენასაც ფლობდა, მუსიკის, კინოს და თეატრის ენასაც. ამის შესანიშნავი დასტურია წიგნად შეკრული მისი მოგონებები. მუდამ ხელოვნების სამყაროში უცხოვრია...

მისი ლექცია მშვენიერი ქართველი ზეპირმეტყველების ნიმუშიც იყო — არც ერთი გაუმართავი წინადადება, არც ერთი ზედმეტი სიტყვა, მხოლოდ აუცილებელი და საკმარისი.

არც თეატრალური ინსტიტუტის იმდროინდელი სტუდენტური სპექტაკლი გამოუტოვებია მაშინ და არც ქართული თეატრის ახალი წარმოდგენა შემდგომ. მაყურებელთა დარბაზში ვახტანგ ბერიძის ყოფნა მისი ყოფილი სტუდენტებისთვის, უკვე რესპუბლიკის სახალხო არტისტებისთვის, ამაღელვებელი იყო. ქართული თეატრი მუდამ ელოდა ბატონ ვახტანგ ბერიძეს.

დიდი ბედნიერებაა საყვარელი მასწავლებელი და ჭეშმარიტი ავტორიტეტი, მასთან განშორება — დიდი ტკივილი.

**ნათელა ურუშაძე,**
**გოგი გეგეჭკორი.**

# წარმოუდგენელი შრომის უნარი

მისი ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული XX საუკუნის ქართული კულტურის და განსაკუთრებით, ხელოვნების ყოველ სფეროსთან. პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობა ადრე დაიწყო. 1935 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი არქიტექტურის სპეციალობით და მას შემდეგ მთლიანად გადაერთო ისტორიული არქიტექტურის შესწავლაზე.

ბატონ ვახტანგისთვის დამახასიათებელი იყო წარმოუდგენელი შრომისუნარიანობა. მას ეკუთვნის მრავალი მნიშვნელოვანი შრომა ქართულ ხუროთმოძღვრებაზე, უამრავი წერილი ხელოვნების საკითხებზე. ამასთან, მუდამ პოულობდა ქართველი მწერლებისა თუ კომპოზიტორების პაექრობაში მონაწილეობის დროს.

მის ნაშრომთა შორის აღვნიშნავ მხოლოდ რამდენიმეს. ეს არის 1956 წელს დასტამბული „სამცხის ხუროთმოძღვრება XIII – XVI საუკუნეებში", ძალზე საჭირო და დღეს, განსაკუთრებით, აუცილებელი ორტომეული „თბილისის ხუროთმოძღვრება", 1981 წელს გამოდის „ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა", ხოლო ბოლო წლებში ორი საფუძვლიანი ნაშრომი „XIV-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება".

ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, არსებითია თავისი კულტურისა და ხელოვნების გაცნობა და მით უფრო აღიარება. ამ მხრივ ვახტანგ ბერიძის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მან სათანადოდ წარუდგინა მსოფლიოს ქართული ხელოვნების თავისთავადობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ვახტანგ ბერიძის დახვეწილი ქართული ენა, ნათელი და გასაგები მეტყველება. ამის შედეგად მისი საუბრები, ლექციები თუ გამოცემები მეტად პოპულარული იყო.

საქართველო ემშვიდობება თავის გამორჩეულ შვილს.

**ირაკლი ციციშვილი.**



ვახტანგ ბერიძე და ირაკლი აბაშიძე. ლიკანი. 1987 წელი.

# ერისა და ქვეყნის შვილთა შორის გამორჩეული

ვახტანგ ბერიძე — მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მოქალაქე, პიროვნება, ერისა და ქვეყნის შვილთა შორის გამორჩეული, სახიერი, დახვეწილი ინტელიგენტი, რაინდი, რომლის სახელს ათეული წლების მანძილზე უდიდესი პატივისცემით, სიყვარულით, მოწიწებით ახსენებდნენ, ეამაყებოდათ თუ მისთვის სალმის მიცემის უფლება ჰქონდათ.

არა მხოლოდ დიდი მეცნიერი, შეუდარებელი მჭევრმეტყველი იყო. ყოველი მისი გამოსვლა გამდიდრებდა, დიდ ინფორმაციას გაწვდიდა დახვეწილი ქართულით, ყოველგვარი ზედმეტი, გარეგნული ემოციების გარეშე, მაგრამ გრძნობდი, რა დიდი განცდით, საკითხისადმი უსაზღვრო სიყვარულით იყო დატვირთული მთელი მისი არსება.

იმ რთულ წლებში, როდესაც ახალგაზრდობიდანვე დიდ სიძნელეთა წინაშე აღმოჩნდა, მისი პიროვნება ვერავინ და ვერაფერმა დაჩრდილა, იმდენად დიდი იყო მისი პირადი ხიბლი, იმდენად დიდი იყო მისგან მომდინარე სიკეთე, იმდენად სრულყოფილი პიროვნება გახლდათ ის.

ქართული საზოგადოება თავიდანვე გამორჩეული პატივისცემით განიმსჭვალა მის მიმართ. როდესაც სრულიად ახალგაზრდა ვახტანგ ბერიძე იცავდა დისერტაციას მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზი გაჭედილი იყო, ხალხი ფეხზე იდგა და რამდენიმე საათის განმავლობაში სულგანაბული უსმენდა ახალგაზრდა მეცნიერის პრინციპულ, მაგრამ უაღრესად ტაქტიან პაექრობას. ვახტანგ ბერიძის მოხსენებებზე ყოველთვის ხალხმრავლობა იყო, მოდიოდნენ არა მხოლოდ პროფესიონალები, არამედ სრულიად განსხვავებულ სპეციალობათა წარმომადგენლები, რათა მოესმინათ მისი ღრმაშინაარსიანი, მარტივი და გასაგები მსჯელობა.

ბატონმა გიორგი ჩუბინაშვილმა შესანიშნავი ხელოვნებათმცოდნენი აღზარდა, შექმნა ქართული ხელოვნებათმცოდნეობითი სკოლა, რომლის საუკეთესო წარმომადგენელიც ბატონი ვახტანგი ბრძანდებოდა. ის თავის საქმეში ლიდერი იყო და როდესაც ამ სკოლას შეუტიეს, მისი განადგურება მოისურვეს, ბატონ გიორგის გვერდით მისი მოწაფეები დადგნენ და პირველი მათ შორის ვახტანგ ბერიძე იყო, მათ ღირსეულად დაიცვეს საკუთარი მეცნიერული პოზიციები.

ვახტანგ ბერიძეს ქართული ხელოვნების განვითარება ერთიან ჭრილში აქვს განხილული და ქართული ხელოვნების ერთიანობის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის დებულებას, რომ ადრეშუასაუკუნეებში სხვადასხვა ქართულ სახელმწიფოში ჩამოყალიბებული კახური, ტაო-კლარჯული, აფხაზური ხუროთმოძღვრება, მიუხედავად ლოკალური თავისებურებებისა, საერთო ქართული ძირიდან მოდის და საერთო ქართულ ხუროთმოძღვრულ სტილს ქმნის.

ვახტანგ ბერიძის ხელმძღვანელობით ჩატარებული ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმები, თბილისში გამართული სხდომები, ქართული კულტურის ზეიმი იყო. ამ სიმპოზიუმების მაღალი სამეცნიერო და ესთეტიკური დონის სულისჩამდგმელი ბატონი ვახტანგი ბრძანდებოდა.

ვახტანგ ბერიძე ფართო ერუდიციის პიროვნება იყო, ამიტომ მას ნახავდით არა მხოლოდ სამეცნიერო სიმპოზიუმებზე, მხატვართა გამოფენებსა თუ არქიტექტორთა ნამუშევრების განხილვაზე, ის ჩვენ ქვეყანაში მიმდინარე ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენის მონაწილე გახლდათ, მის აზრს დიდ ანგარიშს უწევდნენ.

ბატონ ვახტანგს მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე გვერდით ჰყავდა შესანიშნავი მეგობარი, თავადაც ხელოვანი, ლამაზი, დახვეწილი ინტელიგენტი, ფალავანდიშვილთა ასული. სხვანაირი მეუღლე მას არც შეიძლება ჰყოლოდა.

ვახტანგმა და ნატუსიამ, ბატონ ვუკოლ ბერიძის ჭერქვეშ ლამაზი სამყარო შექმნეს, სადაც მათი ახლობლებისთვის მისვლა ყოველთვის დღესასწაული იყო.

ვეთხოვებით ჩვენი დროის შესანიშნავ წარმომადგენელს. თუ ჩვენ ქვეყანაში მსგავსი პიროვნებანი გაიზრდებიან, საქართველოს გადაშენება არ ემუქრება.

**მარიამ ლორთქიფანიძე.**

# მეცნიერი, ჭეშმარიტი მოქალაქე და პატრიოტი

ქართული მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება, რომლითაც საქართველომ შეიძლება იამაყოს და რომელმაც საკმაოდ ფართო აღიარება ჰპოვა მსოფლიოში, გახლავთ ქართული ხელოვნებათმცოდნეობა. მისი მტკიცე ტრადიციებისა და თანამედროვე საერთაშორისო დონის ჩამოყალიბება, ამასთან, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ღირსეული შეფასება, დაკავშირებულია გამოჩენილი მეცნიერის და ქართული ხელოვნებათმცოდნეობითი სკოლის ფუძემდებლის გიორგი ჩუბინაშვილის სახელთან. გ. ჩუბინაშვილის უდიდესი დამსახურება სწორედ ისაა, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ამ სკოლას და აი, ამ სკოლის ერთ-ერთი ყველაზე დამსახურებული წევრი, გ. ჩუბინაშვილის შემდეგ მისი ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელი, არსებითად მეთაური იყო დიდებული მეცნიერი, მოქალაქე და პიროვნება, მრავალმხრივი მოღვაწე ვახტანგ ბერიძე, რომელსაც დღეს; სავალალოდ, სამუდამოდ ვეთხოვებით.

ბატონ ვახტანგს საკმაოდ ადრეული ხანიდან ვიცნობდი, ჩვენი ოჯახური ურთიერთობების წყალობით. იგი ჩემთვის და ჩვენი თაობისათვის ყოველთვის იყო ნიმუში არა მარტო მეცნიერისა, არამედ ჭეშმარიტი ქართველისა. მძიმე წლებში მოუხდა ბატონ ვახტანგს და მის თაობას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა, ის და მისი კოლეგები, გ. ჩუბინაშვილის სკოლის წამყვანი წარმომადგენლები, ახერხებდნენ ქართული ხელოვნების ყველა დარგის წარმოჩენას, ღირსეულად შეფასებას და არ უშინდებოდნენ იმ მრავალმხრივ ბრალდებებს, რომელთაც მათ საკმაოდ უხვად თავს აყრიდნენ და თუ ვინმე მტკიცედ და წარბშეუხრელად იცავდა თავის პოზიციას, ქართულ ხელოვნებას მის კუთვნილ ადგილს უძებნიდა მსოფლიო ხელოვნებაში. ეს, უწინარესად, ვახტანგ ბერიძე იყო.

არასოდეს დამავიწყდება 1952 წელი, როდესაც ნაციონალიზმის, ფორმალიზმის, კოსმოპოლიტიზმის ბრალდებით მოსდგნენ ჩვენ ცნობილ მეცნიერებს ქელის გადალმიდან და თვით ადგილობრივი სახელის მაძიებელი ცრუმეცნიერები. უნდა ითქვას, რომ ჩვენი მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა საკმაოდ გაბედულად დაიცვეს ამ დარგთა დამფუძნებელნი და მათ შორის გ. ჩუბინაშვილიც, რომელსაც რაღას აღარ აბრალებდნენ — კოსმოპოლიტობას, ნაციონალიზმს, ერთი სიტყვით, საერთო ჯამში, ანტიმარქსისტობას, რაც მაშინ ფრიად საშიში იყო. მაგრამ გ. ჩუბინაშვილის სკოლის უმეტესობამ თავგამოდებით დაიცვა თავისი მასწავლებელი და მათ სწორედ ვახტანგ ბერიძე ედგა სათავეში და წარმართავდა. მახსოვს მისი გაბედული, კატეგორიული, ამასთან, ლოგიკით აღსავსე გამოსვლები, უარყოფა ჩუბინაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდებებისა და დამაჯერებლად ჩვენება იმისა, რეალურად რას წარმოადგენდნენ ჩუბინაშვილისეული გამოკვლევები. მას მხარს სხვებიც უჭერდნენ, მაგრამ უდავოა, რომ გონის მიმცემი, წამყვანი, გაბედულებისა და უშიშარობის ნამდვილი მაგალითი სწორედ ვახტანგ ბერიძე იყო.

სწორედ ეს თვისებები იყო ბატონ ვახტანგში ყველაზე მეტად დასაფასებელი. ამასთან, ეს იყო კაცი, რომელიც მეგობარსა და ახლობელს ყოველთვის მხარში ედგა და ჩვენც ბევრჯერ მიგვიღია მისგან საჭირო რჩევა და დახმარება.

ბატონი ვახტანგი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტთა საბჭოს წევრი იყო და, თუმცა, უკანასკნელ ხანებში იშვიათად ვაწუხებდით, მისგან კონსულტაციებს ვღებულობდით, რომლებიც ყოველთვის სწორი და დამაჯერებელი მიმართულებისა იყო. ასეთი ადამიანები ერს ბევრი არ ჰყავს, მაგრამ ჩვენთვის, უდავოდ, საამაყოა, რომ გვყავდა ვახტანგ ბერიძე და მისი შემოქმედება კიდევ დიდხანს იქნება ჩვენი ხელოვნებათმცოდნეობისთვის გზისგამკვლევი და სახელმძღვანელო.

**ნოდარ ლომოური,**
შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესორი.

# მებრძოლი რაინდი

ვახტანგმა ჩემი ყურადღება 30-იანი წლებიდან მიიქცია, როცა პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე ვსწავლობდით. იგი გარეგნულადაც იქცევდა ყურადღებას და სწავლაში ხომ შესამჩნევი იყო.

მერე 40-იანი წლებიდან იწყება ჩვენი დამეგობრება ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. მიუხედავად ქვეყანაში მძიმე მდგომარეობისა, ჩვენ ახალგაზრდული შემართებით ვიღვწოდით ქართული ხელოვნების შესწავლისათვის. ჩვენს თაობას ბრძოლა მოუხდა (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) უცხოელ თუ ადგილობრივ „მკრეხელთა" წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ ქართული ხელოვნების თვითმყოფადობას.

მე კარგად მახსოვს ვახტანგის დაუღალავი მუშაობა, როგორც არქივებში, ისე ექსპედიციებში, ძეგლთა გამოსავლენად. უსაზღვრო იყო მისი აღტაცება ახალი ძეგლის აღმოჩენით. იგი ყოველთვის ცდილობდა საკუთარი „აღმოჩენა" კოლეგებისათვის დროზე მიეწვდინა. შემდეგ კი იგი მეცნიერებაში დაემკვიდრებინა სტატიებისა და წიგნების სახით.

ვახტანგის წიგნები მალე იქცა სპეციალისტთა სამაგიდო წიგნებად. მათზე მრავალი თაობა აღიზარდა და კიდევ დიდხანს დაამშვენებს სპეციალისტთა ბიბლიოთეკებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული ქართული ხელოვნებათმცოდნეობის მსოფლიოს მასშტაბით გასვლა. ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმები საქართველოს გარდა იმართებოდა იტალიასა და საბერძნეთში. ამ სიმპოზიუმების შედეგი განუზომელია — მთელი მსოფლიოს სპეციალისტებმა აღიარეს ქართული ხელოვნების თვითმყოფადობა და მაღალი რანგი.

ბატონო ვახტანგ, ჩემო ვახტანგ, თქვენ რჩეული იყავით არა მარტო ხელოვნების ისტორიკოსთა შორის, არამედ ქართულ მეცნიერებაში და ასეთად დარჩებით ყოველთვის!

**პარმენ ზაქარაია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# პაციენტის უფლებები

სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2000 წელი.

საქართველოს რესპუბლიკა | საქარველოს ბიოეთიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოების გაზეთი | №1

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რედაქტორის გვერდი

## მოქალაქეთა უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის 5 მაისს მიიღო კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, ხოლო 27 სექტემბერს რატიფიკაციაჰყო „ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვის შესახებ ბიოლოგიასა და მედიცინაში“ ევროსაბჭოს კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი „ადამიანის კლონირების აკრძალვის შესახებ“.

ზემოხსენებულთაგან პირველ ორ ნორმატიულ აქტში სრულად არის ასახული მოქალაქეთა უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ სადღეისოდ საქართველოს ამ სფეროში მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის საჭირო მყარი სამართლებრივი საფუძველი აქვს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქართველოში უკვე დაცულია პაციენტის უფლებები?

ცხადია, არა.

ამის გამომწვევ მრავალ მიზეზს შორის ერთ-ერთი ისიც არის, რომ საზოგადოება ნაკლებად იცნობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის პრობლემებს, ან ინდიფერენტულია მათ მიმართ. ამასთან, თუ სამედიცინო დაწესებულებაში მოხვედრილი მოქალაქის ავბედობაზე ხშირად არის საუბარი, სამედიცინო პერსონალის გაჭირვებასა და პროფესიული საქმიანობის უმძიმეს პირობებზე იშვიათად თუ გამახვილდება ხოლმე ყურადღება.

*არა და, ეს ორი ფაქტორი - პაციენტის უფლებები და სამედიცინო პერსონალის პროფესიული საქმიანობისათვის ადეკვატური სამუშაო გარემო - ერთმანეთთან მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული.*

კანონის მიღება და კონვენციის რატიფიცირება ქვეყნის, საზოგადოების მიერ გადადგმული უდავოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ერთი ნაბიჯია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქეთა უფლებების დაცვის საქმეში. ამას თან უნდა მოჰყვეს ამ ნორმატიულ აქტებში გაცხადებული დებულებების ხორცშესხმისთვის საჭირო ღონისძიებები, მათ შორის, საზოგადოებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება. მხოლოდ სათანადო ცოდნის მქონე საზოგადოებას შესწევს თავისი წევრების, როგორც პაციენტების, ისე სამედიცინო პერსონალის უფლებების განუხრელად დაცვის უნარი; მხოლოდ სათანადოდ მომზადებულ, განათლებულ საზოგადოებას ძალუძს კანონისა და წესრიგის ამოსავალ წერტილად მიჩნევა და ამ გზით პროგრესისა და კეთილდღეობისათვის ხელშეწყობა.

წინამდებარე საგაზეთო პუბლიკაციების მიზანიც ეს არის, სახელდობრ:

⇒ *მოქალაქეთათვის საქართველოს ჯანდაცვის სფეროს კანონმდებლობაში გაცხადებული მათი უფლებების გაცნობა;*

⇒ *საზოგადოების ყურადღების გამახვილება ჯანმრთელობის დაცვის სისტემის, სამედიცინო პერსონალის პროფესიული საქმიანობის სიძნელეებზე, რომელთა დაუძლევლად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პაციენტის უფლებების რეალიზაცია შეუძლებელია.*

## „ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგეღებათ“ (მათე 7,7)

სამედიცინო დახმარების მიღების აუცილებლობა, ჩვეულებრივ, საკმარისად მძიმე ტვირთია მოქალაქისათვის. ამასთან, ისიც ხაზგასასმელია, რომ პაციენტის როლში ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე თითოეული ჩვენგანი აღმოჩნდება ხოლმე. შესაბამისად, ყოველ ჩვენგანს აუცილებლად მოუწევს ურთიერთობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემასთან. ამ ურთიერთობისას ის დამოკიდებული ხდება სამედიცინო პერსონალზე – მის კეთილსინდისიერებაზე, განსწავლულობაზე, პროფესიონალიზმზე, მთლიანად ჯანდაცვის სისტემის ორგანიზებულობის, მოწესრიგებულობის ხარისხზე.

პაციენტების უმრავლესობამ არ იცის, რა სახის სადიაგნოზო თუ სამკურნალო პროცედურები უნდა ჩაუტარდეს მას, სად, რომელ დაწესებულებაში ტარდება ესა თუ ის გამოკვლევა ან სამკურნალო ღონისძიება, როგორია მათი მნიშვნელობა, ფასი. მოქალაქეთა უდიდესმა ნაწილმა, აგრეთვე არაფერი იცის ჯანდაცვის სფეროში თავისი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, უფლებების შესახებ. ერთი სიტყვით, პაციენტი უხშირესად „თვალებაკრული მომხმარებლის“ როლშია, რომელსაც ჯანმრთელობის, ზოგჯერ კი სიცოცხლის შესანარჩუნებლად სჭირდება გარკვეული სახის მომსახურებადახმარება (ამ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურება, სამედიცინო დახმარება), მაგრამ არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, რა სახის უნდა იყოს ეს მომსახურება, რა ფორმით უნდა განხორციელდეს ის, რისი უფლებები აქვს მას სამედიცინო დახმარების მიღების პროცესში.

სწორედ საკუთარი უფლებების და სამედიცინო პერსონალის მოვალეობების არცოდნა არის პაციენტის როლში აღმოჩენილი მოქალაქის უფლებების, საყოველთაოდ აღიარებული პროფესიული და ეთიკური ნორმების დარღვევის არაიშვიათი მიზეზი.

ამ სიტუაციიდან ერთ-ერთი გამოსავალი ის გახლავთ, რომ ყოველმა მოქალაქემ, ანუ თითოეულმა ჩვენგანმა კარგად უნდა იცოდეს, რის უფლებას აძლევს მას საქართველოს კანონმდებლობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, რა ვალდებულებები აქვს ნაკისრი სახელმწიფოს მოსახლეობის წინაშე.

თუ მოქალაქემ იცის, რისი უფლება აქვს მას სამედიცინო დახმარების მიღებისას, იმასაც შეეცდება, რომ საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ამ უფლებების განხორციელება. საზოგადოების, თითოეული მოქალაქის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების ცოდნა მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისა, რომ არავინ მოინდომოს, ან თუ მოინდომებს, არავის მიეცეს ამ უფლებების უყურადღებოდ დატოვების შესაძლებლობა.

*ამრიგად, ამ პუბლიკაციების ერთ-ერთი მიზანია, პაციენტის გარდაქმნა სამედიცინო მომსახურების მიღების მომლოდინე პასიური მოქალაქიდან მისთვის კანონით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების აქტიურად მომთხოვნ პირად, რომელსაც შესწევს უნარი დაიცვას საკუთარი უფლებები.*



## „ექიმთა არცნობა განათლებულ ადამიანებსაც შეუძლიათ, მედიცინის უარყოფა კი მხოლოდ უცოდინარებს“ (პიერ ბუასტი)

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პაციენტის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა სამედიცინო პერსონალისათვის ადეკვატური სამუშაო გარემოს შექმნა.

არავისთვის არის საიდუმლო, რომ სამედიცინო პერსონალს დღეს უმძიმეს პირობებში უხდება პროფესიული საქმიანობა. დაფინანსების მუდმივი უკმარობა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუშაობის გამოცდილების სიმწირე, გადახდის უუნარო პაციენტების დიდი რაოდენობა. ეს მხოლოდ არასრული ნუსხაა იმ გარემოებებისა, რომელნიც ხშირად აუტანელ პირობებში აყენებენ ექიმს. ეს უკანასკნელი ორმაგი წნეხის ქვეშ არის მოქცეული: ერთი მხრივ, პროფესიული ეთიკა – მორალური იმპერატივი, რომელიც ავალებს მას დახმარება აღმოუჩინოს პაციენტს ყველა შემთხვევაში; მეორე მხრივ – ფინანსური იმპერატივი, რომელიც არ აძლევს მას ამის შესაძლებლობას. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ხშირად სამედიცინო პერსონალი არ იცნობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ თავის უფლებებსა და მოვალეობებს. გარკვეულწილად ეს გასაგებიც არის, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს კანონმდებლობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ფაქტობრივად 1995 წლიდან, ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების დაწყების შემდეგ, ყალიბდება. მასში ბევრი რამ არის ასახული ისეთი, რაც უკვე დიდი ხანია მიღებულია და აღიარებული ცივილიზებულ ქვეყნებში, მაგრამ სავსებით უცნობია და სრულიად ახალია პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს სამედიცინო საზოგადოებისათვის. ამ სიახლეთა გაცნობიერებას და მათ რეალიზაციას ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში, ცხადია, დრო და სათანადო საგანმანათლებლო მუშაობა სჭირდება.

ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობის უზენაესი მომრიგებელი კანონი უნდა იყოს. ეთიკური თუ პროფესიული დილემების აღმოცენებისას, რაც აგრერიგად ხშირია სამედიცინო დახმარების გაწევის პროცესში, სამედიცინო პერსონალი მხოლოდ საკუთარი შეხედულებებისა და პრინციპების ამარად არ უნდა დარჩეს. მას კანონი უნდა უმაგრებდეს პოზიციას. ამისი აუცილებელი პირობა, ცხადია, ისევ და ისევ კანონში გაცხადებული დებულებების ცოდნაა. აქ მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ კანონები „პაციენტის უფლებების შესახებ“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, არამედ „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონიც, რომლის მუხლების მუდმივი არშესრულება შეუძლებელს ხდის სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიული მოვალეობების პირნათლად შესრულებას, შესაბამისად – პაციენტის უფლებების დაცვას.

*ამრიგად, ამ პუბლიკაციების კიდევ ერთი მიზანია საზოგადოების ყურადღების გამახვილება იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფოს მიერ სამედიცინო პერსონალის პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო სამუშაო პირობების უზრუნველყოფა, მოსახლეობის ჯანმრთელობის აღიარება არა დეკლარირებულ, არამედ ჭეშმარიტ პრიორიტეტად აუცილებელია ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე თითოეული ჩვენგანის უფლების დაცვისათვის.*

## „ენით მოკვდება კაცი, სხვით არა. უდღეოდ ენით მკვდარი ენამ ველარ აღადგინოს და აღარც ენით წყლულს ელხინოს“ (სულხან-საბა ორბელიანი)

ვფიქრობთ, ღირს მასმედიასა და სამედიცინო საზოგადოებას შორის ურთიერთობაზეც ითქვას ორიოდე სიტყვა იმის საბუთად, რომ სამართლებრივი და ეთიკური პრინციპების ცოდნა აუცილებელია. იმასაც ვითვალისწინებთ, რომ მასმედია მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები დიდ ყურადღებას უთმობენ ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე პროცესებს. ხშირია კრიტიკა. ეს სავსებით ბუნებრივია და მისასალმებელიც. ნაკლი მართლაც ბევრია და მისი გამომზეურება, მასზე საზოგადოების ყურადღების გამახვილება უდავოდ საჭიროა. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში ამ კრიტიკას უფრო განქიქების ელფერი დაჰკრავს, ვიდრე კეთილმოსურნეობისა; პირღია ჭრილობაზე მარილის დაყრის სურვილის შთაბეჭდილებას უფრო სტოვებს, ვიდრე ტკივილის დაამების და შველის განზრახვისა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ გაჭირვებულ ქვეყანაში არ შეიძლება ჯანდაცვის სისტემა ოაზისის სახით წარმოგვიდგეს. ექიმს დღეს ისევე უჭირს პროფესიული საქმიანობა, ისევე უჭირს საარსებო მინიმუმის მოძიება, როგორც ნებისმიერ პაციენტს. ამ ფონზე გულსატკენია, ის გარემოება, რომ საინფორმაციო საშუალებებში ხშირია უხამსობამდე მისული გამონათქვამები სამედიცინო პერსონალის, მთლიანად ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე პროცესების მიმართ. მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ჟურნალისტებს, და არა მარტო მათ, მინდა შევახსენო „ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის საერთაშორისო პრინციპების“ ერთი (V) მუხლი, რომლის სათაურია: „პიროვნების პატივისა და ღირსების პატივისცემა“. ამ მუხლში გაცხადებულია, რომ *„ჟურნალისტი პატივს სცემს იმ პიროვნების პატივსა და ღირსებას, ვინც მისი პროფესიული ყურადღების ობიექტი ხდება, ტაქტიანია მასთან ურთიერთობაში. ჟურნალისტმა არ უნდა გაავრცელოს შეუმოწმებელი ინფორმაცია და ჭორები, ასევე, არ დაუშვას მსჯელობანი, რომლებიც ვნებს ადამიანის რეპუტაციას ან ჩირქს სცხებს მის ღირსებას“.*

ეს ამონარიდი იმიტომ მოვიტანე, რომ საგაზეთო პუბლიკაციების განზრახულ ციკლში პაციენტის ღირსების, მისი ავტონომიის პატივისცემაზე იქნება საუბარი. მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ ექიმის ღირსებისა და ავტონომიის პატივისცემაც აუცილებელია; უფრო მეტიც, ეს საზოგადოების მენტალური დონის მაჩვენებელიც არის, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ექიმის განწყობას პაციენტისადმი, ამ უკანასკნელის უფლებების განუხრელად დაცვას მის მიერ.

„ამიტომ, ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ.“ (მათე 7,12)

ჯანდაცვის სისტემას განქიქება კი არა, მთელი საზოგადოების, მათ შორის მასმედიის, თანადგომა სჭირდება.

პუბლიკაციების ციკლი მოამზადა საქართველოს ბიოეთიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სამართლებრივი საკითხების შემსწავლელმა საზოგადოებამ, ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველოს“ და შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. ვფიქრობთ, საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობა იდეალური ვარიანტია დასახული მიზნების მისაღწევად. აქვე არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ ფონდის „ღია საზოგადოება–საქართველოს“ და სამინისტროს მხარდაჭერით საზოგადოების წევრებს საქართველოს მრავალი რაიონი აქვთ შემოვლილი საგანმანათლებლო სემინარებით. სათანადო სალექციო კურსი შეტანილია ჯანდაცვის მართვის ნაციონალურ ცენტრთან არსებული უწყვეტი სამედიცინო განათლების ცენტრის სასწავლო პროგრამაშიც.

„ღია საზოგადოების არსი იმის აღიარებას ეფუძნება, რომ ადამიანები არასრულფასოვანი ცოდნის საფუძველზე მოქმედებენ და აბსოლუტური ჭეშმარიტება არავისთვის არის ხელმისაწვდომი. ამას მივყავართ კანონის პატივისცემამდე, საზოგადოებამდე, რომელზეც არ დომინირებს სახელმწიფო“ (ჯორჯ სოროსი).

# საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“

## კანონის მომზადების ისტორია

*კანონის მომზადების წინაპირობები*

1998 წელს მსოფლიომ იზეიმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 50 წლისთავი. ეს წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ადამიანის უფლებათა წლად გამოცხადდა. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 12 იანვრის № 15 ბრძანებულებით „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ” შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა მოემზადებინა კანონპროექტი „მოქალაქეთა უფლებების შესახებ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“.

პროექტი მოამზადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის საკანონმდებლო ჯგუფმა. პროექტი რეცენზირებული იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს, ამერიკის იურისტთა ასოციაციის „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საკანონმდებლო ინიციატივის ჯგუფის“ მიერ. 1998 წლის აგვისტოში კანონპროექტი განიხილა და მოიწონა მთავრობის სხდომამ, რის შემდეგაც ის საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს გაუგზავნა განსახილველად...

*კანონპროექტის ბედი პარლამენტში*

კანონპროექტს ძველი მოწვევის პარლამენტში განხილვა არ ეწერა. განხილვა დაიწყო წლინახევრის (!!!) შემდეგ, უკვე ახალი მოწვევის პარლამენტში, 2000 წლის თებერვალში. ისიც აღსანიშნავია, რომ პროექტის სრულყოფაში დიდი როლი ითამაშა ახალი მოწვევის პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა, რომელმაც ფორსირებულად, უაღრესი კეთილგანწყობით და საქმის ცოდნით იმუშავა კანონპროექტზე სამი თვის განმავლობაში. პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენა ჩატარდა 2000 წლის მარტში, მეორე მოსმენა 2 მაისს, მესამე – 5 მაისს. 2000 წლის 25 მაისს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონი გამოქვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ მე-19 ნომერში.



## რა დაედო საფუძვლად „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონს?

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით უკანასკნელი ორი-სამი ათწლეულის განმავლობაში, პაციენტის უფლებების დაცვისათვის გამიზნული მძლავრი საერთაშორისო მოძრაობა აღინიშნება. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით შექმნილია სპეციალური სახელმწიფოთაშორისი ჯგუფები, რომლებმაც მოამზადეს მრავალი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი. მათ შორის აღსანიშნავია:

- ♦ ევროსაბჭოს კონვენცია „ადამიანის უფლებების და ღირსების დაცვის შესახებ ბიოლოგიასა და მედიცინაში“ (მიღებული ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, სტრასბურგი, 1996 წლის 19 ნოემბერი) ;
- ♦ დეკლარაცია ადამიანის გენომისა და ადამიანის უფლებების შესახებ (იუნესკო; მიღებულია სახელმწიფოთაშორისი კომიტეტის მიერ; პარიზი, 1997 წლის 27 ივლისი).
- ♦ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დეკლარაცია „ევროპაში პაციენტთა უფლებების ხელშეწყობის შესახებ“ (ამსტერდამი, 1994 წლის 28-30 მარტი);
- ♦ მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ჰელსინკის დეკლარაცია „სახელმძღვანელო რეკომენდაციები ადამიანზე ჩატარებული სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის შესახებ“ (მიღებულია მე-18 მსოფლიო სამედიცინო ასამბლეის მიერ, 1964 წლის ივნისი);
- ♦ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამედიცინო ეთიკის პრინციპები (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია 37/194; 1982 წლის 18 დეკემბერი);
- ♦ ადამიანზე ჩატარებული სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის საერთაშორისო ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპები (მომზადებულია სამედიცინო მეცნიერებების საერთაშორისო ორგანიზაციების საბჭოს მიერ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად; 1982 წელი);
- ♦ ნიურნბერგის კოდექსი ( მომზადდა ამერიკელი ექიმის ლეო ალექსანდერის, , გერმანელი ფსიქიატრისა და მედიცინის ისტორიკოსის ვერნერ ლაიბრანდის, ამერიკელი ფიზიოლოგის ენდრიუ ივის მიერ; ნიურნბერგი, 1947 წლის აგვისტო).

სწორედ ეს მასალა დაედო საფუძვლად „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის კონცეფციას და, აგრეთვე, ძირითად დებულებებს. განსაკუთრებით არის აღსანიშნავი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ზემოთ მოხსენიებული დეკლარაცია, რომელიც ევროპის ქვეყნებისათვის ერთგვარ მოდელად არის მიჩნეული ეროვნული კანონიმდებლობის მოსამზადებლად. ცხადია, კანონშემოქმედებითი ჯგუფი სარგებლობდა უცხო ქვეყნების სათანადო საკანონმდებლო ნორმატიული აქტებითაც (ფინეთი, ლიტვა, ისრაელი).

## რა არის მოქალაქეთა სოციალური უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში?

სოციალური უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გულისხმობს, რომ თითოეული ჩვენგანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- ♦ ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარებით;
- ♦ ხარისხიანი სამედიცინო დახმარებით.

# ვინ არის პაციენტი? რატომ არის საჭირო პაციენტის უფლებების სამართლებრივი უზრუნველყოფა?

პაციენტი არის ნებისმიერი პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით.

არის კი ამქვეყნად ვინმე, რომელსაც არასოდეს უსარგებლია, არც არასოდეს დასჭირდება და არასოდეს დააპირებს ისარგებლოს სამედიცინო მომსახურებით?

ცხადია, არა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თითოეული ჩვენგანი ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე აუცილებლად მიმართავს ხოლმე სამედიცინო პერსონალს. გავიხსენოთ თუნდაც აცრები.

აქედან გამომდინარე, როდესაც საუბარია პაციენტის უფლებებზე, იგულისხმება არა მხოლოდ დაავადებული ადამიანის, არამედ თითოეული მოქალაქის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

რატომ ითვლება აუცილებლად ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქის უფლებების უზრუნველყოფა სპეციალურად ამისათვის გამიზნული კანონმდებლობით? მიზეზი მარტივია და მისი არსი შემდეგია: სამედიცინო მომსახურების მომხმარებელი, ანუ მოქალაქე, რომელმაც მიმართა დახმარებისათვის სამედიცინო პერსონალს, ამ უკანასკნელთან პირისპირ დარჩენისას დაქვემდებარებულ, დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე. მან არ იცის, რა სჭირდება, რა უნდა მოითხოვოს, ვის მიმართოს. ის სავსებით დამოკიდებული ხდება სამედიცინო პერსონალზე. არც ის არის საიდუმლო, რომ ორი მხარის ურთიერთობისას (ნებისმიერ სფეროში, ნებისმიერ საკითხში), თუ ერთ-ერთი ნაკლებად გაცნობიერებული, ნაკლებად მცოდნეა, ის აუცილებლად დადგება იმ საშიშროების წინაშე, რომ მეორე მხარე, ნებსით თუ უნებლიედ, შელახავს მის უფლებებს. *ანუ, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობისას პაციენტი სუსტი, მოწყვლადი ნაწილია, რის გამოც ხშირია მისი უფლებების იგნორირება და დარღვევა.*

სწორედ ამიტომ უძველესი პერიოდიდან კაცობრიობა საჭიროდ თვლიდა ექიმთა ეთიკური კოდექსების, ექიმის ფიცის მომზადებას. ეკლესიის მამები, იურისტები, ფილოსოფოსები ბევრს წერდნენ ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობაზე. ამასთან, უფლებას სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ადამიანის ბუნებითი უფლებების კატეგორიას მიაკუთვნებდნენ. ამ ისტორიული ძეგლების, მათ შორის დღესაც აღიარებული და მოქმედის (მაგ. ჰიპოკრატეს ფიცი), ძირითადი მიზანი იყო ეთიკური პრინციპების დამკვიდრება ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაში, პაციენტის უფლებების დაცვა.

მაგრამ, ისევე, როგორც სხვა სფეროებში, მხოლოდ ეთიკური პრინციპების პროპაგანდა არ აღოჩნდა საკმარისი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. საჭიროდ ჩაითვალა საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციების, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების ჩარევა რეზოლუციების, რეკომენდაციების, სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებისა და გამოქვეყნების სახით. მაგრამ ამანაც არ იკმარა. საერთაშორისო საზოგადოებრიობამ გაიცნობიერა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქეთა უფლებების დასაცავად, ყოველივე ზემოხსენებულთან ერთად, აუცილებელია ამ უფლებათა გაცხადება საკანონმდებლო დებულებების სახით, მათი დაკანონება.

## რა არის პაციენტის უფლებები?

*ტრადიციულად* მოქალაქეთა უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ორ ძირითადი შემადგენლით არის წარმოდგენილი. ესენია:

⇒ სოციალური უფლებები;
⇒ ინდივიდუალური უფლებები.

სანამ ამ უფლებების რაობაზე ვისაუბრებთ, ზოგადად ავღნიშნავთ, რომ სოციალურ უფლებებში იგულისხმება უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე, მათ შორის სამედიცინო მომსახურების მზლებაზე. ინდივიდუალური უფლებები კი თითოეული მოქალაქის პიროვნულ ინტერესებს გულისხმობს, სახელდობრ, მის ავტონომიასთან, ღირსებასთან, ოჯახურ თუ სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქეთა სოციალური უფლებების რეალიზაცია კოლექტიურად ხდება, ანუ ამ უფლებების სიკეთით მთელი საზოგადოება სარგებლობს. ინდივიდუალური უფლებების რეალიზაცია კი კონკრეტული პაციენტისა და სამედიცინო პერსონალის ურთიერთობისას უნდა მოხდეს. სოციალური უფლებების დაცვაზე პასუხისმგებლი ძირითადად სახელმწიფოა (მაგრამ არა მხოლოდ ის), ინდივიდუალური უფლებების დაცვა კი მნიშვნელოვანწილად თვით პაციენტზე, აგრეთვე, სამედიცინო პერსონალზეა დამოკიდებული.

## რა არის მოქალაქის ინდივიდუალური უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში?

ინდივიდუალური უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გულისხმობს, რომ თითოეულ ჩვენგანს აქვს:

- ♦ ინფორმაციის მიღების უფლება საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ;
- ♦ სამედიცინო ჩარევამდე ინფორმირებული თანხმობის უფლება;
- ♦ საექიმო საიდუმლოს დაცვისა და საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის უფლება;
- ♦ სამედიცინო დაწესებულების არჩევის უფლება;
- ♦ მეორე აზრის მოძიების უფლება;

## რა გზა აირჩიეს სხვადასხვა ქვეყნებმა პაციენტის უფლებების დაცვის სამართლებრივი მოგვარებისათვის?



მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებში პაციენტთა უფლებების დაცვისათვის გამიზნული სამართლებრივი ჩარჩოს ერთიანი, ყველას მიერ აღიარებული მოდელი არ არსებობს. ოპტიმალური ვარიანტის შერჩევისათვის აუცილებელია თითოეული ქვეყნის მიერ საკუთარი ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და მისი ასახვა სათანადო საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებში თუ სხვა ტიპის დოკუმენტებში. ამჟამად ევროპის სახელმწიფოებში ჯანდაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის მარეგულირებელი რამდენიმე მოდელი არსებობს, სახელდობრ:

- ♦ პაციენტის უფლებების ამსახველი საკანონმდებლო დებულებების ჩართვა სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებში (ბულგარეთი, გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი, სლოვაკია, უზბეკეთი, უნგრეთი, ჩეხეთი);
- ♦ პაციენტის უფლებების ამსახველი ქარტიების ან კოდექსების მიღება (პაციენტის უფლებების ქარტიები, სამედიცინო პერსონალის ეთიკური კოდექსები და სხვ.). ეს გზა აირჩიეს გაერთიანებულმა სამეფომ, ირლანდიამ, პოლონეთმა, სან მარინომ;
- ♦ სპეციალური კანონის მიღება პაციენტის უფლებების შესახებ (დანია, ნორვეგია, საბერძნეთი, ისლანდია, ისრაელი, ლიტვა, ფინეთი, ჰოლანდია, საქართველო).

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს პრესრელიზში, რომელიც 2000 წლის 24 მაისს გამოქვეყნდა მოცემულია ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთაც უკვე მიღებული აქვთ სპეციალური კანონი პაციენტის უფლებების შესახებ (ამ ჩამონათვალში, ცხადია, საქართველოც არის ნახსენები) და ხაზგასმულია, რომ კიდევ 4 ათეულზე მეტ ქვეყანას აქვს მისაღები ანალოგიური კანონი,

## რას ამბობს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის თაობაზე?

მუხლი 11. „სამედიცინო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით“.

როგორ სრულდება ეს საკანონმდებლო დებულება ჩვენში? რა არის სახელმწიფო სამედიცინო პროგრამა? როგორია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის საბიუჯეტო უზრუნველყოფა? საკმარისია ის სამედიცინო დახმარებაზე მოსახლეობის უფლების განხორციელებისათვის?

იხ. მე-7 გვ.

## ვინ უნდა მიიღოს ინფორმაცია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, თუ პაციენტი ქმედუუნაროა, ან არა აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი?

კანონის იმავე (18) მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პაციენტის ქმედუუნარობის ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უუნარობის შემთხვევაში ზემოთ მოხსენიებული ინფორმაცია სამედიცინო მომსახურების გამწევმა უნდა მიაწოდოს პაციენტის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს.

ამასთან ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ კანონი (მუხლი 19) ავალებს სამედიცინო პერსონალს, რომ პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაცია მიეწოდოთ მათი აღქმის უნარის გათვალისწინებით. განმარტებების მიცემისას სპეციალური ტერმინები მინიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

იხ. მე-8 გვ.

# მოქალაქეთა სოციალური უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

*სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა მოქალაქის ძირითადი უფლებაა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ის გულისხმობს, რომ სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველი მოქალაქისათვის, მიუხედავად:*

- მისი ფინანსური შესაძლებლობებისა (ფინანასური ხელმისაწვდომობა);
- მისი საცხოვრებელი ადგილისა (მაგ., მაღალმთიანი რაიონი, ძნელად მისასვლელი რეგიონი, ტრანსპორტის არარსებობა და ა.შ.)
- მისი ასაკისა, სქესისა, ეთნიკური წარმომავლობისა, სოციალური მდგომარეობისა, რაიმე დაავადების არსებობისა და ა. შ. (ანუ, უნდა გამოირიცხოს რაიმე ნიშნის მიხედვით უთანაბრობა-დისკრიმინაცია).

ზემოთ თქმული ცხადჰყოფს, რომ სოციალური უფლებების რეალიზაცია ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნის ფინანსურ, ეკონომიკურ შესაძლებლობებზე და ამ უკანასკნელთა ყაირათიან გამოყენებაზე. ერთი სიტყვით, მოქალაქის სოციალური უფლებების რეალიზაცია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ხელეწიფება ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც ჯანმრთელობის დაცვის სისტემისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს საკმარისი თანხა, რომლის მოქალაქეების შრომის ანაზღაურება მაღალია, რომელსაც გააჩნია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სამედიცინო დაწესებულებების ქსელი, სადაც შესაძლებელია პირველადი სამედიცინო დახმარების მიღება, რომელშიც არ არსებობს ტრანსპორტისათვის მიუდგომელი რაიონები წელიწადის ნებისმიერ დროს.

*ე. ი. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქის ზემოთ მოხსენიებული უფლების რეალიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ, ეკონომიკურ ფაქტორებს, მთელი სახელისუფლო სისტემის, მთელი ქვეყნის და არავითარ შემთხვევაში მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის ძალისხმევას.*

*უფრო მეტიც, თუ მხოლოდ ჯანდაცვის სისტემას დავაკისრეთ პასუხისმგებლობა, მაშინ მისი ნებისმიერი ძალისხმევა დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.*

## როგორია სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა?

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები ფინანსდებოდა 55-58 პროცენტის ფარგლებში. 2000 წლის 6 თვის მონაცემებით ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები დაფინასებულია „საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში განსაზღვრული მოცულობის მხოლოდ 29,9 პროცენტით.

ამრიგად, წლების განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებისათვის არასრულად გამოიყოფა. ამავე დროს, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ის მუხლები, რომლებშიც სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების დაფინანსებაზეა საუბარი, ეხება თითოეული ჩვენგანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამიტომაც, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე ჩვენ ყველამ – მთელმა საზოგადოებამ უნდა ვიაქტიუროთ იმისათვის, რომ იმათ, ვინც განსაზღვრავს ჩვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო თანხების სიდიდეს, უზრუნველყონ ამ უკანასკნელის სათანადო რაოდენობა, ხოლო შემდგომში პირნათლად შეასრულონ აღებული ვალდებულებები. აბა, გავიხსენოთ ის ავადსახსენებელი სეკვესტრი! გავიხსენოთ გაუთავებელი დავა, ერთი მხრივ, ფინანსთა სამინისტროსა და, მეორე მხრივ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის. განა შეიძლება, სეკვესტრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ერთ სიბრტყეში იქნეს განხილული ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან დაკავშირებული და ნებისმიერი სხვა სფეროს პრობლემები? ასეთ პირობებში სამედიცინო დახმარება კვლავაც მიუწვდომელი იქნება მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის.

## რა არის სახელმწიფო სამედიცინო პროგრამა?

სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების შესახებ საქართველოს მოსახლეობამ თითქმის არაფერი, ან ძალიან ცოტა იცის. არცოდნა კი ხშირად ხდება იმის მიზეზი, რომ მოქალაქე არ მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას იმის გამო, რომ არა აქვს სამედიცინო დახმარებისათვის ფულის გადახდის საშუალება, ან მიმართავს დაწესებულებას და იხდის საზღაურს, რომელიც მან კანონით არ უნდა გადაიხადოს იმიტომ, რომ მისთვის გაწეული ეს კონკრეტული სამედიცინო დახმარება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამაში გათვალისწინებულია; ეს ნიშნავს, რომ საფასურის გადახდა, მთლიანად ან ნაწილობრივ, სახელმწიფოს აქვს ნაკისრი.

სადღეისოდ სახელმწიფო აფინანსებს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს. ამასთან, შერჩეულია მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები, რომელთა სამედიცინო დახმარებას სახელმწიფო კისრულობს. გარდა ამისა, შერჩეულია გარკვეული დაავადებები, რომელთა დიაგნოსტიკა და მკურნალობა, აგრეთვე, სახელმწიფოს აქვს ნაკისრი (მაგალითად, ტუბერკულოზი), მიუხედავად იმისა, რომელი სოციალური ჯგუფის წარმომადგენელია ამ დაავადებით შეპყრობილი პირი.



ზემოთ მოხსენიებული სახელმწიფო ვალდებულებები ოფიციალურად წარმოდგენილია სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების სახით, რომლებშიც განსაზღვრულია:

- მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფი რომელსაც სახელმწიფოს ხარჯზე უტარდება სამედიცინო მომსახურება; შესაბამისად, განსაზღვრულია ის თანხა, რომელიც სახელწიფოს აქვს გამოყოფილი ამ მიზნით;
- კონკრეტული დაავადებები, რომელთა დიაგნოსტიკასა და მკურნალობის საფასურს ამა თუ იმ მოცულობით სახელმწიფო კისრულობს.

*ამრიგად, სახელმწიფო სამედიცინო პროგრამა არის დოკუმენტი, რომლის გაცნობაც თითოეულ მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას იცოდეს, თუ რომელი დაავადებების დროს და რა მოცულობით გადაუხდის მას სახელმწიფო სამედიცინო მომსახურების საფასურს.*

პროფილაქტიკური, სადაზღვევო და სხვა ჯანდაცვითი პროგრამების საერთო რაოდენობა 3 ათეულს აღემატება.

ცხადია, ამ პროგრამების არც რაოდენობა და არც მოცულობა მუდმივი არ არის. როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობების გაზრდასთან ერთად სათანადოდ შეიცვლება.

სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხა განისაზღვრება საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება ფინანსდება სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიისა და ადგილობრივი ბიუჯეტის მეშვეობით. თავის მხრივ, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის ფინანსური შევსების წყაროს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებულ თანხასთან ერთად წარმოადგენს სავალდებულო სადაზღვევო შენატანი, რომელსაც იხდის როგორც დამქირავებელი (დამზღვევი), ისე დაქირავებული (დაზღვეული). სავალდებულო სადაზღვევო შენატანის მოცულობა განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო სადაზღვევო ტარიფის მიხედვით. ჩვენი ქვეყნისათვის იგი შეადგენს ხელფასის 1 პროცენტს დაქირავებულისათვის და 3 პროცენტს დამქირავებლისათვის.

მოსახლეობის იმ ჯგუფებს შორის, რომელთა სამედიცინო მოსახურებაც სახელმწიფომ იკისრა, არის მატერიალურად უმწეო მოსახლეობაც. არსებობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ლტოლვილთა და გასახლების სამინისტროს ერთობლივი ბრძანება, რომელშიც ჩამოთვლილია მოსახლეობის ის ჯგუფები, რომელნიც „უმწეოთა“ კატეგორიას მიეკუთვნებიან. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ უმწეო მოსახლეობა სარგებლობს ყველა იმ შეღავათით, რაც საერთოდ არის გათვალისწინებული საქართველოს მოსახლეობისათვის და, ამავე დროს, მისთვის განსაზღვრულია სხვა დამატებითი შეღავათებიც, რომლებიც გათვალისწინებულია „უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარების სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამით“. მაგალითად, გულის კუნთის მწვავე ინფარქტის მკურნალობას საავადმყოფოში სახელმწიფო სამედიცინო პროგრამა არ ითვალისწინებს, მაგრამ უმწეოთათვის ეს დახმარება გათვალიწინებულია „უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამით“; ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს უმწეოთა პოლისის მქონეთათვის მკურნალობის თანადაფინანსებას გადაუდებელი მდგომარეობების დროს.

*კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც უნდა იცოდეს მოსახლეობამ: სახელმწიფოს ხარჯზე სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომელთაც სათანადო კონტრაქტი აქვთ გაფორმებული სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიასთან.*

## დასკვნა

ამრიგად, რა გვაქვს და რა გვაკლია?

გვაქვს:

- სისტემა (სახელმწიფო სამედიცინო პროგრამები);
- სამედიცინო საზოგადოების მზადყოფნა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმის ზღვარზე შეასრულოს პროფესიული მოვალეობა;
- სათანადო საკანონმდებლო გარემო.

ამავე დროს:

არ არსებობს სამედიცინო პერსონალის საქმიანობისათვის საჭირო გარემო, რაც უპირველესი პირობაა იმისათვის, რომ განხორციელდეს თითოეული მოქალაქის კანონით განსაზღვრული უფლება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე.

ამიტომაც კანონის მოთხოვნები არ სრულდება!

არ სრულდება იმიტომ, რომ ჯანდაცვის სისტემას, სამედიცინო პერსონალს სახელმწიფომ ვერ შეუქმნა პირობები იმისათვის, რომ მათ სათანადოდ შეასრულონ თავისი პროფესიული მოვალეობა, უზრუნველყონ სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა და ხარისხი.

ვის მიადგა ზიანი ამის შედეგად? თითოეულ ჩვენგანს!

ყველას კარგად გვესმის, რომ ღარიბ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ამის მიუხედავად საზოგადოება უნდა ეცადოს დაარწმუნოს ხელისუფლება, რომ:

⇒ *თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობა ქვეყნის, ხელისუფლების უპირველესი და უმთავრესი პრობლემაა;*

⇒ *ჯანდაცვისათვის საჭირო თანხები სწორედ დღესაა საჭირო და არა მომავალში, თუნდაც უახლოეს მომავალში. ყოველი გადავადებული წელი, ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილი თანხის ყოველი სეკვესტრი გამოუსწორებელ დაღს ასვამს ათასობით ადამიანის ჯანმრთელობას, ასაკის, სქესის, სოციალური მდგომარეობის განურჩევლად.*

*ამრიგად, მთელი საზოგადოების, ნებისმიერი სოციალური ჯგუფის, თითოეული პიროვნების ყურადღების ობიექტად უნდა იქცეს ბიუჯეტის ის პარამეტრები, რომლებიც სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებს, ანუ ჩვენთვის შეღავათიანი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას ეხება. ეს არ არის მხოლოდ სამედიცინო საზოგადოების, მხოლოდ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზრუნავი. თუ საზოგადოება წელსაც და მომავალშიც კვლავაც ინდიფერენტული დარჩა ბიუჯეტის ამ მუხლების შეუსრულებლობისას, ადვილი მოსალოდნელია, რომ შედეგი ისევ სავალალო იქნება; პაციენტიც და ექიმიც ისევ უმძიმეს მდგომარეობაში დარჩებიან.*



ქვემოთ ლადო გუდიაშვილის ნახატია მოცემული – წიგნების გროვაზე მაიმუნი შემომჯდარა.

ეს ილუსტრაცია დიდი მხატვრის შემოქმედებიდან იმისათვის მოგვყავს, რომ შემდეგ გარემოებას გავუსვათ ხაზი: როგორი სრულყოფილიც არ უნდა იქნეს კანონმდებლობა, გარკვეულ პირობებში ის შეიძლება მაიმუნის საუფლო გახდეს.

## სამედიცინო მომსახურების ხარისხი

რა იგულისხმება ამ ცნებაში?

სამედიცინო მომსახურების ხარისხი არის საქმიანობის ისეთი დონე, როდესაც ცალკეული პიროვნებისა და მთლიანად მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება შესაბამისობაშია თანამედროვე პროფესიულ ცოდნასთან და მაღალი ალბათობით განაპირობებს ჯანმრთელობის მდგომარეობის სასურველ მახასიათებლებს.

ცხადია, რომ სამედიცინო მომსახურების ხარისხი სამედიცინო პერსონალის უშუალო მზრუნველობის ობიექტია. ამავე დროს, ისევ და ისევ, უმნიშვნელოვანესია მთლიანად საზოგადოების, სახელმწიფოს როლი. სწორედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა (საკანონმდებლო, საორგანიზაციო, საფინანსო), რომელიც შესაძლებლობას მისცემს ჯანდაცვის სისტემას, სამედიცინო პერსონალს უზრუნველყოს სათანადო ხარისხის პროფესიული მომსახურება. ამრიგად პაციენტის სოციალური უფლებების ამ კომპონენტის რეალიზაციაც არ არის მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის ფუნქცია და პრეროგატივა; ის მთელი საზოგადოების, ყველა სახელისუფლო სტრუქტურის საზრუნავია.

## დისკრიმინაცია

სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემაა სამედიცნო დახმარების აღმოჩენისას პაციენტის დისკრიმინაცია რაიმე ნიშნის მიხედვით. ამ პრობლემის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 14):

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

კონსტიტუციის ეს დებულება სათანადოდ არის ასახული საქართველოს კანონში „პაციენტის უფლებების შესახებ“, რომელშიც მითითებულია (მუხლი 6, 1):

„პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია“.

რისთვის გახდა საჭირო ზემოხსენებულისათვის ხაზგასმა?

წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც სამედიცინო დახმარება სჭირდება რამდენიმე პაციენტს, სამედიცინო დაწესებულებას კი, რესურსების უკმარისობის გამო, არა აქვს ყველასათვის დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა. რის მიხედვით უნდა შეირჩეს ასეთ შემთხვევებში პაციენტი, როგორ უნდა განისაზღვროს სამედიცინო დახმარების რიგითობა? პასუხი ერთია: მხოლოდ სამედიცინო ჩვენებით. ასეთ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი ზეგავლენა ნებისმიერი პირისაგან; აგრეთვე დაუშვებელია ასეთ შემთხვევებში სამედიცინო პერსონალის მიერ პირადი მოტივებით ხელმძღვანელობა (სიმპათია, ანგარება, პოლიტიკური, რელიგიური შეხედულებები და სხვა).

ზემოთ მოყვანილი სიტუაცია განსაკუთრებით ხშირია ორგანოების (მაგალითად თირკმლის) გადანერგვის საჭიროებისას. გადასანერგი ორგანოების მეტ-ნაკლებად გამოხატული დეფიციტი ყველა ქვეყანაში აღინიშნება, მიუხედავად მისი განვითარების დონისა. ასეთ დროს სამედიცინო პერსონალის ეთიკური და სამართლებრივი ვალია, რეციპიენტი შეარჩიოს მხოლოდ სამედიცინო ჩვენების მიხედვით. ცხადია, იგივე მოთხოვნა რჩება ძალაში ნებისმიერი სხვა სახის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას.

ამავე დროს, „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის იგივე მუხლის მეორე პუნქტში მოცემულია დათქმა, რომლის მიხედვითაც „ამა თუ იმ დაავადებასთან დაკავშირებით პაციენტის უფლებების შეზღუდვის პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა“.

რა არის ნაგულისხმები ამ დებულებაში? რა შემთხვევებში ზღუდავს საქართველოს კანონმდებლობა პაციენტის უფლებებს ამა თუ იმ დაავადებასთან დაკავშირებით?

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფსიქიკური დაავადებით შეპყრობილი პაციენტი, რომელიც „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად „სარგებლობს ყველა იმ კონსტიტუციური უფლებით, რომლითაც სარგებლობენ საქართველოს რესპუბლიკის სხვა მოქალაქეები, თუ ცნობილი არ არის არაქმედუნარიანად ფსიქიკური დაავადების გამო“. კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა გათვალისწინებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიჩნეულია ქმედუუნაროდ. ამასთან, აკრძალულია უფლებების შეზღუდვა მხოლოდ ფსიქიკური დაავადების დიაგნოზის გამო: შეზღუდვის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ კონკრეტული პირის ფსიქიკური მდგომარეობა.

მეორე მაგალითია შიდსით დაავადებასთან დაკავშირებული შეზღუდვები. საქართველოს კანონი „აივ ინფექციის/შიდსის პროფილაქტიკის შესახებ“ კრძალავს აივ ინფიცირებული ან შიდსით დაავადებული პირების დისკრიმინაციას. ამავე დროს, მათ არა აქვთ შრომითი მოწყობის უფლება იმ სპეციალობებით, სადაც არსებობს ლორწოვანი გარსის მთლიანობის დაზღვევის შესაძლებლობა და მეორე პირის დაავადების საფრთხე. ამ დაავადების მქონე პირებს აქვთ სპორტულ ვარჯიშსა და შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება, გარდა კონტაქტური და სათამაშო სახეობებისა, სადაც არსებობს კანისა და ლორწოვანი გარსის მთლიანობის დარღვევის შესაძლებლობა და მეორე პირის დაავადების საფრთხე.

საქართველოს რესპუბლიკა
№335. სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2000 წელი.

# მოქალაქეთა ინდივიდუალური უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

მედიცინის განვითარებამ, მისმა მზარდმა კომპლექსურობამ, უამრავი ახალი ურთულესი სამკურნალო თუ სადიაგნოზო, მაღალი რისკით თანხლებული მეთოდების დანერგვამ და ამასთან დაკავშირებულმა დეპერსონალიზაციამ და დეჰუმანიზაციამ განაპირობა პიროვნების თვითგამორკვევის უფლების მკვეთრად წარმოჩენის, ინდივიდუალური არჩევანის უფლების სტიმულირებისა და მისი საკანონმდებლო დაცვის აუცილებლობა.

დავიწყებთ ინფორმაციის მიღების უფლებით.

*I. ინფორმაციის მიღების უფლება*

„პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონში ინფორმაციის ორ სახეზეა საუბარი, სახელდობრ:

- ინფორმაცია იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებას ან უარყოფითად მოქმედებს მასზე;
- ინფორმაცია თავად პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

## ინფორმაცია იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებას ან უარყოფითად მოქმედებენ მასზე

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ცხოვრების წესი, საკვების, სასმელი წყლის ხარისხი, სამუშაო და საცხოვრებელი პირობები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობაზე. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების ფართოდ გავრცელება საქართველოში იოდის დეფიციტთან არის დაკავშირებული, თამბაქოს მოხმარება მნიშვნელოვნად ზრდის გულსისხლძარღვთა სისტემის, სასუნთქი სისტემის დაზიანების რისკს, ავთვისებიანი დაავადებების სიხშირეს. ცხადია, ეს ჩამონათვალი სრული არ არის. მათ გარდა კიდევ უამრავი გარემო ფაქტორი ახდენს დადებით ან უარყოფით ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ცხადია, რომ ამ ფაქტორების შესახებ საზოგადოების თითოეული წევრის ინფორმირება უდავოდ სასარგებლო იქნება ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

„პაციენტის უფლებების შესახებ" კანონის მე-16 მუხლში გაცხადებულია, რომ „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური, გასაგები ინფორმაცია იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებას ან უარყოფითად მოქმედებს მასზე". იმავე მუხლში ნათქვამია, რომ „სახელმწიფო ვალდებულია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ან ინდივიდუალურად, მოთხოვნისამებრ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიაწოდოს მოქალაქეს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია".

რა სიტუაციაა ჩვენში ამ თვალსაზრისით? საკმარისად არასახარბიელო. განა ვინმეს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოუწოდებია ჩვენთვის ინფორმაცია ე. წ. ღია ბაზრობებზე გამოტანილი პროდუქტის ვარგისიანობისა თუ უვარგისობის შესახებ?

განა რომელიმე ჩვენგანმა იცის რამე ჰაერის ან სასმელი წყლის მდგომარეობის შესახებ? არა და ეს ის ინფორმაციაა, რომელიც აუცილებელია ჯანმრთელობისა და, ზოგ შემთხვევაში, სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

ჯანმრთელობისათვის მავნე ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მოწოდების სავალდებულოებასთან დაკავშირებით ერთი, ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელი ფაქტი გვინდა შევახსენოთ.



საქართველოში მოქმედებს კანონი "რეკლამის შესახებ", რომლის მიხედვითაც თამბაქოს რეკლამა საქართველოში მხოლოდ 2000 წლამდე იყო დაშვებული; ამის შემდეგ თამბაქოს რეკლამა საქართველოში უნდა აკრძალულიყო. პარლამენტში ამ გადაწყვეტილების განხილვას წინ უძღოდა საჯარო დისკუსია. ტელევიზია გადასცემდა როგორც აკრძალვის მომხრეების, ისე მისი მოწინააღმდეგეების გამოსვლებს. უაღრესად საინტერესო იყო ამ უკანასკნელთა ზოგიერთი არგუმენტი. ერთ-ერთი მათგანი ასე ჟღერდა: „კი, ჩვენ ვიცით, რომ თამბაქოს მოხმარება ზრდის ფილტვის კიბოთი დაავადების სიხშირეს, მაგრამ რეკლამა არ უნდა აიკრძალოს, ვინაიდან რეკლამის მეშვეობით ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხა შედის, რომელიც შემდეგ შეიძლება გამოყენებული იქნეს ავთვისებიანი სიმსივნეების სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების დასაფინანსებლად".

ვითომ დავიჯეროთ, რომ ამ მოსაზრების ავტორი ჩვენი ჯანმრთელობისათვის და სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საიმედო დაფინანსებისათვის გულანკლებულია? ცხადია, არა. ალბათ არ იყოს, „ჩვენ ვერ მიაყვება ამ სამსალუმდე და პირველ უცხის გადაგმაზე მუქლი ჩაეკცევა".

ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა და მოსახლეობისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება ჯანმრთელობისათვის მავნე ფაქტორების შესახებ.

## ინფორმაცია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

სამედიცინო დაწესებულებაში მოხვედრილი მოქალაქე მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე. რითი ვარ ავად? რა სახის გამოკვლევები და მკურნალობა მჭირდება? რა დამიდგება დაავადების დადგება, მკურნალობა? ხომ არაფერს მიმალავს ექიმი? აქვს კი მას სათანადო ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ დამეხმაროს?

პაციენტის უფლებების შესახებ კანონში არის სათანადო მუხლები, რომლებიც მიზნად ისახავენ ასეთ სიტუაციაში აღმოჩენილ მოქალაქის ქცევითი სწორედ ამ მუხლების ახსნა ღებულებების იქნება საუბარი.

უპირველეს ყოვლისა ამ გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი, რომ, კანონით (მუხლი 18, პუნქტი 1) პაციენტს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სახელდობრ: მას უფლება აქვს იცოდეს:

⇒ განზრახული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურების, მათი თანმხლები რისკისა და მოსალოდნელი ეფექტიანობის შესახებ;

⇒ სამედიცინო გამოკვლევების შედეგების შესახებ;

⇒ განზრახული სამედიცინო მომსახურების სხვა, ალტერნატიული ვარიანტების, მათი თანმხლები რისკისა და მოსალოდნელი ეფექტიანობის შესახებ;

⇒ განზრახულ სამედიცინო მომსახურებაზე გაცხადებული უარის მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

⇒ დიაგნოზისა და სავარაუდო პროგნოზის, აგრეთვე მკურნალობის მიმდინარეობის შესახებ;

⇒ დაავადების სამედიცინო ჩარევის თანმხლები რისკისა და სავარაუდო ეფექტიანობის შესახებ;

⇒ მკურნალობის თანმხლები რისკისა და სავარაუდო ეფექტის შესახებ, მიმდინარე მკურნალობის შედეგების შესახებ;

⇒ ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების შედეგების შესახებ;

ერთი სიტყვით, პაციენტს უფლება აქვს იცოდეს ყველაფერი საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, დიაგნოზით, გამოკვლევებთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ყველა დეტალის შესახებ.

## ყველა შემთხვევაში ვალდებულია სამედიცინო პერსონალი სრული, ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს პაციენტს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ?

არის თუ იშვიათი შემთხვევა, როდესაც პაციენტი ნაკლებად განიხილწოდებული, მოქარბებულად ემოციური პიროვნებაა, რომელიც მუდმივ შიშით მგრძნობელობა აღიქვამს საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ, თუნდაც უმნიშვნელო პრობლემას. ასეთ შემთხვევებში, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა პაციენტს სერიოზული, ზოგჯერ სიცოცხლისათვის საშიში დაავადება აღენიშნება, მისთვის სრული სიმართლის თქმა მკურნალობა ეჭვქვეშ შეიძლება არ მიიწიოს მიზანშეწონილად.

რის უფლებას აძლევს კანონი ასეთ შემთხვევაში ექიმს?

„პაციენტს შეიძლება არ მიეწოდოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ თუ ამ ინფორმაციის მოწოდებამ შეიძლება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ სრული ინფორმაციის მიღება პაციენტის ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს მიაყენებს" (მუხლი 18, პუნქტი 2).

ამრიგად ექიმს აქვს უფლება არ მიაწოდოს ან შეუზღუდოს პაციენტს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მაგრამ აქვე კანონში ორი დათქმაა მოცემული, სახელდობრ:

1. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, როცა ექიმი არ თვლის მიზანშეწონილად პაციენტისათვის სრული ინფორმაციის მიწოდებას, ის მაინც ვალდებულია გაამჟღავნოს ეს (ანუ, მიაწოდოს სრული ინფორმაცია), თუ პაციენტი ამას დაჟინებით მოითხოვს (18-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო სტრიქონი).

2. „ინფორმაციის მიუწოდებლობის ან მისი შეზღუდვის შემთხვევაში გადაწყვეტილება აღინიშნება სამედიცინო ეთიკის კომისია, ხოლო მისი არარსებობის — სხვა ექიმი. ინფორმაციის მიუწოდებლობაზე ან მისი მიწოდების შეზღუდვაზე დასაბუთებული გადაწყვეტილება ფიქსირდება პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში" (მუხლი 18, პუნქტი 3).

ამრიგად, მკურნალ ექიმს არა აქვს უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს პაციენტისათვის ინფორმაციის მიწოდების შეზღუდვის ან ინფორმაციის არმიწოდების საკითხი. ასეთ შემთხვევაში მისი გადაწყვეტილება უნდა დაადასტუროს სამედიცინო ეთიკის კომისიამ ან სხვა ექიმმა.

## სამედიცინო ჩანაწერებში არსებული ინფორმაციის მიღება

ძველი თაობის ექიმებს ისიც კარგად ახსოვთ, როგორი ნეგატიური რეაქცია მოჰყვებოდა ხოლმე იმ შემთხვევებს, თუ პაციენტი მოითხოვდა ან მოახერხებდა ავადმყოფობის ისტორიის ნახვას. ეს დოკუმენტი პაციენტის საკუთრებად არ ითვლებოდა და ყველაფერი ითვლებოდა, რომ ის იმის წარმოდგენაც კი არ უნდა ჰქონოდა, რომ პაციენტებს მასში არსებული მონაცემები გაეგოთ.

„პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით:

1. „პაციენტს, ხოლო მისი თანხმობის ან ქმედუუნარობის შემთხვევაში, კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს სამედიცინო ჩანაწერებს და მოითხოვოს პაციენტის შესახებ არსებულ ინფორმაციაში შესწორებების შეტანა. სამედიცინო ჩანაწერებში ის იხილავს როგორც შესწორებამდე არსებული, ისე პაციენტის მიერ შეტანილ ან ცნობილი წარმომადგენლის შესწორებულ ინფორმაციას;

ბ) მოითხოვოს სამედიცინო ჩანაწერების ნებისმიერი ნაწილის ასლი.

2. სამედიცინო ჩანაწერების გაცნობის, აგრეთვე მათი ასლის მიღების შესახებ მოთხოვნა წერილობით წარედგინება სამედიცინო დაწესებულებას.

## რისთვის არის საჭირო პაციენტისათვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება?

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ავადმყოფობის მკურნალობა გაცილებით უფრო ეფექტური იქ შემთხვევებში, როცა პაციენტი ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას საკუთარი ჯანმრთელობის და სამედიცინო მომსახურების ელემენტების შესახებ.

ავადმყოფის წარმატებულ მკურნალობასთან დიდი მნიშვნელობა აქვს ე. წ. „თერაპიულ ალიანსს". ამ უკანასკნელის არსი ის არის, რომ პაციენტი ექიმის მოკავშირედ უნდა იქცეს დაავადებასთან ბრძოლის პროცესში. პაციენტსა და ექიმს შორის სრული ნდობისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებისათვის, მათი მოკავშირეებად ქცევისათვის აუცილებელია პაციენტის ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი, იმისა რწმენა, რომ ექიმი მას არაფერს უმალავს. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვნად იმისი წინაპირობაა, რომ პაციენტი გაიცნობიეროს, რისთვის სჭირდება მას ესა თუ ის სამედიცინო ჩარევა, რატომ უნდა შეასრულოს მკურნალობის მოსალოდნელი შედეგი და სხვ. ის უფრო გულდასმით, აკურატულად შეასრულებს ექიმის რჩევებს, აქტიურად ჩაერთვება გადაწყვეტილების მიღებისა და მკურნალობის პროცესში, ექიმის მოკავშირე გახდება.

სწორედ ზემოხსენებული მოსაზრებები დადო საფუძვლად იმ გარემოებას, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, მსოფლიო სამედიცინო ასოციაციამ რეკომენდაციებში, რეზოლუციებში, აგრეთვე, განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობამ პაციენტის ენიჭება უფლება მიიღოს სრული ინფორმაცია თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ეს დებულება, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სრულად არის ასახული საქართველოს კანონში „პაციენტის უფლებების შესახებ".

## რა არის სამედიცინო ეთიკის კომისია? როგორია მისი ფუნქციები?

სამედიცინო ეთიკის კომისიების შექმნა სამედიცინო დაწესებულებებში ჯეროვანდ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" კანონით და მორიგის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით. ამ კომისიების მიზანია პაციენტის უფლებების, მათი ღირსებისა და პიროვნების ავტონომიის დაცვისათვის ხელშეწყობა სამედიცინო მომსახურების პროცესში წარმოქმნილ ეთიკურ ასპექტების წარმოჩენა, ანალიზისა და სათანადო რეკომენდაციების მიმზადების გზით.

კომისია იქმნება სამედიცინო დაწესებულებებთან, მათ შორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში, როგორც სამედიცინო პერსონალის საკვალიფიკაციო ორგანო სამედიცინო მომსახურების ეთიკურ საკითხებში. ამასთან, კომისიებს შექმნა აუცილებელია მრავალპროფილიან სტაციონარებში, ნეიმსინგ სტაციონარში, სადაც ფუნქციონირებს ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის განყოფილება, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, სამეანო-გინეკოლოგიურ სტაციონარებში, რეპროდუქტოლოგიის საკითხების მომცველ დაწესებულებებში, ტრანსპლანტოლოგიურ ცენტრებში. შესაძლოა რამდენიმე დაწესებულებამ შექმნას სამედიცინო ეთიკის ერთობლივი კომისია.

სამედიცინო ეთიკის კომისიის ერთ-ერთი ფუნქციაა დახმარება სამედიცინო პერსონალს, პაციენტებს და/ან მის ნათესავებს გადაწყვიტონ, რა ეთიკური პრობლემებია ახლავს ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციას და რა უნდა იქნეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარდა ამისა, სამედიცინო ეთიკის კომისიის დანიშნულებაა საგანმანათლებლო მუშაობა სამედიცინო ხელშეწყობის, ექიმის და პაციენტის ურთიერთობის, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების ეთიკური ასპექტების შესახებ. ცხადია, იგულისხმება საგანმანათლებლო მუშაობა სამედიცინო პერსონალს შორის, თუმცაღა, შესაძლებლობის ფარგლებში, სასურველია საზოგადოების განათლებაც.

## თუ პაციენტი უარს ამბობს ინფორმაციის მიღებაზე?

კანონი ითვალისწინებს კიდევ ერთ გარემოებას, რომლის დროსაც ექიმს უფლება აქვს არ მიაწოდოს პაციენტს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სახელდობრ, მე-20 მუხლში გაცხადებულია, რომ „პაციენტს უფლება აქვს უარი განაცხადოს ინფორმაციის მიღებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ინფორმაციის მიუწოდებლობამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს პაციენტს ან/და მესამე პირის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს".

რა იგულისხმება ამ ნორმაში?

მისი პირველი ნაწილი სავსებით ერთმნიშვნელოვანია. თუ პაციენტს არ სურს დიაგნოზის გაგება და ვერ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის, იგი იმისი მიღებაზე, რომ უარის თქმა, კოლეგიალური ექვსისა და კომიტეტის გარეშე ღიაოფილური ექიმის ეთიკური გადაწყვეტილებით და უარს განაცხადოს ექიმი ინფორმაციის მიღებაზე, მაშინ ექიმს აქვს უფლება არაფერი უთხრას მას დიაგნოზის, მკურნალობის, დაავადების მოსალოდნელი გამოსავლის და ა. შ. შესახებ.

ვითარებაში, ეს მოცილი ამ შემთხვევაში დასაშვებია, თუ თავად პაციენტს არ სურს ინფორმაციის მიღება.

ამავე დროს, კანონის ამ მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს დათქმას, რომლის მიხედვითაც, პაციენტს, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს ინფორმაციის მიღების სურვილი, ექიმმა მაინც უნდა მიაწოდოს ეს ინფორმაცია.

რა შემთხვევაშია აქ ნაგულისხმები?

მაგალითად, თუ პაციენტს სქესობრივი გზით გადამდები დაავადების დიაგნოზი დაუდგინდა, რაც, ცხადია, საფრთხეს უქმნის მისი მეუღლის ჯანმრთელობას, ექიმი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ პაციენტს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მეუღლის დაინფიცირება. ანდა, თუ პაციენტს აღენიშნება ალერგია რაიმე საკვების ან მედიკამენტის მიმართ, ექიმმა, მიუხედავად პაციენტის სურვილისა, უნდა განუმარტოს მას დაავადების არსი და ამ საკვებისა თუ მედიკამენტის მიღებასთან დაკავშირებული საშიშროება.

მასალები მოამზადეს: გურამ კიკნაძემ, გივი ჯავაშვილმა, ესალ ჭეიშვილმა, აკაკი ბარკალაიამ და მაია სულაქველიძემ.

რედაქტორი გურამ კიკნაძე, რედაქტორის მოადგილე გივი ჯავაშვილი, პასუხისმგებელი რედაქტორი თამარ ჩაჩიბაია.




## ოპეკი ნავთობის მოპოვების შემცირებას მოუწოდებს

ნავთობმომპოვებელი ქვეყნები მოუწოდებენ შემცირდეს ნედლი ნავთობის მოპოვება, რათა შეჩერდეს სათბობის მსოფლიო ფასების შემდგომი ვარდნა. ახლა ბარელი (159 ლიტრი) 22 დოლარზე ნაკლები ღირს, ანუ უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში მესამედით დაეცა.

## კლინტონის ახალი წინადადებანი



პალესტინელთა და ისრაელთა წარმომადგენლები განიხილავენ ახალ წინადადებებს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოსაგვარებლად, რომლებიც პრეზიდენტმა კლინტონმა შეიტანა ვაშინგტონში ახლახან დამთავრებულ მოლაპარაკებაზე. ისრაელმა დამაიმედებელი უწოდა მათ შედეგს, პალესტინელები კი კვლავინდებურად ხაზს უსვამენ არსებულ უთანხმოებებს.

## სევდანარევი დღესასწაული



მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მდებარე ბეთლემში, სადაც იესო ქრისტე იშვა, კათოლიკური შობის დღესასწაულს დაერთო გლოვა პალესტინელთა ამბოხების დროს სამასი კაცის დაღუპვის გამო. ცენტრალური მოედანი პრაქტიკულად უკაციელი იყო. ზოგიერთი ცერემონია, მათ შორის, სადღესასწაულო ფეიერვერკი, გაუქმდა. პალესტინელთა ლიდერი იასირ არაფატი საგანგებოდ ჩამოფრინდა, რათა მონაწილეობა მიეღო წმიდა ეკატერინეს ეკლესიაში გამართულ წირვაში. ვატიკანში, რომის პაპმა მლოცველებისადმი მიმართვისას საგანგებოდ გაუსვა ხაზი ახლო აღმოსავლეთში მომხდარ ტრაგიკულ ამბებს და ტრადიციული საშობაო ცერემონია იმით დაიწყო, რომ თავის სარკმელში აანთო სიმბოლური მშვიდობის სანთლები, შემდეგ კი მესით მიმართა წმ. პეტრეს მოედანზე შეკრებილ ხალხს.

## აფეთქებები ინდონეზიაში



ინდონეზიის ქრისტიანულ ეკლესიებში მომხდარ აფეთქებათა სერიის შემდეგ, რომელთა დროს თოთხმეტი კაცი დაიღუპა და მრავალი — დაიჭრა, ქვეყნის პრეზიდენტმა ვაჰიდმა მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მოუწოდა. ამ აფეთქებათა მიზანი იყო, გამოეწვიათ მთავრობის დესტაბილიზაცია, დაეთესათ საზოგადოებაში შიში და პანიკა. ინდონეზიის პოლიციის ინფორმაციით, სულ ქვეყანაში აღინიშნა თვრამეტი აფეთქება, კიდევ თხუთმეტი ასაფეთქებელი მოწყობილობა უვნებელყვეს. მთელმა რიგმა მუსლიმანურმა ორგანიზაციებმა დაგმეს აფეთქებები. ჯაკარტაში შიშობენ, რომ ქრისტიანები საპასუხო ღონისძიებებს მიმართავენ მაჰმადიანების წინააღმდეგ.

## შიმშილობა თურქეთის ციხეებში



თურქეთის იუსტიციის მინისტრი ჰიქმეთ სამი თურქი იუწყება, რომ 350-ზე მეტი ტუსაღი შიმშილობას განაგრძობს. ხუთი დღის წინათ უშიშროების სამსახურებმა შტურმით აიღეს რამდენიმე ციხე, რათა ბოლო მოეღოთ პატიმართა პროტესტებისათვის. იუსტიციის მინისტრმა მოუწოდა ტუსაღებს, დაასრულონ უმაქნისი პროტესტები და აღნიშნა, რომ დროა, როგორც პატიმრები, ისე მათი ნათესავები შეურიგდნენ ციხის რეჟიმში განსახორციელებელ ცვლილებათა აუცილებლობას.

## ჩეხეთის ტელევიზია — პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზი

ჩეხეთის სახელმწიფო ტელევიზიის თანამშრომლებსა და ახალ ხელმძღვანელობას შორის ბრძოლაში ახალი ეტაპი დაიწყო. ახლადმოსული ხელმძღვანელობის განკარგულებით, გამოირთო დღის მთავარი საინფორმაციო გადაცემის ტრანსლაცია, რომელიც მოამზადეს მისმა მოწინააღმდეგე თანამშრომლებმა, და იგი შეიცვალა სხვა გადაცემით, რომელიც გადაიცა სათადარიგო სტუდიის კომპლექსიდან. ჟურნალისტები უარს ამბობენ, ცნონ ახალი ხელმძღვანელობის დანიშვნა, რომელსაც სათავეში უდგას ირჟი ხოდაჩი, და მის მიერ მოყვანილი საინფორმაციო განყოფილების დირექტორი იანა ბობოშიკოვა. ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ისინი პოლიტიკურ გავლენას ახდენენ პროგრამების ფორმირებაზე.

## ბრიტანელი ქალები ომს ეშურებიან:

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ დასრულდა საბრძოლო წვრთნა, რომლის შედეგადაც ქალებს, შეიძლება, ნება დაერთოთ, მონაწილეობა მიიღონ საომარ მოქმედებაში წინა ხაზზე. საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს თავდაცვის მინისტრმა ჯეფ ჰუნმა. ქალები ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალებში მსახურობენ ყველა გემზე, წყალქვეშა ნავების გარდა, აგრეთვე სამხედრო-საჰაერო ძალებში მებრძოლ პილოტებად. ამისათვის ისინი ფიზიკური მომზადების ჩათვლებს აბარებენ მამაკაცების თანაბრად. მაგრამ ნატოს ბევრი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, ბრიტანელ ქალებს დღემდე არ ჰქონდათ უფლება, ბრძოლის წინა ხაზზე ყოფილიყვნენ ქვეითი ჯარის შემადგენლობაში.



# საით მიდიხარ, რუსეთო?

სანამ ფლორიდაში ჯერ მანქანით, მერე კი ხელით ითვლიდნენ ხმებს, მოსკოვი სიამოვნებით ქირქილებდა ყოფილ №1 კლასობრივ მტერზე. პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა იოხუნჯა, მოდით, ამერიკელებს რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვეშნიაკოვი დავახმაროთო. მოსკოველებმა მაშინვე აიტაცეს ეს ხუმრობა და გამოვიდა ანეკდოტი. აშშ იღებს რუსეთის თავაზიან წინადადებას, ვეშნიაკოვი ამერიკაში მიფრინავს და ორი საათის შემდეგ უპატაკებს: შეერთებულ შტატებში არჩევნების შედეგები შეჯამებულია, ხმები ხელით გადავთვალეთ და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ვლადიმერ პუტინმაო.



ასე მწარედ ბრუნდება ანეკდოტი ძველებურ საბჭოურ ყაიდაზე. უფრო მწვავე და დაუფარავი კრიტიკისათვის გამბედაობა არ ჰყოფნით, წერს იურგენ დემნერი, გერმანიის ARD ტელერადიოკომპანიის მოსკოველი კორესპონდენტი, და განაგრძობს:

ვერავინ ბედავს, საჯაროდ გამოთქვას ეჭვები რუსეთის პრეზიდენტის მარტის არჩევნების ლეგიტიმურობის თაობაზე. თუმცა საამისოდ უამრავი საფუძველი აქვს. ინგლისურ ენაზე გამომავალმა გაზეთმა „მოსკოუ ნიუსმა" მრავალი თვის ჟურნალისტური გამოძიების შემდეგ გამოაქვეყნა მთელი რიგი მოწმეების ჩვენებანი და დოკუმენტები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ პუტინის გამარჯვებას პირველ ტურში. მაგრამ სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა წაუყრუეს თემას. ხოლო თვით ახალ ლიდერსა და ამომრჩეველთა უდიდეს უმრავლესობას ეს უბრალოდ არ აინტერესებს, რომ აღარაფერი ვთქვათ დასავლელ პოლიტიკოსებსა და მრეწველობის კაპიტნებზე.

ეს დასავლელი პოლიტიკოსები და მრეწველები ცას ეწიენენ ეიფორიისაგან: ბოლოს და ბოლოს, კრემლში გამოჩნდა ძლიერი ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, რუსეთს ჰყავს პრეზიდენტი, რომელსაც ფეხი არ ებლანდება თვითმფრინავის ტრაპზე, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანას მოევლინა სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც მზად არის, ხელი დაიკაპიწოს და დაამყაროს წესი და რიგი. 70 წლის სოციალიზმისა და 10 წლის ანარქო-კაპიტალიზმის შემდეგ ეს ნამდვილად ერთადერთი გამოსავალია რუსეთისათვის. ახალი ცოცხი კარგად გვის. მაგრამ სად მიდიხარ, თუ ამ უდრეკმა კაცმა რუსეთს რკინის ცოცხით მოუნდომა გადახვეტა?

მმართველობის ერთი წლის პირველი კვალი უკვე აშკარაა. არ შეიძლება, არ შევამჩნიოთ წარმატებები, მეტადრე — ეკონომიკაში. ეკონომიკის ზრდამ შეადგინა 7 პროცენტი, ოქროს სავალუტო მარაგი შეივსო, საგადასახადო შემოსულობა გადიდდა. მაგრამ იმიტომ ხომ არ გვეჩვენება ნახტომი ესოდენ შთამბეჭდავად, რომ ათვლის წერტილი უჩვეულოდ დაბალია. პუტინს ერგო ბედნიერი ლატარიის ბილეთი — რეკორდულად მაღალი ნავთობისა და გაზის ფასი. მაშ, იქნებ, სავალუტო მარაგის ზრდისა და საგადასახადო შემოსავლის გადიდებისათვის რუსეთის მოქალაქენი იმდენად არა პუტინის, არამედ ოპეკ-ში შემავალი არაბი შეიჰების მადლიერნი უნდა იყვნენ?

რეალურად რუსეთში ბევრი არაფერი შეცვლილა. მოსახლეობის ცხოვრების დონე მინიმალურად ამაღლდა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში დაეცა კიდეც. რაც შეეხება ზამთრის სიცივეებს, ყველაზე მოსალოდნელ სიძნელეს, რუსეთი ამ მხრივ ბევრს ვერაფერს დაიკვეხნის. მაგრამ მოვეშვათ სოციალურ ასპექტებს და ავიღოთ ხელში საბაზრო საწყაო. პუტინის წარმატებანი აქაც საეჭვოა. გერმანიის სოციალური საბაზრო მეურნეობის მამამთავარი ლუდვიგ ერჰარდი ხშირად ამბობდა: „კაპიტალი მფრთხალი შველივით არისო". და ახლა ეს დამფრთხალი შველი თავქუდმოგლეჯილი გარბის რუსეთიდან. კაპიტალის ლეგალური და არალეგალური გადინება ქვეყანაში 10-ჯერ სჭარბობს უცხოური ინვესტიციების მოცულობას.

პოლიტიკაზე რაღა გვეთქმის? ერთი შეხედვით, პუტინმა მიაღწია მდგომარეობის სტაბილიზაციას ქვეყანაში. მან შეძლო, ბოლო მოეღო ტრადიციული კონფლიქტისათვის სახელმწიფო სათათბიროსა და კრემლს შორის. შეწყდა გაუთავებელი ოთურმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე, ელცინის დროს რომ იყო.. მაგრამ პირველი წლის შედეგი აშკარად უარყოფითად გამოიყურება, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკურ კულტურას, სიტყვის თავისუფლებას და დემოკრატიას. პოლიტიკური თვალსაზრისით პუტინი უკან, წარსულისაკენ აქნევინებს პირს ქვეყანას. იგი კომუნისტებს დაესესხა სახელმწიფოს განმტკიცების, როგორც პოლიტიკის საბოლოო და მთავარი მიზნის მიღწევის ლოზუნგს. მაგრამ ისტორია გვიჩვენებს, რომ ასეთ კურსს გარდაუვალად მოსდევს შედეგად ინდივიდუალურ უფლება-თავისუფლებათა მოშთობა. მისი პირველი მსხვერპლნი გახდნენ სიტყვის თავისუფლება და პრესის თავისუფლება. საგადასახადო პოლიციური და სხვა ოინების მეშვეობით ხელისუფალნი ცდილობენ პირში ბურთი ჩასჩარონ კრიტიკულად განწყობილ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. როგორც უქნეს, მაგალითად HTB ტელეკომპანიას.

როდესაც ერთი წლის წინათ პუტინი კრემლს მოევლინა, უმრავლესობა თავს იკავებდა შეფასებებისაგან: ძალზე ცოტა რამ იყო ცნობილი ყოფილ ჩეკისტზე, რომელსაც აქამდე არაფრით გამოეჩინა თავი.

მაგრამ, რაც უფრო მეტხანს გრძელდება პუტინის მმართველობა რუსეთში, მით უფრო ნათლად იკვეთება მისი კურსი, მისი სიტყვებისა და საქციელის მოტივი, ასე რომ, რუსეთს არც 2001 წელს მოელის კარგი არაფერი.

## მილოშევიჩს პასუხს აგებინებენ



სერბეთის პრემიერ-მინისტრად არჩეულმა ზორან ჯინჯიჩმა განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი პასუხი აგებინოს იუგოსლავიის ყოფილ პრეზიდენტს სლობოდან მილოშევიჩს. ჯინჯიჩმა ეს განცხადება გააკეთა ბი-ბი-სისადმი ინტერვიუში იმ არჩევნების მეორე დღეს, რომლებზეც დემოკრატიულმა კოალიციამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, და ჩამოართვა ძალაუფლება სლობოდან მილოშევიჩის სოციალისტურ პარტიას.

ჯინჯიჩმა თქვა, რომ მილოშევიჩს წაუყენებენ კორუფციისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ბრალდებებს. მომავალში კი, შესაძლოა, — ომის დანაშაულებათა ჩადენის ბრალდებასაც.

დასავლელ ლიდერებს სურთ, მილოშევიჩი ჰააგის ტრიბუნალის წინაშე წარსდგეს ომის დანაშაულობებისათვის. ზორან ჯინჯიჩი აღნიშნავს, რომ იუგოსლავიის კანონები არ ითვალისწინებენ ექსტრადიციას, მაგრამ მთავრობამ შეიძლება მიაღწიოს ჰააგასთან შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ სასამართლო სერბეთში გაიმართოს.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციის დეპუტატები საპარლამენტო სავარძლების ორ მესამედს დაიკავებენ სერბულ სკუპშინაში და თავისუფლად შეძლებენ მიიღონ მათთვის საჭირო კანონები.

ახალმა მთავრობამ უკვე გამოაცხადა, რომ გაატარებს შეწონასწორებულ პოლიტიკას, რათა არ გამეორდეს ძალაუფლების უზურპაციის სიტუაცია.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

**არჩილ მანჯგალაძე, ლევან ბოჭორიშვილი.**

---

### მინიფეხბურთი

# დღეს მეოთხედფინალებია



სამოგლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის IX მემორიალზე დღეს მეოთხედფინალური შეხვედრები ასეთი თანმიმდევრობით გაიმართება:

14 საათი და 30 წუთი — „დინამო" — „ლოკომოტივი";
15 საათი და 30 წუთი — თსუ — „ნაძალადევი";
16 საათი და 30 წუთი — „ჩემპიონი" — „ლიდერი";
17 საათი და 30 წუთი — „თბილისი" — „ბენდელა".

ამ მატჩების წინ სპორტის სასახლის სარბიელზე იასპარეზებენ „ჯეოსელის თასისთვის" მოპაექრე 1989 წელს დაბადებული ბავშვები (10 საათიდან) და ვეტერანთა ტურნირის მონაწილენი: საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია — პარლამენტი (12 საათი და 30 წუთი), საბაჟო დეპარტამენტი — პოლიციის გარნიზონი (13 საათი და 30 წუთი).

რა შეიძლება მოკლედ ითქვას „ბენდელას თასის" გათამაშების I ეტაპის შესახებ? უპირველესად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კვლავ მაღალი ინდივიდუალური ოსტატობით გამოირჩევიან მინიფეხბურთის კოლორიტები — გიორგი ანჩაბაძე, დავით მუჯირი, ალექსანდრე იამვილი, გიორგი მიქაძე, რომლებსაც დღეს ალბათ გოჩა ჯამარაულიც შეემატება. მართალია, ფავორიტებმა „ბენდელამ" და „ლოკომოტივმა" ჯგუფური რაუნდი არცთუ შთამბეჭდავად განვლეს, მაგრამ, ვიმედოვნებთ, თანდათან სრული ძალით ათამაშდებიან და გაამართლებენ მათზე გაცემულ ავანსებს. ახლა კი გაუწყებთ კვირას და გუშინ გამართული თამაშების შედეგებს:

„ა" ჯგუფი. „ლოკომოტივი" — „ლიდერი" 2:2, თსუ — „კახეთი" 3:2, „ლიდერი" — „კახეთი" 1:0, თსუ — „ლოკომოტივი" — 1:1,

„ბ" ჯგუფი. „თბილისი" — დინამო" — 1:1, „ლეგიონერები" — „იბერია" 2:1, „თბილისი" — „ლეგიონერები" 5:1, „დინამო" — „იბერია" 4:4,

„გ" ჯგუფი. „ნაძალადევი" — „ბერი" 1:0, „ბენდელა" — „ჩემპიონი" 2:2, „ჩემპიონი" — „ნაძალადევი" 3:1, „ბენდელა" — „ბერი" 5:3.

### ჭადრაკი

# ანანდი ფიდეს მსოფლიო ჩემპიონია

თეირანში დამთავრდა ფიდეს ვერსიით მოჭადრაკეთა საუკუნის ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი ესპანეთში მცხოვრებ 28 წლის ალექსეი შიროვსა და 31 წლის ინდოელ ვიშვანათან ანანდს შორის. უკვე გაუწყეთ, რომ სამი პარტიის შემდეგ 2,5:0,5 წინ იყო ინდოელი დიდოსტატი. მან მეოთხე პარტიაშიც მიაღწია წარმატებას და ვადამდე (რეგლამენტით 6 პარტია იყო გათვალისწინებული) გაინაღდა ფიდეს მსოფლიო ჩემპიონობა. დაგვეთანხმებით, ღირსეული გამარჯვებული ჰყავს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციას. იგი თვლის, რომ ანანდი ჩემპიონთა ნუსხაში მეთხუთმეტეა. სხვები კი თვლიან, რომ ამ ადგილს მხოლოდ ვლადიმირ კრამნიკის დამმარცხებელი დაიკავებს.



სურათზე: ფიდეს მსოფლიო ჩემპიონი ვიშვანათან ანანდი.

# «მართვეს» ფესტივალზე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა „მართვეს" საჭადრაკო ფესტივალი სხვადასხვა ასაკის გოგონებისა და ვაჟების მონაწილეობით.

დაძაბულად წარიმართა „ა" კატეგორიის ტურნირი, რომელშიც ერთი დიდოსტატი და რამდენიმე საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა. 7 ქულით თამაზ მგელაძემ გაიმარჯვა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ მერაბ გაგუნაშვილი და კონსტანტინე შანავა. გოგონათა შორის 6,5 ქულით პირველი იყო ლელა ჯავახიშვილი. ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა სოფიო გვეტაძემ. 5,5 ქულით მესამე იყო ალა ვახანია. ასაკების მიხედვით საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

**რვაწლიანები. გოგონები.** 1. ნაზი პაიკიძე. 2. ქეთინო ბექაური, 3. ქეთინო წაწალაშვილი. ვაჟები. 1. ბექა შომიაშვილი, 2. ბექა ფიფია, 3. ლექსო ხახუტაშვილი.

**ათწლიანები. გოგონები.** 1. ანა ხაჟომია, 2. ელისაბედ ზარქუა. 3. ანა ბუცხრიკიძე. ვაჟები. 1. ლევან ბრეგაძე, 2. ვახტანგ პერტაია. 3. რეზო ჯაჭვაძე.

**თორმეტწლიანები. გოგონები.** 1. ქრისტინე მჟავია, 2. ნელი მერაბიშვილი. 3. ნინო ხვედელიძე. ვაჟები. 1. მოთა აზალაძე, 2. გიორგი მარგველაშვილი. 3. ვახტანგ თევდორაშვილი.

**თოთხმეტწლიანები. გოგონები.** 1. მეგი ესებუა. 2. თამუნა მხეიძე, 3. ეკა მხეიძე. ვაჟები. 1. დავით ზარქუა, 2. გიგა მაღლაფერიძე, 3. დავით ცეცხლაძე.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

**ლექსო ცინცაძე.**

### სპორტულ ფედერაციებში

## მუშკეტერი და შინ ჯდომა?

იყო დრო, საქართველოს მოფარიკავეებს სახელი და დიდება მოჰქონდათ ქვეყნისთვის ოლიმპიური თამაშებიდან, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებიდან, რომ არაფერი ვთქვათ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებზე. ბოლო დროს ყოველივე ეს მინავლდა, რადგან ჩვენი მუშკეტერები უსახსრობის გამო შეჯიბრებებზე ვერ მიემგზავრებიან. არადა, ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია ყოველწლიურად 120-მდე ტურნირს აწყობს, უფრო მეტიც, ფედერაციის თანამშრომლებს 28 თვეა, ხელფასი არ მიუღიათ. ამ და სხვა პრობლემებზეც ისაუბრეს საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ყრილობაზე, რომელმაც პრეზიდენტად კვლავ **არჩილ გოგელია** აირჩია, ვიცეპრეზიდენტებად — **იური ოსიპოვი და ზურაბ ცქიტიშვილი**, ხოლო გენერალურ მდივნად — **მორის სახვაძე.**

### ფეხბურთი

## ევროპის სტადიონებზე

**იტალია. XII ტური.** „რომა" — „იუვენტუსი" 0:0, „ატალანტა" — „ინტერი" 0:1, „ბარი" — „ლაციო" 1:2, „ფიორენტინა" — „ვერონა" 2:0.

„რომა" — 29, „იუვენტუსი" — 23, „ატალანტა" — 22, „ლაციო" — 21, „ფიორენტინა" — 20 ქულა.

**ინგლისი. XIX ტური.** „მანჩესტერი" — „იფსვიჩი" 2:0, „ლივერპული" — „არსენალი" 4:0, „ლესტერი" — „ვესტ ჰემი" 2:1.

„მანჩესტერი" — 43, „არსენალი", „ლესტერი" — 35-35, „ლივერპული", „იფსვიჩი" — 33-33 ქულა.

„დერბიმ" შინ 2:0 მოუგო „ნიუკასლს" და 19 ქულით XVI ადგილზე დამკვიდრდა. **გიორგი ქინქლაძე** მინდორზე 65-ე წუთზე გამოჩნდა.

II წრე დღეს დაიწყება.

### კალათბურთი

## უკანასკნელი ვაკანსიაც შეივსო

გამოვლინდა კალათბურთელ ვაჟთა X ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეული, რომელიც მედლებისთვის ბრძოლას თებერვლის დასაწყისიდან შეუდგება.

მატარებელს უკანასკნელი „შევარდენი" შეახტა, რომელმაც პრინციპული დუელი მოუგო „ვითას" 102:55. მეტოქე ისნელებს მხოლოდ პირველ პერიოდში გაუძალიანდა — 22:26, ამის შემდეგ კი ჩხეიძის, სუხიშვილის, გიგაურისა და მათ პარტნიორთა შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. დამარცხების მიუხედავად, „ვითას" თამაშმა I ეტაპზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და, ვიმედოვნებთ, ამ სახელოვანი კლუბის ჭაბუკები — მარხვაშვილი, მდივანი, ბურკაძე, ტყეშელაშვილი და სხვები მალე ომახიან სიტყვასაც იტყვიან.

დანარჩენი საკვირაო მატჩები ასე დასრულდა: სტუ — „დინამო" 88:73, „აზოტი" — სსუ 77:50, „მაქაბი" — თსუ 92:76.

უძლიერესთა სატურნირო მდგომარეობა: „ბასკო" — 32, „აზოტი" — 29, სტუ — 27, „მაქაბი" — 25, თსუ — 23, „შევარდენი" — 22 ქულა.

### ვულოცავთ

# უბერებელი ფალავანი



**ოლიმპიურ სარბიელზე, მსოფლიოს, საკავშირო და ეროვნულ ჩემპიონატებსა თუ საერთაშორისო ტურნირებზე ქართველ ფალავანთა ბრწყინვალე გამარჯვებებში საგარეჯოს რაიონს მუდამ გამორჩეული ადგილი ეკავა. იგი დღესაც ამაყობს სახელმოხვეჭილი ვეტერანებითა და ახალგაზრდა მოჭიდავეებით. მიხა ქურხული, არსენ მეკოკიშვილი, იოსებ გრატიაშვილი, ლევან თედიაშვილი, თენგიზ ელერდაშვილი, ბიჭიკო მარიდაშვილი, სპარტაკ ქარსაულიძე, ვაჟა და როინ ქაიხოსრომშვილები, გივი ონაშვილი, კობა კუპატაძე, მამუკა კურდღელაშვილი, გიორგი რევაზიშვილი...**

ანზორ ზურაბაული ერთ-ერთია მათ შორის, ვინც შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა ქართული სპორტის ისტორიაში და დღესაც წარმატებით გამოდის საჭიდაო ხალიჩაზე. დიახ, დღესაც, რადგან უბერებელი ფალავანი კვლავაც ხიბლავს მაყურებელს ოსტატობით — ახალგაზრდული შემართებით იბრძვის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში ვეტერან სამბისტთა შორის.

... საგარეჯოს საჭიდაო დარბაზში ანზორ ზურაბაულს ხალიჩაზე რომ უხმობდნენ, გულშემატკივრები მას ოვაციით ესალმებოდნენ. საგარეჯოელები, გიორგიწმინდელები, ნინოწმინდელები, პატარძეულელები, მანაველები თუ კაკაბეთელები სპეციალურად მოდიოდნენ ანზორის ჭიდაობის საყურებლად.

1963 წელს, როცა იგი საქართველოს აბსოლუტური ფალავანი გახდა ქართულ ჭიდაობაში, საგარეჯოელებმა თავიანთ კერპად აღიქვეს.

მახსოვს, 1962 წელს საგარეჯოში სამატჩო გუნდური შეხვედრა გაიმართა ქართულ ჭიდაობაში — გარეჯელები ახმეტელებს მასპინძლობდნენ. მთავარმა მსაჯმა რომ გამოაცხადა, ანზორ ზურაბაული ავადმყოფობის გამო ხალიჩაზე ვერ გამოვაო, ატყდა მაყურებელთა ყიჟინა. ხალხი დაჟინებით მოითხოვდა ანზორის გამოსვლას. ზურაბაული სახლიდან სიცხიანი მოიყვანეს საჭიდაოდ. გულშემატკივრები ფეხზე ამდგარნი, ოვაციებით შეხვდნენ ანზორს. მან სულ რამდენიმე წამს დაჰყო ხალიჩაზე, წმინდად მოუგო მეტოქეს და სამატჩო შეხვედრის ბედიც გადაწყვიტა. საგარეჯოელებმა ხელში აიტაცეს და ისე გაიყვანეს გასახდელისაკენ.

საქართველოს 14-გზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობასა და სამბოში, სსრკ ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი სამბისტთა პირად და გუნდურ ჩათვლაში, სტუდენტთა საკავშირო თამაშების 3-გზის ოქროს მედალოსანი, 1968 წლის სტუდენტთა მსოფლიო თამაშების ჩემპიონი, საკავშირო „დინამიადის" გამარჯვებული, სსრკ გუნდური ჩემპიონატების 3-გზის თასის მფლობელი კვლავ მწყობრშია.

სულ ახლახან ანზორ ზურაბაული კუნძულ მალტაზე მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ვეტერან სამბისტთა შორის, არის ევროპის ჩემპიონიც და პანამერიკული თამაშების ორგზის გამარჯვებული. საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელისა და ვეტერან სამბისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის აღზრდილები არიან ცნობილი მოჭიდავეები ოლეგ იაძე, ემილ რამი, პაატა და რამინ ბუზარიაშვილები, გიორგი ჩხაიძე და სხვები.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ანზორ ზურაბაულის თავკაცობით საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები მინსკში 1993 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა სამბოში, ხოლო დიდებმა მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავეს.

ქართული ჭიდაობის და სამბოს დიდოსტატს, უბერებელ ფალავანს ანზორ ზურაბაულს დღეს 65 წელი უსრულდება. ვულოცავთ!

**ვაჟა ჭიაურელი.**

### ყოველი მხრიდან

# რა ღირს სახელოვანი დების ჩაცმა-დახურვა?



სპორტის მოყვარულებისათვის კარგად არის ცნობილი სახელგანთქმული ჩოგბურთელების — დების უილიამსების წარმატებანი. მათ ბოლო ხანებში თავიანთი დახვეწილი და შეუპოვარი თამაშით ჩოგბურთის კორტებზე მილიონები შეიტანეს საოჯახო სალაროში.. მაგრამ იმან, რასაც მხოლოდ ერთ დას ვინუსს ფირმა „რიბოკი" დაჰპირდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ შავკანიანი სპორტსმენის 5 წლის მანძილზე ჩაცმა-დახურვისათვის ფირმა მზადაა გაიხადოს... 40 მილიონი დოლარი.

ეს მხოლოდ დეტალია ჩოგბურთის ვარსკვლავის კონტრაქტისა ცნობილ ფირმასთან, რომლის შესახებ გაზეთი „იუ-ეს-ეი თუდეი" იუწყობინება: „ჯერჯერობით, — აცხადებს „რიბოკის" წარმომადგენელი, ყველაფერი ეს მხოლოდ მონაგონია, მაგრამ ჩვენ ახლოს ვართ ვინუსთან თანამშრომლობის კონტრაქტთან".

სპორტის ვარსკვლავების გამოწყობა თავისი მარკის ტანსაცმელითა და ფეხსაცმელით, რამდენიც გინდა ცვითონ ისინი, მართალია, მათ მწარმოებლებს საკმაოდ დიდი ფული უჯდებათ, მაგრამ უდიდესი სარეკლამო ეფექტიც აქვთ. ვარსკვლავების მომსახურების ხელში ჩასაგდებად კონკურენტთა დიდი ბრძოლაა გაჩაღებული. აქ ჯერჯერობით პირველობს „ნაიკი", რომელიც გოლფის საუკეთესო მოთამაშის ვუდსის ჩაცმისთვის 100 მილიონ დოლარს ხარჯავს. საერთოდ კი, ამ მუქკანიან სპორტსმენზე კიდევ 12 ფირმა მუშაობს, რომლებიც მზად არიან, დამატებით 54 მილიონი დოლარი გაიღონ მხოლოდ 2001 წელს. უიმბლდონის, აშშ ღია ჩემპიონატის გამარჯვებულს და სიდნეის ოლიმპიადის 2 ოქროს მფლობელს, 20 წლის ვინუსს კიდევ რამდენიმე „მზრუნველი" ჰყავს. მაგალითად, მან ხელი მოაწერა კონტრაქტს ტყავის ნაწარმის კომპანიასთან — „უელსონს ლეზერ". თუმც ამ ხელშეკრულების დეტალები ცნობილი არ არის. „რიბოკთან" თანამშრომლობა კი მან 15 წლისამ დაიწყო. აი, რას ნიშნავს ვარსკვლავის დროზე აღმოჩენა? მისი და კი დროზე შეამჩნია ვითომდა კეთილმა, მაგრამ მაინც მტაცებელმა „პუმამ".

**სპორტის რედაქცია.**

### მილოცვა

# უჩა ხარძიანი — 70



დღეს დაბადებიდან 70 და შრომითი საქმიანობის 50 წელი შეუსრულდა გარდაბნის რაიონის კულტურის განყოფილების გამგეს, ღირსების ორდენის კავალერს ბატონ უჩა ევგენის ძე ხარძიანს.

მთელი თავის ცხოვრების მანძილზე მუდამ გამოირჩეოდა და ახლაც გამოირჩევა, როგორც სპეტაკი, შრომისმოყვარე და საქმის ერთგული მოქალაქე. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს რაიონის მოსახლეობაში.

ბატონ უჩა ხარძიანს გულითადად ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს მის კეთილშობილურ საქმიანობაში.

**გარდაბნის რაიონის გამგეობა, კულტურის განყოფილება.**

2001 წლის 16 იანვარს, 12 საათზე დანიშნულია სს „ტრანსფეთქინდუსტრიის" აქციონერთა საერთო კრება. თბილისი, ბულაჩაურის ქ. №8

დღის წესრიგი:

1. აქციონერთა დენომინაცია,
2. ცვლილება საწესდებო კაპიტალში,
3. ლიკვიდაცია.

სამეთვალყურეო საბჭო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ქუთაისის თეატრის დასი. პირველი რიგში (მარცხნიდან) მიხეილ მარჯანიშვილი, ტასო აბაშიძე, მარო მდივანი, მიხეილ ქორელი; მეორე რიგში – ნატალია ჯავახიშვილი, ლადო მესხიშვილი, ეფემია მესხი, კოტე მესხი, ნინო ჩხეიძე; მესამე რიგში – მიხეილ ფრანგულიანი, ვალერიან შალიკაშვილი, მიხეილ ჯანოევი (ნემო), პლატონ კორიშელი, კაპიტონ კახიანი, მარიამ თათეიშვილი (გარიყული), ალექსანდრე იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, ლევან მირიანაშვილი, ვლადიმერ ივერიძე. 1902-1903 წ. წ. სეზონი.

ფოტო მოგვაწოდა ლამარა ახვლედიანმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.*

## ღიმილის დოზა

საახალწლო ბაზრობაზე გასული მყიდველი ქათმების გამყიდველ ქალს ეკითხება:
– რამდენი ქათამი გაქვთ?
– ექვსი.
– ამირჩიეთ სამი ყველაზე ბევრი.
გამყიდველი სწრაფად ამოურჩევს მოთხოვნილ სამს.
– გაგიხვიოთ?
– გამიხვიეთ, მაგრამ დანარჩენი სამი.

* * *

კომივოიაჟერი ფერმაში მივიდა და პირველსავე შემხვედრს ეკითხება, სად შეიძლება ფერმერის ნახვაო.
მუშა უხსნის – ღორებთან არის და კვებავსო.
მივა დასახელებულ ადგილზე კომივოიაჟერი და რას ხედავს? ფერმერს გამართულ ხელებზე, თავს



ზევით უჭირავს ღორი და ვაშლის ხის ტოტებიდან ვაშლს აჭმევს.
– ვინ კვებავს ასე ღორებს? – გაოცებას არ მალავს სტუმარი, – ასე რამდენი დრო დაიკარგება?!
– რა არის დრო ღორისთვის? – უპასუხებს ფერმერი.

* * *

ცოლ-ქმარი ერთმანეთს ეყრება. მოსამართლე ქალს ეკითხება:
– თქვენი მეუღლე ამტკიცებს, რომ ძაღლური ცხოვრება ჰქონდა, ასეა?
– ნაწილობრივ მართალია: სახლში ჭუჭყიანი ფეხებით შემოდიოდა, სვრიდა სუფთა ნოხებს, უმიზეზოდ იყეფებოდა, ვახშმის დროს იღრინებოდა და ძალიან უყვარდა ყველაზე რბილ ტახტზე წამოწოლა.

## საგზაო პოლიცია კონკურსში მონაწილეთა საყურადღებოდ!

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ავტომაგისტრალების განყოფილებების უფროსი ინსპექტორის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, კონკურსი ჩატარდება ა/წლის 27 და 28 დეკემბერს 10 საათზე. საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მე-6 განყოფილების ადმინისტრაციის შენობაში. ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. 1.

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო.

## მილოცვა

სულითა და გულით ვულოცავ ჩემს ყრმობის მეგობარს სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილ მუშაკს, მრავალგზის ორდენოსან **გივი ალექსანდრეს ძე გვასალიას** 70-ე წლის დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს საყვარელი ოჯახით, ნათესავებითა და უამრავი მეგობრით.

**დიდი სიყვარულით და პატივისცემით სოსო ნაყოფია ოჯახით.**

## მინიჭება

# გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

ამას წინათ გაიმართა გამოჩენილი აფხაზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა პრემიებზე წარდგენილი ნაწარმოებები.

კენჭისყრის შედეგად გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ:

ლიტერატურის დარგში:

1. **ევგენი აქუბარდიას** – ადრე გამოცემული წიგნებისა და პუბლიკაციების, ასევე „რიწამი" დაბეჭდილი ნაწარმოებებისათვის;
2. **ხუტა ბერულავას** – ლექსების კრებულისათვის „ასი ლექსი" და იმ ლექსებისათვის, რომლებიც მან სხვადასხვა დროს მიუძღვნა აფხაზეთს;
3. **დალი ცაავას** – ლექსების კრებულისათვის „პონტოს ევქსინოსი";
4. **ამირან მიქაუტაძეს** – წიგნისათვის „ვაი, შენ ჩემო სოხუმო!.." და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული ლექსებისათვის.

ხელოვნების დარგში:

5. სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლს ა. სუმბათაშვილის „ღალატი", რეჟისორი – **გოჩა კაპანაძე**, მხატვარი – **თემურ ნინუა**, მთავარი როლების შემსრულებლები: ოთარბეგი – **დიმიტრი ჯაიანი**, ზეინაბი – **ლილი ხურითი**.

გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი.

## ტელევიზია

**შაბათი, 23 დეკემბერი**

**1** 08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 09.45 ტელემალაზია 09.55, 20.50 სერიალი "**ქამელეონი**" 10.30 ჩვენი ფეხბურთი 11.10, 18.15 სერიალი "**სენ-ტროპე**" 12.00, 15.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" 12.40 ჯანმრთელობა 13.00 ნაშუადღევს 14.05 მაესტრო 14.35 ეკო-დაიჯესტი 15.15 ქართული მხ.ფ. "**ლონდრე**" 16.45 საუბრები ლიტერატურაზე ,17.25 აბდა-უბდა 17.40 მესაკუთრე 18.00 ვესტნიკი 19.05, 02.30 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 კავკასიური სამკუთხედი 22.00 "100 გრადუსი" 22.40 ტელესერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" 23.50 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 00.10 "ჯეოპოპი" 00.50 მხ.ფილმი "**იცეკვე ჩემთან ერთად**"

**2** 19.00 ინფორმაცია 19.30 იყო და არა 19.50 ჭოგრიტი 20.00 სერიალი "**ფსიქოპატორი**" 20.30 სტუდია "რე" 21.20 მე-2 საუკუნის პიტები 21.40 კვერცხიდან ვაშლამდე 22.00 ინფორმაცია 22.15 ჰიტ-პარადი 22.25 კინომონატრება 22.35 მხ.ფ. "**ჯინჯერი და ფრედი**"

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი,.პაპირუსის თავგადასავალი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "**ბლანკოს ქვრივი**" 09.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.40 სერიალი "**ჯუნგლების წიგნი**" 11.10 სერიალი "**სამანტა**" 12.15 მულტსერიალი "მელა და მეძებარი ძაღლი" 13.30 მხ. ფ. "**ატლანტიკური ზღუდე**" 15.15 რუსული ფილმი "**გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ**" 16.50 საბავშვო ფილმი "**მერი პოპინსი**" 18.00, 21.00, 23.00, 02.05 კურიერი 18.20 სერიალი "**ჯუნგლების წიგნი**" 18.50 სერიალი "**გურმანთა მეგზური**" 19.15 "პერეკროსტოკი" 19.50 სერიალი "**სამანტა**" 21.50 სერიალი "**შტრაუსების დინასტია**". 00.05 მხ.ფ. "**მეხუთე კუთხე**", რეჟ. ტონი ბილი. მთ. როლებში ტიმ რობინსი, ჯოდი ფოსტერი. 02.15 კლასიკა.

**ევრიკა** 09.30 მოსკოვი-მინსკი 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.45 მხ.ფილმი "**აგენტი მინი ქვედაბოლოში**" 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.15 პროგრამა "სალონი" 13.45 ინდური მხ.ფილმი 17.00 ხმა გამარჯვებული მორწმუნისა 17.30 მულტფილმი 19.00 მხ.ფ. "**სკარლეტი**" 20.10 მუსიკალური კოლაჟი 21.30 პროგრამა "სალონი" (განმეორებით) 23.00 მხ.ფ. "**ოთხი ოთახი**"

**ISI** 08.00 "ბისი". მხ.ფ. "**სკალპებზე მონადირენი**" 09.50, 18.30, 20.15, 22.15, 00.40 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 17.30 "სამყარო" დოკ. ფილმი 18.45 "Co.მედია" მხ.ფ. "**მარტო ტყეში-2**" 20.30 პროგრამა "F" მხ.ფ. "**თეთრი ქვიშა**" მთ. როლში მიკი რურკი. 22.30 "ბრავო". მხ.ფ. "**იმედის შენარჩუნებისას**" მთ. როლებში: ედვარდ ნორტონი, ბენ სტილერი. 00.55 "ღამურა" მხ.ფილმი დასასრულს ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15 მულტფილმი "მხიარული მეგობრები" 09.45 მხ.ფ. "**საქინებლის ფანჯარა**" 11.35, 12.45, 21.55, 01.50 მუსიკა 11.50 დოკ. ფილმი "მითი მაქციებზე" 13.00 მხ. ფილმი "**შეჯახება**" 14.55, 18.45 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.15 მხ.ფ. "**ერთი შანსი ორისათვის**" მთ. როლებში ალენ დელონი, ჟან პოლ ბელმონდო. 18.00 საინფორმაციო პროგრამა "სალამოს ექვს საათზე" 18.15 მულტფილმი "მხიარული მეგობრები" 20.00 ევროპის სტადიონებზე 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის ნახევარზე" 21.05 დოკ. ფილმი "ღმერთების წარგზავნილები" 22.05 მხ. ფილმი "**სიმართლე და მისი შედეგი**" მთ. როლში ვინსენტ გალო. 00.00 საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.15 მხ. ფილმი "**ჯილიანი დაბადების დღეზე**" მთ. როლებში მიშელ ფაიფერი, კლერ დეინსი.

# ყურადღება!

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას დარგობრივ რეზიდენტურაში

**საბიუჯეტო სექტორზე სახელმწიფო დაკვეთით:**

| | სპეციალობის დასახელება | ადგილების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ზოგადი ჰიგიენა | 1 |
| 2 | კომუნალური ჰიგიენა | 1 |
| 3 | ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენა | 1 |
| 4 | შრომის ჰიგიენა | 1 |
| 5 | რადიაციული ჰიგიენა | 1 |
| 6 | კვების ჰიგიენა | 1 |
| 7 | ყბა-სახის ქირურგია | 1 |
| | *სულ* | 7 |

**საბიუჯეტო სექტორზე შიდა რესურსით:**

| | სპეციალობის დასახელება | ადგილების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | პედიატრია | 2 |
| 2 | კარდიოლოგია | 1 |
| 3 | ინფექციური დაავადებები | 1 |
| | *სულ* | 4 |

**ფასიან სექტორზე:**

| | სპეციალობის დასახელება | ადგილების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ინფექციური დაავადებები | 1 |
| 2 | კარდიოლოგია | 1 |
| 3 | დერმატოვენეროლოგია | 1 |
| 4 | მეან-გინეკოლოგია | 1 |
| 5 | ოფთალმოლოგია | 1 |
| 6 | ქირურგია | 1 |
| 7 | ოტოლარინგოლოგია | 1 |
| 8 | ნევროლოგია | 1 |
| 9 | ბავშვთა ქირურგია | 1 |
| 10 | უროლოგია | 1 |
| 11 | პედიატრია | 1 |
| 12 | ყბა-სახის ქირურგია | 1 |
| 13 | ალერგოლოგია | 1 |
| | *სულ* | 13 |

**დარგობრივ რეზიდენტურაში ჩაბარების უფლება აქვთ:**

საქართველოს უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების 1998 და მომდევნო წლების კურსდამთავრებულებს, რომელთაც მიღებული აქვთ ზოგადი პროფილის ექიმის სახელმწიფო სერთიფიკატი;

პირებს, რომლებსაც 1998 წლამდე აქვთ დამთავრებული საქართველოში ლიცენზირებული უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და მიღებული აქვთ ექიმის სახელმწიფო დიპლომი;

უცხოეთის ქვეყნების უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების კურსდამთავრებულებს ექიმის დიპლომის საქართველოში ნოსტრიფიცირების შემდეგ.

**მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:**

1. განცხადება რექტორის სახელზე;
2. ავტობიოგრაფია;
3. უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დიპლომი და მისი ქსეროასლი;
4. ზოგადი პროფილის ექიმის სახელმწიფო სერთიფიკატი და მისი ქსეროასლი;
5. ჯანმრთელობის ცნობა ფორმა № 086;
6. სურათი 3X4 2 ცალი;
7. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

საბუთების მიღება იწარმოებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №33, მე-2 სართული, ოთახი №208) 2000 წლის 25 დეკემბრიდან 2001 წლის 15 იანვრამდე, ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა) 13 00 სთ-დან 17 00 სთ-მდე.

**გამოცდები ჩატარდება 3 ეტაპად:**

I. ტესტირება – საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ზოგადი პროფილის ექიმის სალიცენზიო ტესტ-კითხვარების მიხედვით;

II. წერითი გამოცდა სპეციალობის მიხედვით, უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლისათვის დამტკიცებული სასწავლო პროგრამების ფარგლებში;

III. გასაუბრება.

ყველა სპეციალობაში გამოცდების I ეტაპი ჩატარდება 2001 წლის 17 იანვარს, ხოლო II და III ეტაპები 19 იანვარს.

***სწავლა დაიწყება 2001 წლის 1 თებერვალს.***

ინფორმაციისათვის მიმართეთ მიმღები კომისიის სამდივნოს – თსსუ-ის რექტორატი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №33, მე-2 სართული, ოთახი №208, ტელ: 39-05-52.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის კოლექტივის წევრი დაარსების დღიდან, ღვაწლმოსილი თანამშრომელი, საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი, მეტად ერუდირებული მეცნიერი

ოთარ ანტონის ძე ჩარკვიანი

და გულწრფელად თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მუშაკი, ლექსიკოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

მაყვალა გალდავაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რედაქციის ყოფილი მუშაკი

მარიამ კველიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი დოდო, რძალი მანანა ყურაშვილი, სიძე თეიმურაზ ხუნწარიძე, შვილიშვილები გოგიტა საყვარელიძე, ნელი, თემურ ხუნწარიძეები, რძლები ქეთინო გოცაძე, ქეთინო სანებლიძე, სიძე დათო სოლომონია, შვილთაშვილები გურამ, ირინე საყვარელიძეები, ბორის, თამარ სოლომონიები, ნინო, გიორგი ხუნწარიძეები, ცოლისდები ნანა, ნათელა შათირიშვილები, ქვისლი გოგი სურგულაძე, დისწულები ნანა, დათო, დარეჯან, რუსუდან ლეინეფაძეები, ძმისწულები ბერდო, მედიკო, ალბერტი, ავთო, ზეიად საყვარელიძეები ოჯახებით, თამაზ ყურაშვილი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (გოგიტა) საყვარელიძე

პანაშვიდი 26, 27 XII, 4 სთ. დაკრძალვა 28 XII 2 სთ. ჭავჭავაძის გამზირი 70, II სადარბაზო.

---

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა მცირე საწარმო „დინამოს" მთავარი ინჟინერი

ვიქტორ ლობჟანიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---



მეუღლე მარიკა კვალიაშვილი, შვილი ნუკრი, რძალი თინათინ სანებლიძე, შვილიშვილები გურამი, ლევანი, ნათესავები და მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ ნავერიანი

პანაშვიდი 26, 27 XII, 4 სთ. გამოსვენება 28 XII, 2 სთ. ვაჟა-ფშაველას I კვ. 23 კორპ. სადარბაზო IV, სართ V.

---

იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საამაყო და სამაგალითო ერისკაცი, იყალთოს საპატიო მოქალაქე, აკადემიკოსი

ვახტანგ ბერიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აკადემიკოს

ვახტანგ ბერიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს რევაზ ჩხაიძეს დედის

მანანა ქამაკაშვილი-ჩხაიძის

გარდაცვალების გამო.

---

კომპანია „მარტინ ბაუერის" თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თეა ჩარკვიანს მამის

ოთარ ანტონის ძე ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 26 XII, 3 სთ. ქუჩიშვილის №9.

## ხსოვნა

### ვახტანგ ბერიძე

გარდაიცვალა აკადემიკოსი **ვახტანგ ბერიძე**.

ქართული მეცნიერებისა და კულტურისათვის ამ განუზომელი დანაკლისით გამოწვეულ ტკივილს იზიარებს საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტიც და სამძიმარს უცხადებს ბატონი ვახტანგის ოჯახს და მთელს ქართულ საზოგადოებრიობას.

ბატონი ვახტანგ ბერიძის გარდაცვალებას განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდის ყველა ის ადამიანი და დაწესებულება, ვინც ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვით არის დაკავებული. დიდი მეცნიერის პრინციპული შემართება კულტურის ძეგლთა ხელყოფის წინააღმდეგ, მისი კომპეტენტური აზრი ყოველთვის გადამწყვეტ როლს თამაშობდა მემკვიდრეობის დაცვისათვის ბრძოლაში.

ბატონი ვახტანგი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერი, იყო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან დაარსებული კულტურის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს პირველი სწავლული მდივანი და იმ ხანიდან მოყოლებული დარჩა ძეგლთა დაცვის საქმის დიდი თანამონაწილე და ქომაგი.

ასევე – იმედად და დასაყრდენად დარჩება ბატონი ვახტანგი თავისი მეცნიერული მემკვიდრეობით ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისათვის.

საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი.

### აგული თოფურიძე



ვერ ესწრები ძმაო, **აგული**, ახალი წლისა და ახალი საუკუნის დადგომას, ეს ყოფილა შენი ბედი – 55 წლის ასაკში გამოაკლდი ოჯახს, ახლობლებს, შენს სამეგობროს...

შენ ერთ-ერთი გამორჩეული თბილისელი იყავი, ჩვენს შორისაც სითბოსა და სიყვარულს თესავდი და ვერც წარმოგვედგინა, რომ ასე უცებ, ყველასათვის მოულოდნელად დაგვტოვებდი.

მშვიდად იძინე, ძმაო, შენი სამეგობრო ყოველთვის მოგიგონებს.

ნათელი დაადგეს შენს სახელს.

მეგობრები.

### გივი კერესელიძე



ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი იურისტი, იუსტიციის მრჩეველი **გივი ლუკას ძე კერესელიძე**. გივი კერესელიძე დაიბადა 1929 წლის 3 მარტს ამბროლაურის რაიონის სოფელ წესში. 1945 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დაამთავრა.

1951 წელს გ. კერესელიძემ მუშაობა დაიწყო ქალაქ თბილისის გარეუბნის პროკურატურაში გამომძიებლად, შემდეგ კი გადავიდა ამიერკავკასიის რკინიგზის დაცვის უშიშროების სამმართველოში, საიდანაც ისევ პროკურატურის ორგანოებში დაბრუნდა.

გივი კერესელიძე იყო რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი, 26 კომისრებისა და კიროვის რაიონების პროკურორი. სიცოცხლის ბოლო წლები კი ქალაქ თბილისის პროკურატურის სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის განყოფილების პროკურორად იმუშავა. ყველგან, სადაც კი იმუშავა იგი გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებითა და საქმის ერთგულებით, იყო მაღალი პროფესიონალი და კარგი მამულიშვილი, რის გამოც მას კოლეგები სიცოცხლეშივე დიდ პატივს მიაგებდნენ.

გივი კერესელიძის საქმიანობა ბევრჯერ დაფასებულა. მის პირად საქმეს ამშვენებს სხვადასხვა ჯილდოები და მადლობები. ყველაზე დიდი ჯილდო პირადად მისთვის ხალხის ნდობა და სიყვარული იყო, რომელიც მას უხვად ჰქონდა.

წავიდა ეს დიდებული ადამიანი ამ ქვეყნიდან, მაგრამ დარჩა მისი კვალი კეთილი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს გივი კერესელიძის სული. მისი სახელი არასოდეს წაიშლება მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნიდან.

ქალაქ თბილისის პროკურატურა.

### მიხეილ ჭოლოკავა



საქართველოს მეტალურგიულმა მრეწველობამ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა დარგის ღვაწლმოსილი სპეციალისტი **მიხეილ ჭოლოკავა**.

იგი დაიბადა 1939 წელს ქ. სოხუმში. 1961 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

1977 წლიდან გარდაცვალებამდე ბატონი მიხეილი მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტ „გიპრომეზის" მთავარ სპეციალისტად. იგი ათეული წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა საქართველოს მეტალურგიის, კერძოდ კი ფეროშენადნობთა წარმოების განვითარების საქმეს და ამ დარგის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა. იყო რამდენიმე გამოგონებისა და სამეცნიერო შრომის ავტორი.

ცხოვრებიდან წავიდა ოჯახზე, მეგობრებზე და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, აფხაზეთის ბრძოლებში გმირულად დაღუპული ზაზა ჭოლოკავას მამა. უზომო იყო უსაყვარლესი შვილის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, რომელმაც უბედური მამის ჯანმრთელობას გამოუსწორებელი დაღი დაასვა.

ჩვენო ძვირფასო მიშიკო! შენ საყვარელი სამშობლოს, ერის, ოჯახისა და მეგობრების წინაშე ვალმოხდილი წახვედი. დიდი გულისტკივილით გემშვიდობებით. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

შპს „ინსტიტუტი მეტალურგპროექტი".

---

მეუღლე ალექსანდრა, შვილები გიორგი, ალექსანდრე, ძმები გიზო, მურიკო, რძლები ლირა, ირინა, ძმისწულები ეკა, მაკა, დიმიტრი, დეიდა ეთერ ჩაჩავა, სიდედრი ლილი არქანია, ცოლისდა დინა, ცოლისძმა დავით ბასილაიები, ბიძაშვილები კარლო, როლანდ თოფურიძეები, ბაჩუკი ჩაჩავა, დეიდაშვილები ცისანა, დემურ გაბისონიები, გია ორმოცაძე, მამიდაშვილი გურიელ ბერულავა, ლარისა, რეზო, ნონა, რეზო, ციალა, გულიკო თოფურიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აგული დიმიტრის ძე თოფურიძე

პანაშვიდი 26, 27 XII, 4 სთ. გამოსვენება 28 XII, 2 სთ. ცოტნე დადიანის ქ. №148, IV სად. I სართული.

---

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის ყოფილი მუშაკი

ალექსანდრე ბუხნიკაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

# რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ჭოგულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS–98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.